ივანე მენთეშაშვილი

ელიზაბეთ I ტიუდორი. სიყვარული და ძალაუფლება

ისტორიული ნარკვევი

ნაშრომში განხილულია XVI ს. ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთი. კათოლიკობისა და პროტესტანტობის ჭიდილის, ინგლისის გარე, პირველ რიგში კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობის ფონზე ნაჩვენებია დედოფალ ელიზაბეთ I მეფობისა და ცხოვრების ცალკეული მომენტები. კერძოდ კი დედოფლის პირადი ცხოვრება, გავლენა, რომელიც ამ უკანასკნელზე იქონიეს რელიგიურმა და პოლიტიკურმა დაპირისპირებამ.

რედაქტორი: პროფ. *ზ. ჩიმაკაძე*

რეცენზენტი: დოც. *ც. ჩიკვაიძე*

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: *გ. ბაგრატიონი*

© ივ. მენთეშაშვილი, 2010

გამომცემლობა „ნეკერი“, 2010

ISBN 978-9941-416-19-4

წინასიტყვაობა

„ოქროს ხანად" წოდებული, დედოფალ ელიზაბეთ I ტიუდორის მეფობის პერიოდი (1558-1603 წწ.) ინგლისის ისტორიაში აღნიშნული იყო რიგი მნიშვნე-ლოვანი მოვლენებით. აბსოლუტიზმის ჩამოყალიბება მისთვის დამახასიათებელი

ე. წ. „ინგლისური" თავისებურებებით; ქვეყანაში პროტესტანტობის გაბატონება და აქედან გამომდინარე სპეციფიკური ზნეობის და ეროვნული სულისკვეთების ჩამოყალიბება; შესანიშნავი მიღწევები კულტურის სხვადასხვა სფეროში; მეტოქეობა გარე, პირველ რიგში, კათოლიკურ (ესპანურ) სამყაროსთან და წარმატებები ამ ასპარეზზე ძლევამოსილი სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის წყალობით. ყველაფერი ეს დაკავშირებული იყო დედოფალ ელიზაბეთ I პიროვნებასთან, რომელიც აღნიშნული მოვლენების თავისებურ ეპიცენტრს წარმოადგენდა, მიუძღოდა რა ხალხს და ქვეყანას შიგა თუ საგარეო პოლიტიკური მოვლენების ასპარეზზე. სწორედ ამიტომ წინამდებარე ნაშრომში განხილულია ის მომენტები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ნათელს ფენენ დედოფლის როგორც ადამიანის, და პირველ რიგში, ქალის ცხოვრებასა თუ საქმიანობას. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას აჩვენოს ტახტზე მყოფი ქალი, მისი ურთიერთობა ძალაუფლებასთან და ამ უკანასკნელის დამოკიდებულება და ზეგავლენა დედოფლის გრძნობებსა და პირად ცხოვრებაზე. რამდენად ბედნიერი გახადა ძალაუფლებამ ქალი, რომელმაც იგი იმავდროულად ძლევამოსილებითა და დიდებით შემოსა?

ივ. მენთეშაშვილი

ელიზაბეთ I ტიუდორის მეფობა (1558-1603 წწ.) „ოქროს ხანის სახელით არის შესული ინგლისის ისტორიაში, ხოლო მისი დროის ინგლისი საისტორიო ლიტერატურაში ელიზაბეთის ინგლისად მოიხსენიება. აღორძინების ხანის ბრწყინვალება არა მარტო ფერწერას, ქანდაკებას და ლიტერატურას ასხივოსნებდა. იგი თან სდევდა იმ დროის პოლიტიკურ მოღვაწეებსაც, რომლებიც თავის ასპარეზზე ცდილობდნენ წარმოჩენას და ამის წყალობით მრავალფეროვნებას და მიმზიდველობას იძენდნენ. ამ მხრივ ალბათ ელიზაბეთ I ყველაზე უფრო თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენს. შეფასებები, რომლებიც მისი, როგორც მმართველის და ადამიანის მიმართ გამოითქმის არა მხოლოდ დადებითია, არამედ ხშირად ქებადიდებითაც კი არის აღსავსე. არიან მკვლევარები, რომლებიც ელიზაბეთს მისი ინტერესების და გატაცებების მრავალფეროვნების გამო აღორძინების ისეთი გოლიათის გვერდით აყენებენ, როგორიც ლეონარდო და ვინჩი იყო. „ორივე – წერს სკოტ ფორსმენი, ანსახიერებს აღორძინების შემოქმედებით, ძიებისაკენ მსწრაფველ ენერგიას, რომელსაც შედეგად მოყვებოდა სიახლეები, აღმოჩენები და ა.შ." იყო რა დახელოვნებული მართვა-გამგეობის საქმეში, ელიზაბეთი თხზავდა ლექსებს, ფლობდა უცხო ენებს, ჰქონდა მცდელობა წარმოეჩინა თავისი თავი მუსიკაში და მეცნიერებაში." თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი მმართველი", ასე ახასიათებს მას ცნობილი ინგლისელი რომანისტი და სცენარისტი ჯ. პრისტლი. იგივე პრისტლი ხაზს უსვამს მის განათლებასა და დახვეწილობას და აღნიშნავს, რომ ელიზაბეთს უნარი შესწევდა თავისი ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინა მასთან წარგზავნილი ნებისმიერი დიპლომატი. თუმცა არის ისეთი მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვითაც იგი ყველაზე წარმატებული იყო მაშინ, როდესაც ერთპიროვნულად არ იღებდა გადაწყვეტილებას, ანდა აკრიტიკებენ მას მერყეობისა და არათანამიმდევრულობის გამო.

ელიზაბეთ I ოცდახუთი წლის ასაკში გამეფდა და ტახტზე ასვლის პირველივე დღიდან გარშემორტყმული იყო პატივით,

სიყვარულითა და ერთგულებით. მას ხოტბას ასხამდნენ პოეტები და უკვდავყოფდნენ მხატვრები. ერთნიც და მეორენიც ქმნიდნენ მის იდეალურ პორტრეტს, ე. წ. „გლორიანას" (Gloriana)[1] სახეს, რომელიც დამკვიდრდა იმდროინდელ ინგლისურ ცნობიერებაში, საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტად იქცა. ასე იყო ქვეყნის შიგნით. ქვეყნის გარეთ კი მას გარს ერტყა მტრობა და ხშირ შემთხვევაში სიძულვილიც კი. ისინი გამომდინარეობდნენ მათგან, ვინც მას მწვალებლად (ერეტიკოსად) და უკანონოდ მიიჩნევდა. მისი ცხოვრება და მმართველობის წლები ხშირად აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენებით იყო აღსავსე. იყო დრო, როდესაც მისი სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო და იგი ნებისმიერ დროს შეეძლოთ სიკვდილით დაესაჯათ. მაგრამ ბედის წყალობით მას განუცდია ასევე უდიდესი აღზევებით გამოწვეული სიამაყის წუთები. ეს სიამაყე მას აღავსებდა თავისი ქვეყნისა და სარწმუნოების სიდიადის განცდით. ხოლო ქვეშევრდომები, რომლებიც დედოფლის მიმართ ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით იყვნენ განმსჭვალულნი, მას სწორედ ქვეყანასა და სარწმუნოებასთან აიგივებდნენ.

სად იმალება ამგვარი პოპულარობის საიდუმლო? რა საშუალებებით შეიძლებოდა ქვეშევრდომების ასეთი სიყვარულის დამსახურება იმ ხანად, როდესაც თავად ელიზაბეთ I ერთ-ერთი დიდი თანამედროვეს, ფრანგი მიშელ დე მონტენის თქმით, ყველაზე ძნელ საქმეს ღირსეულად მეფობა წარმოადგენდა? სად არის ამგვარი მეფობის საზომი, თუ ათვლის წერტილი? საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაში? მაგრამ ამგვარი კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია და იგი ვერც იქნებოდა XVI ს. ინგლისში, როდესაც შემოღობვები უამრავ ადამიანს ღარიბ-ღატაკებად აქცევდნენ. ცნობილია, რომ ელიზაბეთ I მეფობის ხანაში ადგილი ჰქონდა ე. წ. „მშიერთა ამბოხებას" თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უკმაყოფილო მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების გამოსვლებს. მაგრამ გადამწყვეტ

1 მომდინარეობს ლათინურიდან Gloria – დიდება. შესაბამისად სახელოვანი, დიადი, დიდებით შემოსილი.

წუთებში აღნიშნული პირობებით გამოწვეული უკმაყოფილება უკან იხევდა და ადგილს უთმობდა მონარქისადმი სიყვარულსა და ერთგულებას.

მაგრამ ეს იყო აბსოლუტურად თავისებური ერთგულება და სიყვარული. იმ ხანად საზოგადოებას უფრო მეტად მართავდნენ, ვიდრე გეზს აძლევდნენ. ასე იყო კლასიკური აბსოლუტიზმის ქვეყანაში, საფრანგეთში, სადაც XVI ს. არეულობამ და შინაომებმა ჯერ სიქა გააძრეს საზოგადოებას, ხოლო მერე კარდინალების რიშელიეს, მაზარინისა და ლუი XIV მეცადინეობით შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო კარის ბრწყინვალება, სამოხელეო აპარატის ყოვლისშემძლეობა და თავად სახელმწიფოს სიდიადე, რომლის წინაშეც ნებისმიერი ქვეშევრდომი უცილობლად ხრიდა თავს და რომლის ბრწყინვალება თვალს სჭრიდა გარე სამყაროს. სახელმწიფო ეს თავად მონარქი იყო და ამიტომ სავსებით მართებულად და იმ სიტუაციასთან მისადაგებულად ჟღერს XVII ს. ფრანგი მორალისტის ჟან დე ლაბრიუიერის განსჯა მწყემსისა და ფარის ურთიერთობის შესახებ, რომელიც განასახიერებდა მმართველისა და ხალხის ურთიერთობას.

მაგრამ ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო ინგლისში. საფრანგეთისაგან განსხვავებით სამეფო ხელისუფლება იქ ყოვლისშემძლე თავნება ფეოდალების დათრგუნვით არ იყო დაკავებული, რაშიც მის დასაყრდენს მრავალრიცხოვანი და ძლიერი სამოხელეო აპარატი წარმოადგენდა. ინგლისში სამეფო ხელისუფლება ეყრდნობოდა და მიუძღოდა იმ კლასს, რომელიც XVI ს. რიცხობრივად გაიზარდა და ეკონომიკურად გაძლიერდა. ეს იყო ახალი თავადაზნაურობა, ე. წ. ჯენტრი, ჯენტლმენები (Gentlemen). მათვე განიმტკიცეს პოზიციები ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში. სწორედ ეს ფენა, რომელიც პროტესტანტობის მტკიცე მიმდევრებისაგან შედგებოდა, წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს და თავისებურად აწონასწორებდა მის ურთიერთობას მსხვილ ფეოდალებთან. თავის მხრივ ახალი თავადაზნაურობა სამეფო

ხელისუფლებაში ხედავდა გარკვეულ ზღუდეს, რომელიც მას იცავდა დიდებულთა მოძალებისაგან. სწორედ ეს განაპირობებდა ჯენტრის ლოიალობას სამეფო ხელისუფლების მიმართ, ხოლო ტახტზე მანდილოსნის ყოფნა ამგვარ ურთიერთობას თავისებურ ელფერსა და სიფაქიზეს სძენდა.

საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს ინგლისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც. ქვეყანა, რომელიც XVI ს. 50-იანი წლების მიწურულიდან, ე. ი. ელიზაბეთ I გამეფებიდან მტკიცედ დაადგა პროტესტანტობის გზას, გრძნობდა თავის მიმართ კათოლიკური სამყაროს არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ ქვეყნისადმი ერთგულების და სიყვარულის ეპიცენტრი იყო სამეფო ხელისუფლება, რომელშიც გაერთიანებული იყო საერო და რელიგიური ხელმძღვანელობა. მისი უშუალო გამოხატულება იყო დედოფალი, ქალი, რომელიც სახელმწიფოსა და სარწმუნოების უპირველესი დამცველი იყო. მაგრამ იმავდროულად იგი თავად საჭიროებდა დაცვას, რადგანაც ქალი იყო. ეს კი თავისებურ რაინდულ დამოკიდებულებას განაპირობებდა მის მიმართ ქვეშევრდომების მხრიდან.

ხანა, რომელშიც ელიზაბეთ I ცხოვრობდა და მეფობდა, საზოგადოების ცნობიერებას მონარქებისადმი კეთილგანწყობით აღავსებდა და ხელს უწყობდა ქვეშევრდომთა თვალში მათზე არნახულად მაღალი წარმოდგენის შექმნას. ბრწყინვალება, რომელიც მონარქებს გარს ეკრა, მათ შარავანდედით ამკობდა და ხალხში მოწიწებით აღსავსე თრთოლვას იწვევდა. ამიტომ მართებულია ბლეზ პასკალის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იმისათვის, რომ დაენახათ ამ გარეგნული ბრწყინვალების მიღმა ჩვეულებრივი ადამიანი, საჭირო იყო ძალზე ამაღლებული და დახვეწილი გონება. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვეულებრივი ადამიანი, ანდა ამგვარად მიჩნეული, მით უმეტეს, ქალი, იმ ხანად ნამდვილად ვერ შეინარჩუნებდა ტახტს. გარშემო მყოფნი ვერ შეეგუებოდნენ, არ მიიღებდნენ ტახტზე ჩვეულებრივ ადამიანს, რაოდენ სათნო და ღირსეული არ უნდა ყოფილიყო იგი. მაკიაველისეული დებულება იმის შესახებ, რომ არჩევანის შემთხვევაში მბრძანებელმა სჯობს შიში

შთაუნერგოს ქვეშევრდომებს, ვიდრე სიყვარული, რეალური, ცხოვრებისეული მოვლენებით იყო განპირობებული. და თუკი ხალხის წარმოდგენაში მეფე ზეცით იყო მოვლენილი და ღვთით მირონცხებული, დიდებულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა პატივმოყვარეობა უბიძგებდა მათ მეფეები მორჩილებაში ყოლოდათ იმ შემთხვევაში, თუკი ეს უკანასკნელნი მტკიცე ხასიათით არ გამოირჩეოდნენ. მაგალითად, საფრანგეთის მეფის, ანრი III ამბიციური ქვეშევრდომი, ჰერცოგი გიზი ამბობდა თავის მონარქზე, რომ „ეს მეფე საჭიროებს იმას, რომ იგი შიშში ამყოფო".

როგორი იყო ამ მხრივ დამოკიდებულება ელიზაბეთ I მიმართ? რას პირდებოდა XVI ს. მეორე ნახევრის ინგლისის შიგა თუ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ამ ქვეყნის ტახტზე მყოფ მონარქს და ქალს? შეეძლო ამგვარ მდგომარეობაში მონარქს ძლევამოსილი ყოფილიყო, ხოლო ქალს – ბედნიერი? როგორ აღიქვამდნენ მას მის თანადროულ სამყაროში, იმ ნრეში, რომელშიც მას მუდმივად უხდებოდა ყოფნა, ე. ი. მისი კარისკაცები და დიდებულები, რომლებიც მასთან ერთად განიხილავდნენ სახელმწიფო საქმეებს, თან ახლდნენ მას დედაქალაქში სეირნობისას თუ ქვეყანაში მოგზაურობის დროს? როგორ აღიქვამდნენ მას რიგითი ქვეშევრდომები, უბრალო ხალხი, რომლებიც მას უმეტეს შემთხვევაში შორი მანძილიდან, დაუსწრებლად შეღაღადებდნენ, რადგან იმ ხანად მონარქის ხილვა ერთობ იშვიათი მოვლენა იყო. და, რასაკვირველია, არ შეიძლება იმათი დავიწყება, რომლებიც მას უცხოეთიდან შეჰყურებდნენ და ხშირ შემთხვევაში მის მიმართ მტრულ გეგმებს ამზადებდნენ.

რამდენად შეეძლო მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სისუსტეს ხელი შეეშალა მათი წარმატებული მეფობისათვის, მონარქის სიდიადისათვის და სახელმწიფოს ძლიერებისათვის მაშინ, როდესაც ტახტზე ყოფნისას წარმატებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდნენ რკინის ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე? ელიზაბეთ I შეეძლო ქუჩის ავყია დედაკაცივით გამოელანძღა თავისი კარისკაცები და დიდებულები, ანდა

გაკაპასებულს ფეხსაცმელი გაეძრო და მათთვის თავში ეთხლიშა. მაგრამ საბოლოო ჯამში იგი არ იყო მამამისის, ჰენრი VIII მსგავსი მრისხანე მბრძანებელი, რომლის დროსაც ეშაფოტზე თავები ცვიოდა. ეს იყო განმუხტვის წმინდა ქალური საშუალება. მონარქი საბოლოო ჯამში ქალად რჩებოდა. ქალი კი დაცვას საჭიროებდა და ალბათ სწორედ მის ამ ქალურ სისუსტეში იყო მისი ყველაზე დიდი ძლიერება. ძნელბედობის ჟამს კი, როდესაც ქვეყანას საფრთხე ემუქრებოდა, იგი კიდევ უფრო მეტად უყვარდათ, რადგანაც იგი განასახიერებდა ქვეყანას, ხალხს და სარწმუნოებას. ასეთ დროს პირველ რიგში იყო ქვეყნისა და ხალხის უპირველესი და უსაყვარლესი მანდილოსანი. საყვარელი ქალი კი დაცვას საჭიროებს, ნებისმიერი საშუალებით, თუ საჭიროა საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი.

შესაძლოა იმ განზომილებებითა და მოთხოვნებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია „ტირუკურალში" როგორც მეფეთა ძლიერების კრიტერიუმები, იგი ვერ იქნებოდა მიჩნეული „ლომად მბრძანებელთა შორის". ჯარი, როგორც ასეთი, მას პრაქტიკულად არ ყავდა; ხალხი, რომელზედაც ის მეფობდა, ერთობ მცირერიცხოვანი იყო თუნდაც იმდროინდელი ევროპული განზომილებით; სიმდიდრე, რომელიც იმ ხანად სამეფო ხაზინაში დაგროვილი ოქროსა და ვერცხლის მარაგით იზომებოდა, ვერ გაუტოლდებოდა ევროპის დიდი სახელმწიფოების მონარქთა ხელთ არსებულ ძვირფასი ლითონებიდან მოჭრილი ფულის ოდენობას. მისი ძლიერების საფუძველი იყო მისდამი მისი ხალხის სიყვარული, რომელიც უხილავი ძაფებით კრავდა მთელ ქვეყანას და აღავსებდა ხალხს თავდადებითა და ერთგულებით ამ ყველაზე საყვარელი ქალის მიმართ.

მაგრამ იყო რა გარშემორტყმული სიყვარულითა და ერთგულებით, ელიზაბეთს იმავდროულად შეეძლო არ ყოფილიყო გულზვიადი და უკარება. მას ჰქონდა უნარი შეხებოდა თავისი ხალხის სულის ყველაზე ფაქიზ სიმებს და შესაბამისად მთრთოლვარე გრძნობები გამოეწვია. აღმოჩნდა რა პირისპირ ესპანელთა შემოჭრის საფრთხესთან, მან დახმარებისათვის მიმართა არა საპოლიციო უწყების უფროსს, უმაღლეს კონსტე-

ბლს, არა ჯარის სარდალს, ჯარისა, რომელიც მას როგორც ასეთი არ ყავდა, არამედ ლონდონის ლორდ მერს, რომელიც განასახიერებდა თავისუფალ მოქალაქეებს, რომელთა უდიდეს მონაპოვარს მათი თავისუფლებები და შეუვალობა წარმოადგენდა. და როდესაც მან ლორდ–მერს თხუთმეტი გემი და ხუთი ათასი შეიარაღებული ადამიანი სთხოვა, პასუხად ამ უკანასკნელმა მიუგო, რომ იგი ბედნიერია მისი უდიდებულესობის განკარგულებაში გადასცეს ოცდაათი გემი და თხუთმეტი ათასი შეიარაღებული ადამიანი. და ამის დასტურად, რომ მას შეეძლო სიყვარულზე სიყვარულით ეპასუხა, ელიზაბეთი უშიშრად შეაგელვებდა თავის ეტლს ზღვა ხალხში და ესაუბრებოდა გარშემო მყოფთ. „უფალმა დალოცოს თქვენი უდიდებულესობა" – ისმოდა ხალხის მხრიდან შეძახილები. „ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ხალხი!" – შესძახებდა იგი პასუხად.

სამოცდაათი წელი იცოცხლა ელიზაბეთ I და ორმოცდახუთი მათგანი ტახტზე გაატარა. და ამ დროის მნიშვნელოვან ნაწილს იგი საკუთარი თავის, თავისი სიცოცხლის, ამ ქვეყნად თავისი კანონიერად მოვლენის და ტახტის დაცვას უნდებოდა. შესაძლოა სწორედ იმიტომ გაუსხლტა ხელიდან ის, რაც ალბათ მისი ბედნიერების მწვერვალი გახდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ბედნიერებას მეტოქეობა გაეწიოს მისი ზეობის უდიდესი ჟამისათვის. მაგრამ ეს რა მოხდა. რა მისცა ძალაუფლებამ ადამიანს? რა მოუტანა მან ქალს? როგორ თავსდებოდა ეს ორი მომენტი ერთ პიროვნებაში? რა სჭარბობს გვირგვინოსანში, დედოფალი თუ ქალი? სწორედ ამის გარკვევას შევეცდებით აღნიშნულ ნაშრომში. თავად კი ამ სამოცდაათწლიანი ცხოვრების გზის დასაწყისი, უფრო სწორედ მისი წინარე პერიოდი იდუმალებით იყო მოსილი და არნახულად დიდ ვნებათაღელვას იწვევდა.

1533 წ. ზაფხულში მთელს ინგლისში და ევროპაში ადამიანები, ვინც მეტ-ნაკლებად დაინტერესებული იყვნენ სახელმწიფო საქმეებითა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობით, მოუთმენლად ელოდნენ პასუხს შეკითხვაზე, რომელიც მაშინდელი ევროპული პოლიტიკის ყურადღების ცენტრში იყო.

მეფეები თუ სხვა მმართველები ნადირობიდან დაბრუნებისთანავე მაშინვე იწყებდნენ ამ საკითხზე მსჯელობას. ლონდონში მივლენილ ევროპული სახელმწიფოების ელჩებს ცხენები და შიკრიკები სრულ მზადყოფნაში ყავდათ, ხოლო თავის შეტყობინებებს ისინი ამ საკითხთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანსა და სიახლეს ურთავდნენ თან. ვაჭრები ამ საკითხზე ისეთივე ინტერესითა და გატაცებით ბჭობდნენ თავის რწმუნებულებთან, როგორც ამას აკეთებდნენ სარისკო, მაგრამ საკარაუდოდ ძალზე მომგებიანი გარიგებების დროს. მთელი ამ ვნებათაღელვათა არსი კი თავს იყრიდა ერთადერთ საკითხში: რა შეეძინებოდა მრისხანე მბრძანებლის, მეფე ჰენრი VIII ახალ დედოფალსა და ცოლს ენ (ანა) ბოლეინს, რომელსაც საცაა უნდა ემშობიარა. ქალი თუ ვაჟი?

მაგრამ დედოფლის ესოდენ მოახლოებული მშობიარობა არა მარტო ამგვარ მოვლენასთან ტრადიციულად დაკავშირებულ სასიხარულო მღელვარებას იწვევდა, რაც გამოწვეულია მემკვიდრის, და განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრის ამ ქვეყანაზე მოვლენის მოლოდინით. ესპანეთში, წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი კარლოს V, რომელიც იმავდროულად ესპანეთის მეფის გვირგვინსაც ატარებდა და რომლის თვალუწვდენელ, ორ კონტინენტზე გადაჭიმულ სამფლობელოებში მისივე ხატოვანი გამოთქმით არასოდეს ჩადიოდა მზე, ალბათ ევროპის ყველა გვირგვინოსანზე მეტად უფრო ღელავდა. ეს მღელვარება გამოწვეული იყო განსაკუთრებული, სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური ინტერესებით. ვიდრე ენ ბოლეინს შეირთავდა, ჰენრი VIII გაშორდა თავის პირველ ცოლს, ეკატერინე არაგონელს, იმპერატორ კარლოს V დეიდას. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ როგორც ქორწინება, ასევე განქორწინება არ შეესაბამებოდა კათოლიკური ეკლესიის წესსა და რიგს. უფრო მეტიც, ერთიც და მეორეც მისი საწინააღმდეგო იყო!

მეფე ჰენრი VIII პირველი ქორწინება განპირობებული იყო მხოლოდ პოლიტიკურ-დიპლომატიური ზრახვებით. მანამ, სანამ ჰენრის გაყვებოდა, ეკატერინე ერთი წლის მანძილზე მისი უფროსი ძმის, არტურის ცოლი იყო. ეს ქორწინება განასახ-

იერებდა ინგლის-ესპანეთის კავშირს, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ ქორწინების ერთი წლის თავზე უფლისწული არტური მოულოდნელად გარდაიცვალა. ეკატერინეს დაქვრივება ფაქტიურად ორ სახელმწიფოს შორის დადებული კავშირის მოშლას ნიშნავდა. ამას კი ვერც ერთი მხარე ვერ შეეგუებოდა.

აღნიშნული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებად გამოინახა ერთობ საჩოთირო გადაწყვეტილება. ახალგაზრდა ქვრივის ქორწინება... მის მაზლზე. ეკლესია კრძალავდა ამგვარ ქორწინებებს, როგორც უწმინდურს, მაგრამ საქმეში ინგლისის უმაღლესი სამღვდელოება და მოგვიანებით კი თვით იმდროინდელი პაპი, იულიუს II, ჩაერია. ამგვარმა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. მოშველიებულ იქნა მოსეს ხუთწიგნეულის მეხუთე წიგნის ერთ-ერთი დებულება. ეს წიგნი ღვთისმსახურთა მიერ თავისი წარმომავლობით საეჭვოდ ითვლებოდა, ხოლო თავად დებულება კი ასკვნიდა, რომ კაცი მოვალეა ითხოვოს თავისი დაქვრივებული რძალი (ძმის ცოლი), თუკი ის უშვილოა. ამგვარად დიდი პოლიტიკის ნება-სურვილმა და ინტერესებმა სძლია ყოფით და საეკლესიო მორალსა და ნორმებს. ჰენრიმ ეკატერინე შეირთო ცოლად. მაგრამ მათი ცოლქმრული ცხოვრების მანძილზე ახალ წყვილს მხოლოდ ერთი შვილი, ქალიშვილი მარიამი (მერი) შერჩათ, დანარჩენი ჩვილები კი დაიღუპნენ.

მემკვიდრის საკითხი სულ უფრო მეტი სიმწვავით გამოდიოდა წინა პლანზე, მით უფრო, რომ გამოჩნდნენ ტახტის მოცილეები და საქმეს მხოლოდ მათი ფიზიკური განადგურება ვერ უშველიდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თუნდაც ჰერცოგ ბაკინგემის, ედუარდ III შთამომავლის შემთხვევაში, რომელიც 1521 წ. დასაჯეს სიკვდილით. სწორედ ამიტომ ჰენრიმ მტკიცედ გადაწყვიტა გაყროდა ეკატერინეს და შეერთო თავისი მინისტრის სერ თომას ბოლეინის ქალიშვილი, რომელთან სიახლოვემაც საკმაოდ ძლიერი სასიყვარულო გატაცების ხასიათი მიიღო.

მაგრამ ამჯერად ჰენრის წინააღმდეგ რომი გამოვიდა. პაპი

კლიმენტ VII შეეწინააღმდეგა როგორც მეფის განქორწინებას, ასევე მის ახალ ქორწინებას. ეს განპირობებული იყო სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც იმდროინდელ ევროპაში შეიქმნა. საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მიმდინარე ე. წ. იტალიური ომები, რომლებიც აპენინის ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდნენ, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. უფრო მეტიც, კარლოს V ჯარმა რომი აიღო და პაპი ფაქტიურად იმპერატორის ტყვედ იქცა. ამგვარ პირობებში პაპმა ვერ გაბედა ჰენრისათვის განქორწინების უფლება მიეცა, რაც უდაოდ განარისხებდა ეკატერინეს დისწულს, კარლოს V. შესაძლოა კარლოსს საკუთარი დეიდა გაეწირა, მაგრამ არამც და არამც პოლიტიკური ინტერესები, კერძოდ კი ინგლის-ესპანეთის კავშირი, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომაც პაპმა განზე დარჩენა ამჯობინა და განქორწინების საქმე ისევ ინგლისის საერო და საეკლესიო ხელისუფალთ გადასცა.

მაგრამ ინგლისშიც ვერც ჰენრის ყოვლისშემძლე ლორდ-კანცლერი კარდინალი უოლსი და ვერც პაპის წარგზავნილი კარდინალი კამპეჯიო გახდნენ რაიმეს. საქმე ჩიხში შევიდა. გაშმაგებულმა ჰენრიმ საბოლოოდ დაკარგა მოთმინება. მან დაითხოვა უოლსი, ძალზე უხეშად მოიშორა თავიდან კამპეჯიო, ხოლო 1532წ., როდესაც გარდაიცვალა განქორწინების მოწინააღმდეგე კენტერბერის არქიეპისკოპოსი უარამი, ახალი არქიეპისკოპოსის, ენ ბოლეინის მომხრის კრანმერის მეშვეობით განახორციელა განქორწინება ეკატერინესთან და ცოლად ენ ბოლეინი შეირთო.

ჰენრი VIII ეს ნაბიჯი თავისებური იდეოლოგიური გამოწვევა იყო პაპისა და განსაკუთრებით იმპერატორ კარლოს V მიმართ. სწორედ ამ უკანასკნელის ზეწოლით კლიმენტ VII 1533 წ. გამოსცა ბულა[2], რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ინგლისის მეფე ჰენრი VIII უკანონოდ ცხოვრობდა ენ ბოლეინთან და ამიტომ ამ კავშირის შედეგად შობილი ნებისმიერი ბავშვი

2 რომის პაპის ბრძანებულება, რომელიც ოფიციალური დოკუმენტის სახით იგზავნებოდა ადგილებზე.

უკანონოდ ითვლებოდა. ამ უზენაეს ბრძანებულებას არ შეიძლებოდა შესაბამისი სახით არ ემოქმედა იმ დროის ადამიანთა გუნება-განწყობაზე, მით უმეტეს, რომ სიტუაციას ძაბავდა არაოფიციალური პროპაგანდა, ანუ სხვადასხვა ჭორი თუ მითქმა-მოთქმა, რომელიც ჰენრი VIII საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა ახალი დედოფლის მშობიარობამდე, მით უფრო ვრცელდებოდა ინგლისსა და კონტინენტზე ხმები, რომელთა თანახმად ენ ბოლეინს მკვდრად შობილი ბავშვი შეეძინა, ანდა კიდევ უარესი, მან რაღაც ურჩხული შობა. ამგვარად უკვე დაბადებამდე ჰენრი VIII და ენ ბოლეინის მომავალი ბავშვის გარშემო უკვე შეიქმნა გარკვეული არასასურველი გარემო. ყალიბდებოდა მოსაზრება, რომელიც თავისებურად ეჭვქვეშ აყენებდა ამ ბავშვის არსებობის მართებულობას, რადგანაც მისი არსებობა არ შეესაბამებოდა ადამიანური ყოფის ნორმებს და პრინციპებს.

მაგრამ სურვილები და ბრძანებულებები ძლიერთა ამა ქვეყნისა ვერას გააწყობდნენ განგების ნების წინააღმდეგ. 1933 წ. 7 სექტემბერს, 4 საათზე ნაშუადღევს ენ ბოლეინმა იმშობიარა. მეფე ჰენრის, მისი ერთგული კარისკაცების, თანამზრახველებისა და მთელი პროტესტანტულ სამყაროს სასტიკად გაუცრუვდათ იმედი. დედოფალმა ქალი შვა. ჰენრი VIII მონინააღმდეგეები არ მალავდნენ თავის სიხარულს, მაგრამ მიუხედვად მომხდარისა, ვაჟის მოლოდინში მყოფ ჰენრის ნირი არ ნახდენია. იგი ერთობ ყოჩაღად შეეგება ქალიშვილის შეძენას და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მისი იმედგაცრუება არავის შეეტყო. იმავე დღეს, ბავშვის დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ მეფის ბრძანებით ლონდონის ეკლესიებში შესრულდა „ტე დეუმ"[3]-ი და დაიწყო მზადება, რათა შესაბამისი ზარ-ზეიმით ჩატარებულიყო მეფის ასულის ნათლობა.

დილით, 10 სექტემბერს ჩვილი ჩააბარეს ნორფოლკის მხცოვან ჰერცოგინიას, რომელიც გაუძღვა ბრწყინვალე პროცესიას გრინვიჩში მყოფ ფრანცისკანელთა ეკლესიისაკენ. მსვ-

3 Te Deum Laudamus – კათოლიკურ ეკლესიაში მიღებული უფლის სადიდებელი გალობა.

ლელობაში მონაწილეობდა სამეფოს უმაღლესი დონის ყველა პირი, მათ შორის ლონდონის ლორდ-მერი და საქალაქო კორპორაციების წევრები. თავად ეკლესიაში, რომელიც მდიდრულად იყო შემკული ოქროს მორთულობით და ძვირფასი ვარდისფერი ქსოვილით ბავშვი ვერცხლის ემბაზში მონათლა ლონდონის არქიეპისკოპოსმა სტოქსლიმ. ნათლიებად კენტერბერის არქიეპისკოპოსი კრანმერი, ჰერცოგინია ნორფილკი და მარკიზ დორსეტის ცოლი, ლედი დორსეტი შეარჩიეს. ბავშვს ელიზაბეთი დაარქვეს.

პანია ელიზაბეთი ნათლობის შემდეგ განათავსეს ჰათფილდში, ჰერფორდშირის საგრაფოში მდებარე ბწყინვალე აპარტამენტებში. ბავშვის მოვლა-პატრონობა დაევალა ენ ბოლეინის დეიდას, ლედი ბრაიანს. ელიზაბეთი სამი თვის იყო, როდესაც მეფის კარზე ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რამაც ჩვენი აზრით განაპირობა მეფის შვილთა შემდგომი ურთიერთობა. იმ დროს ჰენრი VIII ბრძანა დაეშორებინათ მისი უფროსი ქალიშვილი მარიამი (მერი) და ამ უკანასკნელის დედა, მეფის პირველი ცოლი, ეკატერინე არაგონელი. მერი ჰათფილდში გადაიყვანეს და ელიზაბეთის სეფე ქალად გაამწესეს. მერის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მან გადაჭრით განაცხადა უარი ეცნო ელიზაბეთი თავის სწორად (მეფის ასულად) და განაცხადა, რომ თავად იყო მეფის ერთადერთი ასული.

ცდილობდა რა განემტკიცებინა თავისი უმცროსი ქალიშვილის მდგომარეობა, და უფრო მეტად მომავალი სავარაუდო მემკვიდრე ვაჟისა (ჰენრის დიდი იმედი ჰქონდა, რომ ენ ბოლეინი მას ვაჟს გაუჩენდა) მეფემ აიძულა პარლამენტი 1534 წ. მარტში მიეღო კანონი ტახტის მემკვიდრეობითობის შესახებ. კანონი ავალდებულებდა მეფის ყველა ქვეშევრდომს ფიცი დაედო, რომ მას განუხრელად სჯერა იმისა, რომ მეფე ჰენრის და დედოფალ ენის ყველა შვილი ტახტის კანონიერი მემკვიდრეა. მოგვიანებით დედოფალი დაორსულდა და ჰენრი კვლავ აღივსო ვაჟის შეძენის იმედით.

მაგრამ ბედის ჩარხი თავნება მონარქის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ დატრიალდა. 1536 წ. იანვარში დედოფალს

მუცელი მოეშალა. ამრიგად, ჰენრი VIII უკვე მეორედ გაუცრუ-ვდა მემკვიდრე ვაჟის ყოლის იმედი. შემდგომ კი მოვლენათა მსვლელობამ ერთობ ტრაგიკული ხასიათი მიიღო. დედოფალი ენი ცოლქმრულ ღალატში დაადანაშაულეს, თანაც რამდენ-იმე საყვარელთან. მის ბრალდებისას სისხლის აღრევასაც კი ასახელებდნენ (მხედველობაში ყავდათ ენის ძმა). რიგ გამოკვ-ლევაში გამოთქმულია მოსაზრება ენის უდანაშაულობის და ამ ბრალდებების უსაფუძვლობის შესახებ. მაგრამ არის ნაშ-რომებიც, სადაც გამოთქმულია ეჭვი დედოფლის სათნოები-სა და მისი ქმრისადმი ერთგულების მიმართ. ამ მოსაზრების დასაბუთების სახით მოყვანილია დედოფლის გამონათქვამე-ბი (დამცინავი და ზოგჯერ უდიერიც კი) მეფის მისამართით იმ ადამიანების თანდასწრებით, ანდა მათთან მიწერილ წერ-ილებიდან, რომლებთანაც მას სასიყვარულო ურთიერთობებში ადანაშაულებდნენ.

ასეა თუ ისე, ეს ბრალდებები საკმარისი აღმოჩნდა იმი-სათვის, რომ დედოფალი სასამართლოს წინაშე წარმსდგარი-ყო, რომელმაც მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. 1536 წ. მაისში ენ ბოლეინს თავი მოკვეთეს.

დედოფალ ენის სიკვდილით დასჯის შემდეგ ორი მნიშ-ვნელოვანი მოვლენა მოხდა. პირველი იყო ჰენრის ახალი ქორწინება. ენ ბოლეინის სიკვდილით დასჯიდან თერთმეტი დღის შემდეგ მეფემ ცოლად შეირთო ლედი ჯეინ სეიმური, რომელიც დედოფალ ენის სეფე ქალი იყო. მეფის ესოდენ სწრაფი ქორწინება გვაფიქრებინებს, რომ ჯეინ სეიმური მას დიდი ხანი ჰქონდა მიზანში ამოღებული და ენ ბოლეინი ალ-ბათ გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ამ მიზნის მიღწევის გზაზე. მეორე სიახლე კი იყო ახალი საპარლამენტო აქტი, რომელიც გამოიცა იმავე, 1536 წ. და რომლის მიხედვით მეფის ორივე ქალიშვილი, მერი და ელიზაბეთი უკანონოებად გამოცხადდნენ. ელიზაბეთს ჩამოერთვა მეფის ასულის (პრინც-ესას) წოდება. ამიერიდან იგი მოიხსენიებოდა როგორც მეფის ქალიშვილი, ლედი ელიზაბეთი. ჰენრის უფროსი ქალიშვილი მერი სამეფო კარზე დააბრუნეს, ელიზაბეთი კი ჰათფილდში

დარჩა. ეს იმას ნიშნავდა, რომ უპირატესობა მერის ენიჭებოდა. იგივეზე მიანიშნებდა ქალიშვილებისათვის გამოყოფილ მსახურთა რაოდენობა, რაც ერთობ ანგარიშგასაწევი იყო იმდროინდელი ნორმებიდან და ეთიკეტიდან გამომდინარე. მერის 42 მოახლე ემსახურებოდა, ელიზაბეთს კი 36. მაგრამ იმავე დროს ელიზაბეთს ერთი უპირატესობა ჰქონდა. იგი არ იყო ვალდებული ხელი მოეწერა ოფიციალური დოკუმენტისათვის (რასაკვირველია, როდესაც იგი წერა-კითხვას ისწავლიდა და, რაც მერისთვის იყო სავალდებულო) რომელიც ადასტურებდა მის, როგორც უკანონო შვილის მდგომარეობას.

1537 წ. ოქტომბერში სამეფო კარზე კვლავ სამწუხარო ამბავი დატრიალდა. დედოფალი ჯეინი მშობიარობას გადაყვა. ამგვარად, ეს უკვე მესამე ცოლი იყო, რომელიც მრისხანე მბრძანებელმა საიქიოს გაისტუმრა (პირველი ცოლი, ეკატერინე არაგონელი 1536 წ. იანვარში გარდაიცვალა). მაგრამ ბავშვი გადარჩა და რამაც ჰენრი ყველაზე მეტად გაახარა (ალბათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო შექმნილ სიტუაციაში), ეს იყო ვაჟი. ვაჟის გაჩენამ გარკვეულწილად გაათანაბრა მერისა და ელიზაბეთის მდგომარეობა. ორივე და ოფიციალურად უკანონოდ გამოცხადდა და ვალდებული იყო ელიარებინა თავისი ძმის, ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ ედუარდის უზენაესობა.

ელიზაბეთი სამი წლისაც არ იყო, როცა დედამისი სიკვდილით დასაჯეს. ამან და იმანაც, თუ როგორ ეპყრობოდნენ მას შემდგომში, მნიშვნელოვნად განაპირობა მისი ხასიათის ისეთი თვისებები, როგორც მორჩილება და სიფრთხილე. მას პირდაპირ და გასაგებად უთხრეს, რომ იგი უკანონო შვილი იყო, ხოლო დედამისი კი უზნეო ქალი. იგი მიაჩვიეს ამ აზრს, რომ მას თაყვანი უნდა ეცა ჰენრი VIII და დამორჩილებოდა მას პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი მეფე იყო. 1537 წ. გამოიცა მეხუთე მცნების განმარტებები. ითვალიწინებდა რა თავად მცნებაში მოცემულ დებულებას: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა", განმარტება მიუთითებდა, რომ აქედან გამომდინარე ქვეშევრდომებს უნდა ყვარებოდა მეფე, ყველა ქვე-

შევრდომის მამა, უფრო მეტად, ვიდრე თავისი მშობელი მამა. ასე რომ, ელიზაბეთი პატარაობიდანვე იმსჭვალებოდა ჰენრი VIII სიყვარულით, მაგრამ ეს იყო სიყვარული მეფის, და არა მამის მიმართ.

ჰენრი VIII ქვირვად სამი წელი დაჰყო. მესამე ცოლის, ჯეინ სეიმურის, გარდაცვალების შემდეგ. ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მრისხანე მბრძანებელს ნამდვილად უყვარდა უდროოდ გარდაცვლილი მეუღლე. 1540წ. ჰენრი VIII მეოთხე ცოლი ითხოვა, გერმანელი პროტესტანტი მთავრის, კლევეს ჰერცოგის და, ანა. ქორწინება სხვა არაფერი იყო, თუ არა დიპლომატიური ზრახვების განხორციელების ერთ-ერთი ხერხი, რომლებსაც სახავდა ჰენრის ლორდ-კანცლერი თომას კრომველი. კრომველი ისწრაფოდა განემტკიცებინა კავშირი ინგლისსა და კონტინენტის პროტესტანტ მმართველებს შორის. მაგრამ ქორწინება ვერ გამოდგა მყარი. კრომველის დიპლომატიურმა გეგმებმა ვერ ჰპოვეს შემდგომი განვითარება. კონტინენტის პროტესტანტებთან კავშირის განმტკიცება არ გამოდგა საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება. ხოლო ჰენრის კი საცოლესთან პირველსავე შეხვედრისას ყოველგვარი იმედი გაუცრუვდა. საპატარძლო აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა იმ გამოსახულებას, რომელიც შექმნილი იყო მეფის კარის მხატვრის, გერმანელი ჰანს ჰოლბეინ უმცროსის მიერ. ამიტომ ქორწინებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მეფე გაშორდა თავის მეოთხე ცოლს. კრომველი სიკვდილით იქნა დასჯილი, ძირითადად მცდარი საგარეო პოლიტიკური კურსის და ალბათ საცოლის არასწორი არჩევანის გამოც. თავად ანამ კი მშვიდობიანად დატოვა მეფის კარი, თანაც მისი კერძო ცხოვრება ერთობ უზრუნველყოფილი იყო დიდი საპენსიო თანხით, 500 გირვანქა სტერლინგით წელიწადში.

მაგრამ მეფემ დიდხანს არ დაჰყო უცოლოდ. მისი პირადი ცხოვრება განზე არ დარჩენილა სამეფო კარზე გაჩაღებული პოლიტიკურ-რელიგიური მეტოქეობისაგან. სამეფო კარზე ორი დაჯგუფება ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას – პროტესტანტული და კათოლიკური. ამ უკანასკნელის ყველაზე გავ-

ლენიანი წარმომადგენელი იყო ჰოვარდთა გვარის წარმომადგენელი ჰერცოგი ნორფოლკი. სწორედ ჰერცოგმა ნორფოლკმა წარუდგინა მეფეს 1540 წ. თავისი ძმისწული კეტრინ ჰოვარდი, რომლის ნორჩმა, თვალწარმტაცმა და გულუბრყვილო სილამაზემ მოხიბლა მეფე. ჰენრიმ გადაწყვიტა „კუდი მოექნია“ (იმ დროს იგი 50 წლის იყო) და შეერთო კეტრინ ჰოვარდი. მაგრამ სულ ცოტა ხანში ასეთი ბრწყინვალე ქორწინებით გამოწვეული ეიფორია გაიფანტა. ჭაბუკმა დედოფალმა აღმოაჩინა, რომ მისი ასაკოვანი მეუღლე სულაც არ იყო მიმზიდველი. ამიტომ ამ „ხარვეზის“ აღმოსაფხვრელ-ასანაზღაურებლად მან დაუცხრომელად დაიწყო არშიყი თავისი ასაკის კარისკაცებთან. მაგრამ მისი „სასიყვარულო ნავარდი“ დიდხანს არ გაგრძელებულა. კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ამცნო მეფეს, რომ დედოფლის ქცევა არ შეესაბამება ზნეობის მკაცრ მოთხოვნებს და თუკი მას ჯერ არ უღალატია თავისი გვირგვინოსანი მეუღლისათვის, იმავდროულად უკვე ღალატის ზღვარზე იდგა. ამგვარ შეტყობინებაზე ჰენრის მხრიდან ერთადერთი და ცალსახა რეაქცია უნდა მოყოლოდა. 1542 წ. იანვარში პარლამენტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება და ჭაბუკ დედოფალს თავი მოჰკვეთეს.

ამჯერად ჰენრიმ ქვრივად 18 თვე დაყო. 1544 წ. ივლისში მან მეექვსედ შეირთო ცოლი. ამჯერად ეს იყო ლედი კეტრინ პარი, ოცდათერთმეტი წლის, ორნაქმარევი. ახალმა დედოფალმა ძალზე დადებითი როლი ითამაშა ოჯახში კეთილგანწყობისა და ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. სწორედ მისი დამსახურება იყო ურთიერთობის აღდგენა მეფესა და მის ორ ქალიშვილს შორის. დედოფალმა კარგი ურთიერთობა დაამყარა ასევე ტახტის მემკვიდრე უფლისწულ ედუარდთან. თავდაპირველად ელიზაბეთი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა სამეფო კარზე, იგი დროის უდიდეს ნაწილს ატარებდა თავის ძმასთან, უფლისწულ ედუარდთან, რომელთანაც მას თბილი და მეგობრული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ბავშვები მონაცვლეობით ატარებდნენ დროს ჰათფილდში, ჰერფორდში, ჰემპტონ ქორთში და სხვა სამეფო რეზიდენციებში. თავის უფროს

დასთან, მერისთან ერთად ისინი მონაწილეობდნენ საოჯახო ვახშმებში, რომლებსაც ჰენრი თავისი შვილებისათვის ანყობდა ჰემპტონ ქორთში.

ჰენრი VIII ბოლო ქორწინება აღსანიშნავია იმ მხრივაც, რომ სწორედ კეტრინ პარმა შეუწყო ხელი ელიზაბეთის ბრწყინვალე სწავლა-განათლებას. იმ დროს ქალები, მათ შორის დიდგვაროვნებიც კი არ იღებდნენ აკადემიურ განათლებას. გოგონებს ზოგჯერ ხეირიანად წერა-კითხვასაც კი არ ასწავლიდნენ. ამ მხრივ ჰენრი VIII ქალიშვილები, და განსაკუთრებით ელიზაბეთი გამონაკლისს წარმოადგენდნენ. ელიზაბეთს მუსიკას ასწავლიდნენ, კერძოდ კლავიშებიან საკრავზე დაკვრას, რომელსაც ვირჯინელი ერქვა. იგი ინტენსიურად ეუფლებოდა უცხო ენებს. ამის წყალობით ელიზაბეთი სრულყოფილად წერდა და კითხულობდა ფრანგულად და იტალიურად, თავისუფლად ლათინურად და საკმაოდ ხეირიანად ესპანურად და ძველ ბერძნულად.

მაგრამ ვირჯინელზე დავკრის დაუფლება და ჰომეროსისა და ვირგილიუსის ენებზე დახვეწილად წერასა თუ საუბარში გაწაფვა სულაც არ მიმდინარეობდა მშვიდ და უდრტვინველ გარემოში. ელიზაბეთის და თვით დედოფლის ზურგს უკან გამუდმებით აბამდნენ ბოროტი ინტრიგების ქსელს. უინჩესტერის ეპისკოპოსი გარდინერი, გრაფი საუთჰემპტონი გამუდმებით ურჩევდნენ მეფეს დაეპატიმრებინა ელიზაბეთი, მისი ორი მოახლე ქალი და თვით დედოფალიც კი, რომელიც თავის რელიგიურ მრწამსში პროტესტანტობისაკენ იხრებოდა. იმ ხანად ეს კარგს არაფერს მოასწავებდა. მდგომარეობა იხსნა მეფის პირადმა ექიმმა დოქტორმა უენდიმ, რომელიც თავად იყო სიმპათიით განწყობილი პროტესტანტობის მიმართ. უენდიმ შეიტყო მოახლოებული საფრთხე და ამცნო იგი დედოფალს. კეტრინ პარმა აქაც გამოავლინა თავისი წინდახედულება. მან უბრძანა ელიზაბეთს და მის მოახლეებს სასწრაფოდ მოეშორებინათ თავიდან აკრძალული, ერეტიკული წიგნები, ხლებოდნენ პატიების სათხოვნელად მეფეს და ეღიარებინათ მისი შეხედულებების ჭეშმარიტება. დედოფლის ვარაუდი გამა-

რთლდა. ჰენრი VIII კმაყოფილი დარჩა ამგვარი მონანიებით. გააუქმა ბრძანება დაპატიმრების შესახებ და უფრო მეტიც, სასტიკად უსაყვედურა გრაფ საუთჰემპტონს მისი ამგვარი რჩევისა და დაბეზღების გამო. ელიზაბეთი ამ ხანად ცამეტი წლისა იყო. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა თავისი მრისხანე მამის კარზე ესოდენ საჭირო თვითგადარჩენის უნარსა და ხელოვნებას. აღნიშნულ ასაკში მან უკვე კარგად იცოდა თუ როგორ უნდა წარმოჩენილიყო მორჩილად, არ გამორჩეულიყო სხვების ფონზე, ეცრუა საჭიროებისამებრ, ანდა გამოეყენებინა წერილებში ყალბი ტექსტი. მან იცოდა, რომ მისი წერილები ნებისმიერ დროს შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ მეფის საიდუმლო სამსახურის მუშაკებს. ამიტომაც წერილების ტექსტი განზრახ შეიცავდა ისეთ ადგილებს, რომლებიც იმისი დასტური უნდა ყოფილიყო, რომ ელიზაბეთს სწამდა ყველაფერი ის, რაც კი მან მეფეს მოახსენა.

1547 წ. იანვარში ჰენრი VIII გარდაიცვალა. წავიდა მრისხანე და სასტიკი მბრძანებელი, რომლის წინაშე ძრწოდნენ ქვეშევრდომები განურჩევლად მათი წოდების თუ წარმომავლობისა. ტახტზე ავიდა მისი ათი წლის ვაჟი ედუარდი. რასაკვირველია, მცირეწლოვანი მეფე, მისი იმედისმომცემი გონებრივი მონაცემებისდა მიუხედავად ქვეყნის ნომინალური, სიმბოლური მმართველი იყო. ქვეყანას სინამდვილეში მართავდა მეფის ბიძა, დედამისი ძმა, გრაფი ჰერფორდი, რომელმაც ჰენრი VIII სიკვდილიდან სამი დღის მანძილზე უამრავი წოდებით შეიმკო თავი. იგი გახდა სამეფოს პროტექტორი (მფარველი), მეფის პიროვნების განმკარგულებელი და მიიღო სომერსეტის ჰერცოგის ტიტული.

თითქოსდა მრისხანე მბრძანებლის წასვლის შემდეგ მდგომარეობა უფრო უდრტვინველი და მართვაც ლმობიერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მდგომარეობას ართულებდა ყმაწვილი მეფის ავადმყოფობა. ედუარდს ჭლექი სჭირდა. დაავადება სულ უფრო და უფრო იკრებდა ძალას. 1553 წ. დასაწყისში ნათელი გახდა, რომ მეფის მდგომარეობა უიმედო იყო. ამგვარ პირობებში დღის წესრიგში კვლავ დადგა ტახტის მემკვიდრის

საკითხი. ჰენრი VIII ანდერძის თანახმად მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი შემდეგ მემკვიდრეებს შეეძლოთ დაეკავებინათ: თავად უფლისწულ ედუარდს, მერე მის ქალიშვილებს, ჯერ მერის და შემდეგ ელიზაბეთს. მათ შემდეგ მემკვიდრეობის უფლება გადადიოდა ჰენრი VIII დების შთამომავლებზე. ჯერ მის უმცროსი დის მერის შვილიშვილზე, ლედი ჯეინ გრეიზე, ხოლო შემდეეგ შუათანა დის, მარგრეტის შვილიშვილზე, შოტლანდიის დედოფალზე მერი (მარიამ) სტიუარტზე.

თავად ედუარდ VI ეწინააღმდეგებოდა თავისი უფროსი დის, მერის გამეფებას. ამის მიზეზი მერის კათოლიკობა იყო. მემკვიდრეობის საკითხი კიდევ უფრო გართულდა კარზე გაჩაღებული ფრაქციული ბრძოლის გამო: სამეფოს პროტექტორი და ფაქტიური მმართველი ჰერცოგი სომერსეტი გამუდმებული შეტევების ობეიქტი აღმოჩნდა. 1552 წ. ეს ყოვლისშემძლე მმართველი დამხობილ იქნა მისი მოწინააღმდეგეების მიერ. სომერსეტმა ჯერ ტაუერში ამოყო თავი, ხოლო შემდეგ კი ეშაფოტზე აღმოჩნდა. მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ სამეფო კარზე და საერთოდ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ვარსკვლავი აკიაფდა. ეს იყო ჯონ დადლი, ჰერცოგი ნორტუმბერლენდი.

ჯონ დადლიმ თავისი კარიერა სამეფო კარზე დაიწყო ჯერ კიდევ ჰენრი VIII დროს, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ედმუნდ დადლი, თავის დროზე ჰენრი VII მინისტრი ჰენრი VIII მეფობის დასაწყისშივე სიკვდილით იყო დასჯილი. ამის მიზეზი იყო ჰენრი VII არაპოპულარული, ხშირად გამოძალვის ზღვარზე მისული საფინანსო პოლიტიკა და ედმუნდ დადლიც, ამ პოლიტიკის გამტარებელი ახალი მეფის დროს განტევების ვაცად იქცა, რითაც ჰენრი VIII თავად-აზნაურობის გული მოიგო. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჯონ დადლისთვის ჰენრი VIII კარზე წარმატებისათვის მიეღწია და მისი მეფობის დასასრულს ვიკონტ ლაილის წოდება მიეღო. ედუარდ VI დროს მან თანამიმდევრობით მიიღო ჯერ გრაფ უორიკის და შემდეგ ჰერცოგ ნორტუმბერლენდის წოდება. ჰერცოგ სომერსეტის სიკვდილით დასჯის შემდეგ ნორტუმბერლენდი ქვეყნის ფაქ-

ტიური მმართველი გახდა.

ნორტუმბერლენდზე ერთობ განსხვავებული აზრები არსებობს. ერთნი მას ახასიათებდნენ როგორც გულად მეომარს და პატივმოყვარე ადამიანს, მეორენი თვლიდნენ, რომ იგი სარწმუნოებრივი საკითხებით სპეკულირებდა (ჰერცოგი პროტესტანტი იყო) თავისი ანგარებიანი მიზნების გამო. მის მიერ პროტესტანტობის იდეებით სპეკულირება ამ რელიგიური მიმდინარეობის ჭეშმარიტი მიმდევრების გულისწყრომას იწვევდა. მაგრამ საერთოჰ ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ჰერცოგი ნორტუმბერლენდი იქცეოდა თავისი დროის სულისკვეთებისდა შესაბამისად. იმ დროს კი მეტნაკლებად გავლენიანი კარისკაცი, რომელიც ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები სამეფო კარზე, იმავდროულად ითვალისწინებდა პოლიტიკური გარემოს მყიფე, არამდგრად ხასიათს. ამგვარი გარემო კი ვერ პირდებოდა რაიმე გარკვეულს და ნათელს ამ პროცესის მონაწილეებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველა, ვინც მეტნაკლებად გრძნობდა საკუთარ ძალასა და უნარს, სავსებით ბუნებრივი სწრაფვით იყო განმსჭვალული – პირველობა მოეპოვებინა.

მოიპოვა რა ედუარდ VI არნახული ნდობა, ჰერცოგმა ნორტუმბერლენდმა შეიმუშავა თავისი პოზიციების განსამტკიცებელი გეგმა. მან შთააგონა ედუარდს ტახტის მემკვიდრეობის საკითხი გადაეწყვიტა საკუთარი ნება-სურვილიდან გამომდინარე, როგორც ეს თავის დროზე მამამისმა, ჰენრი VIII გააკეთა. ედუარდის გადაწყვეტილების შესაბამისად მერი და ელიზაბეთი გამოირიცხნენ მემკვიდრეთა რიგებიდან, რაც, რასაკვირველია, ნორტუმბერლენდის მიერ იყო ნაკარნახევი. ამის შემდეგ ნორტუმბერლენდმა მეფეს ტახტის ნომერი პირველ პრეტენდენტად ლედი ჯეინ გრეის კანდიდატურა შესთავაზა. პრაქტიკულად მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი მეფე არც ამას შეწინააღმდეგებია. და ბოლოს, ნორტუმბერლენდმა კიდევ ერთი მოხერხებული სვლა გააკეთა, რომელსაც მისთვის გზა უნდა გაეხსნა სანუკვარი მიზნისკენ. 1553 წ. მაისში მან თავისი ერთ-ერთი ვაჟი, გილფორდი დააქორწინა ჯეინ გრეიზე.

1553 წ. ივლისში თექვსმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა მეფე ედუარდ VI. ოთხი დღის შემდეგ კი ლედი ჯეინ გრეი დედოფლად იქნა გამოცხადებული. ნორტუმბერლენდი გამარჯვებას ზეიმობდა, მას გზას უკვე არავინ უღობავდა. მაგრამ მოულოდნელად ბედის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა. დედოფალ ჯეინის მეფობა სულ ცხრა დღეს გაგრძელდა. ნორტუმბერლენდის ტრიუმფი მოჩვენებითი გამოდგა. სინამდვილეში იგი იზოლაციაში აღმოჩნდა. მას არ დაუჭირეს მხარი საიდუმლო საბჭოს წევრებმა, მისმა საკუთარმა სამხედრო შენაერთებმა და პროტესტანტებმაც კი, რომლებსაც არ სურდათ ჰერცოგი, რადგან სთვლიდნენ, რომ იგი რელიგიას თავისი ანგარებიანი მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. საიდუმლო საბჭოს წევრების პოზიცია, რომლებიც გამოხატავდნენ გაბატონებული ფენების ინტერესებს, აიხსნებოდა იმით, რომ ამ უკანასკნელთა თვალში ტახტის თანამიმდევრობითი მემკვიდრეობითობის პრინციპით დაკავებას უპირატესობა ენიჭებოდა მემკვიდრის პირადი არჩევანის საფუძველზე დანიშვნასთან, როგორც ეს ედუარდ VI გააკეთა. ეს იყო მსხვილი მიწათმფლობელების პოზიცია და საერთოდ მოსახლეობისაც კი, რომლებიც უფრო ჰენრი VIII უფროსი ქალიშვილის, მერის, გამეფებას უჭერდნენ მხარს. ეს უკანასკნელი გამოცხადდა კიდეც დედოფლად მისი მომხრეების მიერ 1553 წ. 19 ივლისს ჰერცოგ ნორტუმბერლენდს სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ჩაბარებოდა ახალ დედოფალს მისგან შეწყალების იმედით.

1553 წ. 3 აგვისტოს დედოფალი მერი თავისი მომხრეების თანხლებით შევიდა ლონდონში. დედაქალაქი ზარ-ზეიმით შეეგება ახალ დედოფალს. ლონდონი გაჩირაღდნებული იყო, განუწყვეტლივ რეკდნენ ეკლესიათა ზარები, ხოლო ქუჩებში სუფრები იყო გაშლილი საზეიმო ნადიმისათვის.

ახალი დედოფლის მმართველობა შედარებით მშვიდად დაიწყო. მხოლოდ ჰერცოგი ნორტუმბერლენდი იქნა სიკვდილით დასჯილი. ვიდრე თავს მოკვეთდნენ, ჰერცოგმა აღიარა თავისი დანაშაულებრივი ქმედება, საკუთარი მრწამსის (პროტესტანტობის) სიმცდარე და კათოლიკობის უზენაესობა. მაგრამ მის

რძალს, დამხობილ დედოფალს ჯეინ გრეის, ხუთ ვაჟს, მათ შორის ჯეინის ქმარს გილფორდ დადლის და ჯეინის მამას, გრაფ საფოლკს შედარებით ლმობიერად მოექცნენ და ტაუერში გამომწყვდევა აკმარეს. მაგრამ მეფობის ამგვარი დაწყება არ ნიშნავდა იმას, რომ მომავალში მოვლენათა მსვლელობა კვლავ მშვიდობიანად განვითარდებოდა. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ დღის წესრიგში იდგა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ცალ-ცალკე ვერ მოხდებოდა. პირველი იყო სარწმუნოების მომავალი ინგლისში. როგორ სარწმუნოებას ეზიარებოდა ინგლისი? დაადგებოდა იგი თუ არა პროტესტანტობის შემდგომი განვითარების გზას, თუ დაუბრუნდებოდა კათოლიკობას? მეორე საკითხი კვლავ ტახტის მემკვიდრის პრობლემა იყო, რაც თავის მხრივ წინა პლანზე სწევდა დედოფლის გათხოვების აუცილებლობას. თავის მხრივ ეს ორივე საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ელიზაბეთის სვე-ბედთან.

მერი მართლმორწმუნე კათოლიკე იყო და ისწრაფოდა აღედგინა კათოლიკობა. მასზე ამბობდნენ, რომ მას შეეძლო მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ეპატიებინა, მაგრამ ულმობელი იყო მათ მიმართ, ვინც კი დანაშაულს სარწმუნოების წინააღმდეგ ჩაიდენდა. მერი მზად იყო დაეწყო კათოლიკობის აღდგენა და ამისთვის მკაცრი და სასტიკი ზომებიც კი გამოეყენებინა, მაგრამ მის ამ განზრახვას წინ აღუდგა... მის გათხოვებასთან დაკავშირებული საკითხი. მერი ოცდაჩვიდმეტი წლის იყო, და მას აჩქარება მართებდა, რათა იმ დროის ვარაუდებითა და გათვლებით, მოესწრო მემკვიდრის გაჩენა. ლორდ-კანცლერს, ეპისკოპოს გარდინერს მზად ყავდა დედოფლისათვის საქმრო. ეს იყო ედმუნდ კორტნი, დევონის გრაფი, რომელიც ჰენრი VIII დროს შერისხული იყო და პატიმრობაში იმყოფებოდა.

მაგრამ თავად დედოფალს სხვაგან ეჭირა თვალი. თავის მხრივ მას თვალი დაადგა წმინდა რომის იმპერიის იმპერატორმა კარლოს V, რომელსაც მერი სარძლოდ უნდოდა. იმპერატორს სურდა თავისი ვაჟი ფილიპე მერიზე დაექორწინებინა. ფილიპეს

მამისაგან ესპანეთის გვირგვინი, ნიდერლანდები და იტალიური სამფლობელოები ერგებოდა. ეს მერის კანდიდატურას ძალზე სასურველს ხდიდა ჰაბსბურგთა დინასტიისათვის. ქორწინების შემთხვევაში ინგლისი ესპანეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ეს ჰაბსბურგებს საშუალებას მისცემდა თავისი სამფლობელოებით და დაქვემდებარებული ტერიტორიებით თავისებურ რკალში მოექციათ საფრანგეთი, მათი მთავარი მეტოქე კონტინენტზე. ამით ჰაბსბურგების წინაშე ევროპაში ბატონობის საკმაოდ რეალური პერსპექტივა იშლებოდა. იმისათვის, რომ ამ პერსპექტივისათვის ნიადაგი არ გამოეცალა კარლოს V ურჩია თავის სარძლოს არ დაეწყო ინგლისში კათოლიკობის გამალებით აღდგენა და არ აეძულებინა თავისი ქვეშევრდომები დაუყოვნებლივ უერყოთ პროტესტანტობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1553 წ. 12 აგვისტოს მერიმ ძალისძალად გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თუმცა კი ის იმედოვნებს, რომ მისი ქვეშევრდომები დაჰყვებიან მის რჩევას და მიუბრუნდებიან კათოლიკურ სარწმუნოებას, მაგრამ იმავე დროს არ აპირებს ძალის გამოყენებას ამ მიზნის მისაღწევად". მერის სინამდვილეში სურდა მკაცრი და გადამჭრელი ზომების მიღება, მაგრამ სწრაფვა ცოლად გაყოლოდა ფილიპეს და სამამათილოს მოთხოვნა აიძულებდნენ მას შედარებით შემწყნარებელი ყოფილიყო.

მაგრამ მერის ამგვარი შემწყნარებლობის დროსაც ელიზაბეთი არ იყო ხიფათისაგან დაზღვეული. იგი პროტესტანტად იყო გაზრდილი და თავდაპირველად უარი თქვა წირვას დასწრებოდა, თუმცა კი პირველი იყო, ვინც მიეახლა და ერთგულება შეფიცა მერის. მაგრამ მოგვიანებით დედოფალმა ზეწოლა გააძლიერა და ელიზაბეთი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო. მაგრამ დათმობა ელიზაბეთის მხრიდან ვერ გააქარწყლებდა მერის უნდობლობას მის მიმართ. უნდობლობას აღვივებდა იმპერატორის ელჩი ინგლისში სიმონ რენარიც. 1553 წ. აგვისტოს მიწურულში იგი წერდა მერის, რომ ელიზაბეთი არ იყო სანდო მისი პროტესტანტობის გამო. „ვფიქრობ, რომ იგი (ელიზაბეთი – ივ. მ.) იზიარებს ახალ სარ-

წმუნოებას იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი მიმ-
დევრები მიიმხროს და შეთქმულება მოაწყოს. შესაძლოა, ჩვენ
ვცდებით ჩვენს ეჭვებში, მაგრამ ახლა ის დროა, როცა უნდა
დაასწროთ და შესაბამისი ზომები მიიღოთ, ვიდრე რომ თქვენ
დაგასწრონ" – წერდა რენარი დედოფალს. რენარი თვლიდა,
რომ ელიზაბეთი მალავდა თავის ჭეშმარიტ ზრახვებს და ამი-
ტომაც სახიფათო იყო.

მაგრამ მერი არ ჩქარობდა დის წინააღმდეგ სასტიკი ზომე-
ბის მიღებას. შემწყნარებლობა ელიზაბეთის მიმართ კარგი სა-
ბაბი იყო მისთვის დაერწმუნებინა პარლამენტი კათოლიკობის
აღდგენის აუცილებლობაში, რაც უზენაესი საკანონმდებლო
ორგანოს შესაბამისი აქტით უნდა მომხდარიყო. მაგრამ მერ-
ის შემწყნარებლობა არა მხოლოდ ამ ტაქტიკური სვლით იყო
გამოწვეული. ელიზაბეთი არ იყო მარტო. მას ყავდა მომხრეე-
ბი საიდუმლო საბჭოში. ესენი იყვნენ პროტესტანტები გრაფი
არანდელი, გრაფი პემბორკი, გრაფი სასექსი, ლორდი უილიამ
ჰოვარდი და სერ უილიამ პაჯეტი. მოგვიანებით ელიზაბეთმა
მიიღო უფლება გადასახლებულიყო თავის მამულში, აშბრი-
ჯში, სენტ ოლბანსის მახლობლად. წასვლის წინ პაჯეტმა და
არანდელმა მკაცრად გააფრთხილეს იგი არ გაკარებოდა რაიმე
შეთქმულებას. სწორედ ელიზაბეთის აშბრიჯში ყოფნისას
ქვეყანაში დიდი ამბები დატრიალდა.

მერი გათხოვებას ჩქარობდა, რათა მემკვიდრე ყოლოდა.
წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიკვდილის შემდეგ ტახტი
ელიზაბეთს უნდა რგებოდა, რომელიც თავის დაზე ჩვიდ-
მეტი წლით იყო უმცროსი. მიუხედავად იმისა, რომ ლორდ-
კანცლერს ეპისკოპოს გარდინერს და განსაკუთრებით პარლა-
მენტს დედოფლისათვის ინგლისელი საქმრო ერჩივნათ მერიმ
დაუყოვნებლივ აღკეთა მათი რაიმე მცდელობა გავლენა მო-
ეხდინათ მისთვის საქმროს შერჩევის საკითხზე. „ინგლისის მე-
ფეებს პარლამენტი ნუ მიმართავს ამგვარ საკითხებთან დაკავ-
შირებით". გააწყვეტინა მერიმ სიტყვა თემთა პალატის სპიკ-
ერს, როცა ეს უკანასკნელი შეეხო დედოფლისათვის საქმროს
შერჩევის საკითხს. 1554 წ. ესპანეთის მეფე ფილიპე II დაიდო

საქორწინო ხელშეკრულება.

მაგრამ ამ დროს მერის გადაწყვეტილებას წინ აღუდგა დიდი პოლიტიკა. საფრანგეთი, მეფე ანრი II შეაშფოთა ინგლისში ესპანეთის პოზიციების გაძლიერების პერსპექტივამ. ამას შესაძლოა ესპანეთის დომინირება მოყოლოდა მთელ ევროპაში. ამიტომ საფრანგეთის დიპლომატიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ინგლისელი პროტესტანტები, მათი უკმაყოფილება მომავალი ესპანური ქორწინებით. ბუნებრივია, რომ ინგლისელი პროტესტანტების აზრით, ეს ქორწინება საფრთხეს შეუქმნიდა ინგლისის დამოუკიდებლობას და მათ რელიგიურ მრწამსს.

ამგვარად, საფრანგეთის წაქეზებით 1554 წ. იანვარში კენტის საგრაფოში აჯანყებამ იფეთქა. ლონდონის შემდეგ ყველაზე დიდი გავლენა პროტესტანტობას სწორედ კენტში ჰქონდა. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ელინსტონელი მსხვილი მიწათმფლობელი, სერ თომას უაიტი.[4] აჯანყებულმა პროტესტანტებმა, რომლებმაც თავის დროზე დედოფალ ჯეინს შეაქციეს ზურგი და ძირითადად იმიტომ, რომ სძულდათ მის ზურგს უკან მდგომი მისი ანგარებიანი მამამთილი ჰერცოგი ნორტუმბერლენდი, ამჯერად იმედის თვალი ელიზაბეთს, პროტესტანტ პრინცესას მიაპყრეს. უაიტმა წერილი მისწერა ელიზაბეთს, რომელშიც ჩამოაყალიბა მისი ტახტზე აყვანის გეგმა. ეს, რასაკვირველია, ელიზაბეთს კარგს არაფერს უქადდა, მით უმეტეს, რომ წერილი დედოფლის მსტოვრებმა ჩაიგდეს ხელში.

ელიზაბეთისდა საბედნიეროდ, არ არსებობდა რაიმე სამხილი, რომელიც ადასტურებდა, რომ მას მცდელობა ჰქონდა დაემყარებინა კავშირი სერ თომას უაიტთან. მაგრამ ელიზაბეთის ნეიტრალურობისდა მიუხედავად, ის მაინც რჩებოდა აჯანყებულთა თავისებურ ნიშან-სვეტად. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც გადმოცემა ლონდონის გალავნის აჩრდილზე. როდესაც სერ თომას უაიტი და მისი 7 ათასი მომხრე მიუახლოვდნენ ლონდონს, სადაც მათ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდათ, აჯანყებულთა შორის და ქალაქშიც ასეთი ხმა გავრცელდა. შეძახილებზე „ღმერთო, შენ დაიფარე მერი!“ – გალავნის კედელი

4 იგი იყო ცნობილი ინგლისელი პოეტის, სერ თომას უაიტის ვაჟი.

სდუმდა. მაგრამ როდესაც ისმოდა შეძახილები: „ღმერთო, შენ დაიფარე ლედი ელიზაბეთი!“ კედლიდან გამოსული იდუმალი ხმა ამბობდა: „დაე იყოს ასე!“.

აჯანყების მიმდინარეობისას მერიმ წერილი მისწერა ელიზაბეთს და სამეფო კარზე გადმოსვლა უბრძანა, სადაც იგი უსაფრთხოდ იქნებოდა, ვიდრე აშბრიჯის მამულში. ელიზაბეთის მსახურთუხუცესმა მოახსენა დედოფალს, რომ მისი პატრონი ავადაა და ვერ შესძლებს სამეფო კარზე მისვლას. მერი დაეჭვდა ნათქვამის ჭეშმარიტებაში და იმისათვის, რომ გაეგო სიმართლე, აშბრიჯში თავისი ექიმები, დოქტორი უენდი და დოქტორი ოუენი გააგზავნა. ექიმები ადგილზე ჩავიდნენ და დაადასტურეს ელიზაბეთის ავადმყოფობა.

აჯანყება ჩახშობილ იქნა. სერ თომას უაიტი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. მერიმ მტკიცედ გადაწყვიტა უვნებელყო ყველა სავარაუდო მოწინააღმდეგე ან ისინი, ვისაც მისი მოწინააღმდეგეები სავარაუდო ამბოხის სიმბოლოდ გადააქცევდნენ. სიკვდილით დასაჯეს ჯეინ გრეის მამა, გრაფი საფოლკი და სერ პიტერ კარიუ. უაიტის აჯანყების დროს ისინი წარუმატებლად ცდილობდნენ ამბოხი დაეწყოთ შესაბამისად ლესტერსა და დევონში. ეშაფოტზე აღმოჩნდნენ თავად ჯეინ გრეი და მისი ქმარი გილფორდ დადლიც, რომლებიც იმხანად ტაუერში იყვნენ გამომწყვდეული და აჯანყებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

აქედან მოყოლებული ელიზაბეთს ძნელი დროება დაუდგა. მერი დაჰყვა კარლოს V ელჩის რენარის და ლორდ-კანცლერ ეპისკოპოს გარდინერის რჩევებს და ელიზაბეთის დაპატიმრება ბრძანა. 1554 წ. 17 მარტს ელიზაბეთი ტაუერში გადაიყვანეს. ვიდრე დაცვას ჩაბარდებოდა, ელიზაბეთი იქვე, ტაუერის კედელთან მდებარე ლოდზე ჩამოჯდა, თუმცა კი ის სველი იყო. „მადამ, უთხრა მას ტაუერის დაცვის უფროსმა ჯონ ბრიჯესმა – თქვენზე უკეთეს რამეს ეს წვიმა ვერ მოიტანს, მაგრამ ადგილი, რომელზედაც თქვენ ზიხართ, მაინცდამაინც ხელს ვერ შეუწყობს თქვენს ჯანმრთელობას“. ბრიჯესი სველ და ნესტიან ქვას გულისხმობდა. „აქ ჯდომა სჯობია ამაზე უარეს ადგილზე

ჯდომას“ – უპასუხა ელიზაბეთმა.

ელიზაბეთმა ტაუერში ოთხი თვე დაჰყო. მიღებულ იქნა მკაცრი ზომები, რათა მას არ ჰქონოდა ურთიერთობა სხვა პატიმრებთან. მას გამოუყვეს ოთხი ოთახი და ოთხი მსახური. იმ დროს, როდესაც ელიზაბეთი ტაუერში იმყოფებოდა, ლონდონში, სამეფო კარზე დედოფალი და მისი დაახლოებული პირები ბჭობდნენ, თუ როგორ მოქცეოდნენ ესოდენ საპატიო პატიმარს. ლორდ-კანდლერი გარდინერი და კარლოს V ელჩი, რენარი კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ ელიზაბეთის სიკვდილით დასჯას. „სანამ იგი ცოცხალი იქნება, მისი მომხრეები მუდამ შეთქმულებებს მოაწყობენ, რათა იგი გაამეფონ“. ასეთი იყო რენარის განმარტება. მაგრამ ამ მოთხოვნას კატეგორიულად წინ აღუდგნენ საიდუმლო საბჭოს პროტესტანტი წევრები, ლორდი უილიამ ჰოვარდი, სერ უილიამ პაჯეტი და მათი მომხრეები.

ოთხი თვის შემდეგ ელიზაბეთი ტაუერიდან შინაპატიმრობაში გადაიყვანეს. შინაპატიმრობა მას ვუდსტოკში, ოქსფორდშირის საგრაფოში უნდა მოეხადა. და აი მაშინ გამოჩნდა, თუ როგორ უყურებდა ქვეყანა ელიზაბეთს. ლონდონიდან ვუდსტოკამდე, გზაზე უამრავი ხალხი იყო თავმოყრილი, რომელიც ყოველნაირად გამოხატავდა ელიზაბეთის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას. სიმპათიების გამოხატვა იმდენად დაუფარავად ხდებოდა, რომ ბადრაგის უფროსმა სერ ჰენრი ბედინგფილდმა დედოფალს მისწერა: „ხალხი, რომელიც ლონდონსა და ვუდსტოკს შორის ცხოვრობს, ბევრ რამეში მოიკოჭლებს, განსაკუთრებით კი სარწმუნოების საკითხში“.

ისევე როგორც ტაუერში, ვუდსტოკში ელიზაბეთი მკაცრ პირობებში იმყოფებოდა. მას აკრძალული ჰქონდა სეირნობა პარკში და ბაღში. მან ითხოვა, რომ მასთან მიევლინათ მისი უცხო ენების მასწავლებელი ჯონ პიქტონი, რათა მისი ცოდნა ამ დარგში დავიწყებას არ მისცემოდა. მაგრამ პასუხად უარი მიიღო. „ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია ამ ადამიანის შეხედულებებისა და ბიოგრაფიის შესახებ.“ ასეთი იყო იმავე სერ ჰენრი ბედინგფილდის პასუხი. ხოლო როდესაც ელიზა-

ბეთმა მოითხოვა მიეცათ მისთვის ბიბლია ინგლისურ ენაზე, ციცერონის ორი ტომი და დავითის ფსალმუნები ლათინური ენაზე, ბედინგფილდმა უპასუხა, რომ იგი წიგნებს მიიღებს მას შემდეგ, რაც ისინი საგულდაგულო შემოწმებას გაივლიან. დაცვის უფროსი შიშობდა, რომ წიგნებში რაიმე საიდუმლო, შენიღბული შეტყობინება შეიძლებოდა ყოფილიყო.

იმ დროს, როცა ელიზაბეთი შინაპატიმრობაში იყო, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენათა მსვლელობა სულ უფრო და უფრო იძენდა საგანგაშო ხასიათს. 1554 წ. ივლისში მერიმ ჯვარი დაიწერა ესპანეთის მეფე ფილიპე II. ჯვრისწერა უინჩესტერის საკათედრო ტაძარში შედგა. ფილიპეს ინგლისის მეფის წოდება ებოძა, მაგრამ მისი ფუნქციები და უფლებები ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ერთობ შეზღუდული იყო. მას ევალებოდა მხოლოდ დახმარებოდა თავის გვირგვინოსან მეუღლეს სახელმწიფო საქმეებში. მინისტრებად მხოლოდ ინგლისელები ინიშნებოდნენ. იმ შემთხვევაში, თუკი ფილიპეს ვაჟი, დონ კარლოსი, რომელიც მას პირველ ცოლთან შეეძინა, უშვილოდ გარდაიცვლებოდა მამამისზე ადრე, მაშინ მერისა და ფილიპეს მომავალი შვილი მემკვიდრეობით მიიღებდა ესპანეთის გვირგვინს და მის დაქვემდებარებაში მყოფ მიწებს, მათ შორის ამერიკას, ნიდერლანდებს და იტალიურ სამფლობელოებს.

ასეთი მრავლისმთქმელი და იმავდროულად ბუნდოვანი პერსპექტივების მიუხედავად, გაურკვეველი იყო, რა ფორმით უნდა მომხდარიყო თავად ინგლისის და ესპანეთის თანაარსებობა. ამ ქორწინებამ თავიდანვე გამოიწვია ქვეყანაში დიდი უკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ სერ თომას უაიტის აჯანყება, რომელიც სახალხო პროტესტს გამოხატავდა ამ ქორწინების წინააღმდეგ, ჩახშობილ იქნა, უკმაყოფილებამ მალე იჩინა თავი ყოველდღიურ, ყოფით ურთიერთობაში. ფილიპეს და მისი თანმხლები ესპანელი აზნაურების ქედმაღლობამ და ამპარტავნებამ ინგლისელთა ცალსახად მტრული დამოკიდებულება გამოიწვია. „ინგლისელებს ეშმაკზე უფრო მეტად ვძულვართ და შესაბამისადაც გვეპყრობიან“ – წერდა ფილიპეს თანმხლები ერთ-ერთი დიდგვაროვანი ესპანელი. ლონ-

დონის ქუჩებში გახშირდა ჩხუბი და შეტაკებები ინგლისელებსა და ესპანელებს შორის. „არასოდეს დედაქალაქის მოსახლეობის ქცევა არ ყოფილა ესოდენ თვითნებური, არასოდეს არ გამოუხატავთ გულისნყრომა უცხოელთა მიმართ ამგვარად, როგორც სიტყვით, ასევე საქმით" – წერდა კარლოს V მისი ელჩი ინგლისში რენარი.

ესპანელებზე თავდასხმებს და მათ ცემა-ტყეპას თან სდევდა გამოხდომები კათოლიკობისა და კათოლიკე სამღვდელოების წინააღმდეგ. მაგ. ლონდონში სახელდახელოდ აგებულ სახრჩობელაზე გაითამაშეს ჩამოხრჩობის შეურაცხმყოფელი იმიტაცია. ჩამოახრჩვეს კატა, რომელსაც თავზე ბალანი ისევე ჰქონდა გაპარსული, როგორც თმა კათოლიკე მღვდელს, ხოლო ტანზე კათოლიკე ღვთისმსახურის მსგავსი სამოსი ეცვა. თავს დაესხნენ კათოლიკე მღვდელს, დოქტორ ბორნს. დოქტორი ბორნი უეჭველად დაიღუპებოდა, რომ არა ცნობილი პროტესტანტი ღვთისმსახურების ეპისკოპოს ჯონ როჯერსის და ჯონ ბრედფორდის ჩარევა. სიტუაციის თანდათან დაძაბვას მოყვა ტრადიციული ჭორი და მითქმა-მოთქმა. გავრცელდა ხმები, რომ მეფე ედუარდ VI სულაც არ მომკვდარა, რომ იგი ცოცხალია, მალე მოვა და გაუძღვება ხალხს კათოლიკობასა და ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამგვარი გამოხდომები და კონფლიქტები დედოფალ მერის წისქვილზე ასხამდა წყალს, რომელსაც უკვე დიდი ხანი სწადდა ჭკუა ესწავლებინა პროტესტანტებისათვის. ეპისკოპოსები როჯერსი და ბედფორდი დააპატიმრეს. მათ ბრალი დასდეს არეულობის მოწყობაში, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ სწორედ მათ იხსნეს უეჭველი სიკვდილისაგან კათოლიკე მღვდელი დოქტორი ბორნი.

1554 წ. ნოემბერში ინგლისში დაბრუნდა კარდინალი რეჯინალდ პოლი, რომელიც თითქმის ოცი წელი ემიგრაციაში იმყოფებოდა იტალიაში. პოლი პაპის ლეგატის (წარმომადგენლის) უფლებამოსილობით იყო აღჭურვილი. მისი და ახლადშეკრებილი პარლამენტის მისია მდგომარეობდა ინგლისსა და რომს შორის ოფიციალური კავშირის ანუ კათოლიკობის აღდ-

გენაში. ეს მნიშვნელოვანი საკითხი ძალზე სწრაფად გადაწყდა, რადგან იგი ეკონომიკური გადასახედიდან იქნა განხილული. როგორც კი კარდინალმა პოლმა განაცხადა, რომ მონასტრები არ აღდგება, ხოლო მიწები, რომლებიც მათ ჰენრი VIII ჩამოართვა, დარჩება ახალი მფლობელების ხელში, ვინც ისინი რეფორმაციის დროს შეიძინა პარლამენტმა დაუყოვნებლივ მიიღო დადგენილება მწვალებელთა (ერეტიკოსების) წინააღმდეგ მოქმედი კანონის აღდგენის შესახებ. მწვალებლებში რასაკვირველია სხვა არავინ იგულისხმებოდა, თუ არა პროტესტანტები. ამრიგად, თავადაზნაურობამ, რომელმაც რეფორმაციის წყალობით დიდი რაოდენობით შეიძინა მიწები, ახლა ამ ახლადშეძენილი საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ გზა გაუხსნა კონტრრეფორმაციას. პროტესტანტების დევნა დაიწყო.

პირველი მსხვერპლი იყო ეპისკოპოსი როჯერსი. სწორედ ის, ვინც კათოლიკე მღვდელი დოქტორი ბორნი გადაარჩინა სიკვდილს. როჯერსი სმიტფილდში დაწვეს 1555 წ. თებერვალში. როგორც სიმონ რენარი ამცნობდა კარლოს V დასჯის დამსწრე ხალხი აღსავსე იყო კეთილგანწყობით სიკვდილმისჯილის მიმართ. ერთნი ქვითინებდნენ, მეორენი უფალს ევედრებოდნენ ძალა და სიმედგრე მიეცა სიკვდილმისჯილისათვის, რათა ვაუკაცურად აეტანა მოწამებრივი სიკვდილი. ხოლო როცა ყველაფერი დასრულდა, იქ მყოფმა ადამიანებმა დაიწყეს ფერფლისა და ნაშთების შეგროვება და საგულდაგულოდ შენახვა, როგორც წმინდა ნაწილებისა. იმავდროულად გამუდმებულად ისმოდა ლანძღვა და მუქარა კათოლიკე სამღვდელოების მისამართით.

როჯერსს ეპისკოპოსი ჰუპერი მოყვა, რომელიც გლოსტერში დაწვეს. მოგვიანებით კარმარტენში კოცონზე ავიდა ფერარი. ამის შემდეგ დაწვეს კენტერბერის ყოფილი არქიეპისკოპოსი კრანმერი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის საეკლესიო და საერო, კერძოდ კი სახელმწიფო ცხოვრებაში ჰენრი VIII და ედუარდ VI მეფობის ხანაში. იმ იმედით, რომ მას შეიწყალებდნენ, კრანმერმა მოინანია,

უარყო პროტესტანტობა და მონანიება წერილობითი ფორმით გააგზავნა შესაბამის უწყებაში. ამგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. მას კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. იმისათვის, რომ რამენაირად გამოესყიდა თავისი სიმხდალე, რომელიც მან ჩაიდინა მაშინ, როცა მისი თანამოაზრეები ვაჟკაცურად ეგებებოდნენ სიკვდილს, კრანმერმა ჯერ მარჯვენა ხელი შეუშვირა ცეცხლის ალს და დასძინა: „დაე, ჯერ ეს ხელი დაიწვას, რომელმაც ჩემი მონანიება დაწერა". ხოლო თავდადებისა და საკუთარი მრწამსისადმი ერთგულების ნიმუში ეპისკოპოსმა ჰიუ ლატიმერმა წარმოაჩინა. 1555 წ. ნოემბერში ლატიმერს და მის თანამოაზრეს ეპისკოპოს ნიკოლას რიდლის კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. სიკვდილით დასჯა ოქსფორდში ჩატარდა.[5] როგორც ჩანს, რიდლი შედრკა საზარელი აღსასრულის წინაშე. და აი, ამ მძიმე წუთებში ლატიმერმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც უკვდავყვეს მისი სახელი და ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს კაცობრიობის ისტორიაში. „ყოჩაღად იყავით, – მიმართა მან რიდლის, – დღეს ჩვენ ღვთის მადლით ისეთ სანთლებს ავანთებთ, რომელთა ნათება, მწამს, არასოდეს ჩაქრება".

მაგრამ მწვალებლობისათვის, ანუ პროტესტანტობისათვის წვავდნენ არა მარტო ღვთისმსახურებს, არამედ ერისკაცებსაც, ძირითადად მდაბიო წარმოშობის, ხშირ შემთხვევაში მოხუცებს, ხეიბრებს (მაგ. უსინათლოებს) და ა. შ. ერთი სიტყვით, ადამიანებს, რომლებიც ვერანაირ ხიფათს ვერ შეუქმნიდნენ ხელისუფლებას. საერთო ჯამში, მერის მეფობის დროს დაწვეს 283 ადამიანი, ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ საგრაფოებში. ქვეყნის ეს ნაწილი ყველაზე მეტად იყო განვითარებული ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ საგრაფოების მოსახლეობა ყველაზე მეტად იყო ჩართული წარმოებასა და ვაჭრობაში, გამოირჩეოდა საქმიანი ალღოთი და ჟინით, გერგილიანობითა და ყაირათიანობით, ე.ი. იმ თვისებებით და უნარით, რომლებიც პროტესტანტულ ცნობიერებაში ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ.

---

5 1841 წ. ოქსფორდში, სენტ-ჯაილსის ქუჩის ბოლოში, სადაც თავის დროზე დაწვეს კრანმერი, ლატიმერი და როიდლი, მემორიალი გაიხსნა.

ეს სასიკვდილო განაჩენები კიდევ უფრო უღვივებდნენ ინგლისელებს სიძულვილს ფილიპეს, ესპანელების და კათოლიკობის მიმართ. ხალხის წარმოდგენაში ამას ცალსახა ახსნა ჰქონდა: ესპანეთის მეფე და რომის პაპი კოცონზე წვავდნენ ინგლისელებს.

პროტესტანტობისათვის ამ ძნელბედობის ჟამს, როდესაც ინგლისელები სთვლიდნენ, რომ პაპობამ მათი ქვეყანა გათელა; როდესაც საეკლესიო პირები და ერისკაცები პირადი ვაჟკაცობის და სარწმუნოებისათვის თავდადების მაგალითებს წარმოაჩენდნენ ქვეყანას წინამძღოლის, მეთაურის ყოლის აუცილებლობა გაუჩნდა, წინამძღოლისა, რომელიც შესაძლოა უშუალოდ არ ჩასდგომოდა სათავეში ბრძოლას და პირადად არ ეტვირთა ამასთან დაკავშირებული ტვირთი და პასუხისმგებლობა, მაგრამ რომელიც გააერთიანებდა საკუთარ თავში აღნიშნულ იდეას, მისთვის მებრძოლი თითოეული ადამიანის სწრაფვას, თითოეულის შემართებას და სულიერ სიმრთელეს. ეს იქნებოდა ის ბელადი, რომელზედაც ფიქრი ცხოველყოფდა იდეის გამარჯვებას და რომლის იმედითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების ატანა. სწორედ ამგვარი გამაერთიანებელი მომენტი ერთ მუშტად შეკრავდა თითოეული სკვდილმისჯილის თავგანწირვას, შთააგონებდა რა მათ, რომ მათ სიკვდილსაც კი ის ვიღაც გამარჯვებად აქცევს.

სწორედ ასეთ გამაერთიანებელ ძალად იქცა ელიზაბეთი. შევიწროვებული, დევნილი, ჯერ ტაუერში გამომწყვდეული, მერე შინაპატიმრობაში მყოფი იგი პროტესტანტებისათვის იქცა მათი აზრებისა და სწრაფვების შემაკავშირებელ ცენტრად, ადამიანად, რომლის სახელს და პიროვნებას ისინი უკავშირებდნენ პროტესტანტიზმის აღორძინებას. სწორედ იმ დროს, როცა ინგლისში კოცონები აგიზგიზდა, ლონდონსა და სამხრეთ აღმოსავლეთის საგრაფოებში, ვრცელდებოდა ლექსები, რომელთა ავტორი იყო პროტესტანტი მქადაგებელი თომას ბრაისი. აღწერდნენ რა ტანჯვა-წამებას, რომელიც თავს დააატყდა პროტესტანტებს პაპობისა და ესპანეთის მეფის ძალმომ-

რეობის შედეგად, ლექსები იმავდროულად ხოტბას ასხამდნენ ელიზაბეთს, რომელშიც პროტესტანტები ხედავდნენ თავისი ხსნის და მიზნების მიღწევის ერთადერთ საშუალებას. ლექსების ტექსტიდან და სულისკვეთებიდან ნათლად სჩანს, რომ პროტესტანტები მზად იყვნენ ყველაფრისათვის გაეძლოთ, რომ ისინი მედგრად იყვნენ, რადგანაც ამ ქვეყნად იყო მათი იმედი, ელიზაბეთი.

მაგრამ თუკი პროტესტანტებისათვის ელიზაბეთი იმედის ნაპერწკალი და სიმედგრის წყარო იყო, მერისათვის იგი აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ნიშნავდა. მისი უშვილობის შემთხვევაში ტახტი ელიზაბეთს უნდა რგებოდა, როგორც ეს ნაბრძანები იყო ჰენრი VIII ანდერძში. მერისა და მისი გარემოცვისათვის ეს კათოლიკობის დასამარების ტოლფასი იყო. ამიტომ საჭირო იყო კათოლიკე მემკვიდრე. მართლაც, სულ მალე ინგლისელმა კათოლიკებმა, ესპანეთისა და წმინდა რომის საღვთო იმპერიის სამეფო კარებმა სასიხარულო ცნობა შეიტყვეს, დედოფალი მერი ორსულად იყო. ამ საკითხს უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა განსაკუთრებით ინგლისში. ამიტომაც რენარი წერდა კარლოს V: „თქვენო უდიდებულესობავ! ამ სამეფოში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმშობიარებს დედოფალი. თუ ღვთის ნებით მშობიარობა სასურველ შედეგს მოიტანს, საქმე უკეთესობისკენ წავა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ადგილი ექნება არეულობასა და ცვლილებებს უარესობისაკენ. ტახტის დაკავების საკითხი ისეა შედგენილი, რომ მომდევნო მემეკვიდრედ ლედი ელიზაბეთია დასახელებული. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მწვალებლობის ზეობას და სარწმუნოების დამხობას." სარწმუნოებაში რენარი, რასაკვირველია, კათოლიკობას გულისხმობდა.

მაგრამ მერის ვარაუდი თუ ფანდი ორსულობის შესახებ არ გამართლდა. ამის თაობაზე უამრავი ჭორი და მითქმა-მოთქმა გავრცელდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ დედოფალმა რაღაც მახინჯი არსება შობა, როგორც ამას ადრე ენ ბოლეინთან დაკავშირებით ამბობდნენ.

ამგვარად, დედოფალმა არ იმშობიარა. მემკვიდრის საკითხი

კვლავ დღის წესრიგში იდგა. ელიზაბეთის შემდეგ მემკვიდრედ დასახელებული იყო ჰენრის შუათანა დის შვილიშვილი, შოტლანდიის დედოფალი მერი სტიუარტი. ამგრამ მერი სტიუარტი როგორც მემკვიდრე არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა... ესპანეთს, თანაც უფრო მეტად, ვიდრე ინგლისს. მერი სტიუარტი დანიშნული იყო საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეზე, დოფინ ფრანსუაზე. გახდებოდა რა ორი სამეფოს, ინგლისისა და საფრანგეთის დედოფალი, მერი ამით გზას გაუხსნიდა ამ უკანასკნელის ბრიტანეთის კუნძულებზე გაბატონებას. მოვლენათა ამგვარი განვითარება კი ენინააღმდეგებოდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებას. სწორედ ამიტომ ფილიპე II, რომელმაც დაკარგა იმედი ტიუდორთან შვილის ყოლისა, ტახტის მემკვიდრის საკითხში გეზი ნელ-ნელა ელიზაბეთისკენ აიღო. მას იმედი ჰქონდა, რომ გავლენას იქონიებდა ელიზაბეთზე, რის შედეგად ეს უკანასკნელი, გახდებოდა რა ინგლისის დედოფალი, პრო-ესპანურ პოლიტიკას გაატარებდა.

და აი მაშინ, როდესაც გვირგვინოსნები პოლიტიკური გათვლებითა და ვარაუდებით იყვნენ დაკავებული, მოვლენათა მსვლელობამ მათ კვლავ მოულოდნელი რამ შესთავაზა. 1558 წ. ზაფხულში დედოფალ მერის მძიმე დაავადების ნიშნები აღმოაჩნდა. როგორც დღევანდელი მკვლევარები ვარაუდობენ, ეს იყო სიმსივნე. ოქტომბერში მისი მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ნათელი იყო, რომ მერის დღეები დათვლილი იყო. ელიზაბეთის წინაშე უკვე გადაიშალა ტახტზე ასვლის რეალური პერსპექტივა. სწორედ ამიტომ 1558 წ. 10 ნოემბერს ფილიპე II თავისი ახალი ელჩი, გრაფი ფერია გაგზავნა ელიზაბეთთან. ელიზაბეთმა ელჩი ვახშამზე მიიწვია. ამ სტუმრობის შემდეგ ფერიამ განაცხადა, რომ ელიზაბეთი ძალიან პატივმოყვარე და ჭკვიანი ქალია.

მომაკვდავმა მერიმ სენტ-ჯეიმსის სასახლიდან წერილი გაუგზავნა ელიზაბეთს, რომელშიც სთხოვდა, რომ ამ უკანასკნელს ტახტზე ასვლის შემდეგ შეენარჩუნებინა ინგლისში კათოლიკური სარწმუნოება. ეს წერილი ერთობ მრავ-

ლისმთქმელია თავისი შინაარსით. სიკვდილის პირასაც კი დედოფალი მერი კათოლიკობაზე ფიქრობდა, მას უკავშირებდა თავის სააქაო თუ საიქიო არსებობის დედააზრს, რაც უდავოდ პატივს იმსახურებს, როგორც დასტური პიროვნების სარწმუნოებისადმი მინდობისა. მაგრამ რა ვუყოთ მაშინ იმ 283 ადამიანს, რომლებიც მისივე ბრძანებით გაჩაღებულმა კოცონებმა შთანთქეს? კათოლიკობისადმი ერთგულება და პროტესტანტობისადმი შეურიგებელი სიძულვილი. ერთთათვის სარწმუნოების ქომაგი და მფარველი და მეორეთათვის საძულველი მტარვალი. ალბათ ეს არის ისტორიის უდიდესი შეუცნობადობა და იდუმალება, გაუგო მას, დაადგინო ჭეშმარიტება მის თითოეულ საფეხურზე და ერთსა და იმავე ადამიანში ერთდროულად დაინახო არნახულად დიდი და იმავდროულად უზომოდ საზარელი პიროვნება.

კათოლიკობის ბედი ინგლისში აწუხებდა სხვას მომაკვდავსაც. იმ დროს როცა დედოფალი მერი ამქვეყნიერეებას ეთხოვებოდა სენტ-ჯეიმსის სასახლეში თემზის მეორე ნაპირზე, ლამბეტის სასახლეში უკანასკნელ საათებს ითვლიდა პაპის ლეგატი კარდინალი რეჯინალდ პოლი. როგორც მერიმ, პოლმაც გაუგზავნა ელიზაბეთს იგივე შინაარსის წერილი, რომელშიც იგი სთხოვდა მომავალ დედოფალს არ შეეტანა ცვლილებები არსებულ სარწმუნოებაში. ვარაუდობენ, რომ ელიზაბეთმა ორივეს უპასუხა, მაგრამ ძალზე ზოგადი შინაარსის წერილებით. ასე რომ, იგი არავითარ ვალდებულებას არ იღებდა საკუთარ თავზე სამომავლო პოლიტიკასთან დაკავშირებით რელიგიის სფეროში.

1558 წ. 17 ნოემბერს, ნაშუადღევს, იორკის არქიეპისკოპოსმა, ლორდ-კანცლერმა ნიკოლას ჰიტმა მოახსენა პარლამენტის ორივე პალატას, რომ დედოფალი მერი გარდაიცვალა და არსებული კანონით ტახტზე ავიდა დედოფალი ელიზაბეთი. მან პატივი მიაგო გარდაცვლილი დედოფლის ხსოვნას და ქებით მოიხსენია იგი განსაკუთრებით მისი კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგულების გამო. ამ განცხადების გაკეთების შემდეგ საიდუმლო საბჭოს წევრები გაემგზავრნენ ჰათფილდ-

ში, რათა ემცნოთ ელიზაბეთისათვის მომხდარის შესახებ. გადმოცემით, ისინი ელიზაბეთს მიადგნენ პარკში, როდესაც იგი მუხის ქვეშ იჯდა და ბიბლიას კითხულობდა ბერძნულ ენაზე. თანამედროვე ისტორიკოსები ეჭვს გამოთქვამენ ამის თაობაზე და დასძენენ, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ქალი მშვიდად მჯდარიყო ხის ქვეშ ნოემბრის შუა რიცხვებში. იგი ალბათ უფრო პარკში დასეირნობდა და მას სწორედ მუხასთან მდგარს მიადგნენ. მრავალ ხიფათგამოვლილმა ელიზაბეთმა ჯერ არ დაიჯერა ეს სიახლე. მამამისისა და მისი ძმის გარდაცვალებასთან იმდენი ფანდი და ინტრიგა იყო დაკავშირებული, რომ ელიზაბეთმა თავდაპირველად იფიქრა, რომ იმჯერადაც მორიგ ფანდს ჰქონდა ადგილი. მერე მას გაახსენდა, რომ მერის ფილიპეს ნაჩუქარი შავი ბეჭედი ჰქონდა. მან სწორედ იმ ბეჭდის მოტანა ბრძანა და როდესაც ბეჭედი მიართვეს, მაშინ ირწმუნა თავისი დის გარდაცვალება. ამრიგად ულმობელმა ჟამთასვლამ კიდევ ერთხელ დაანახა ადამიანებს წუთისოფლის ამაოება. სულ ცოტა ხნის წინ მერის წინაშე თავდახრილი კარისკაცები ახლა უკვე ელიზაბეთს ულოცავდნენ ტახტზე ასვლას. „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!"

1558 წ. 22 ნოემბერს ელიზაბეთმა დატოვა ჰათფილდი და ლონდონისაკენ გაემგზავრა. ვიდრე ქალაქში შევიდოდა, ელიზაბეთი ჩარტერჰაუსში შეჩერდა, ლონდონის გალავანთან, ჰაიგეიტთან მას მიეახლნენ ლონდონის ლორდ–მერი და ქალაქის სხვა ხელისუფალნი. სწორედ მაშინ მოხდა პირველი მნიშვნელოვანი ინციდენტი. როდესაც მის წინაშე მუხლი მოიყარა ლონდონის ეპისკოპოსმა ბონერმა, რომელიც ძალზე აქტიურობდა პროტესტანტების დევნაში და ხელზე უნდა მთხვეოდა, ელიზაბეთმა უმალ ხელი უკან წაიღო და ზიზღით აღსავსე გამომეტყველებით მოსცილდა მას.

ელიზაბეთმა ჩარტერჰაუსში ექვსი დღე დაჰყო და მეშვიდე დღეს ლონდონში შევიდა. ამის აღსანიშნავად ქუჩები ხრეშით იყო დაფარული. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ უჩანდა. ლონდონის პროტესტანტები, რომლებიც მერის მეფობის დროს შეყურებდნენ ელიზაბეთს როგორც სარწმუნოების ბურჯს,

ამჯერად ადიდებდნენ მას როგორც დედოფალს.

1559 წ. იანვრის შუა რიცხვებში დედოფლად კურთხევა ჩატარდა. ცერემონიის დაწყებამდე გარკვეული სირთულე შეიქმნა. ვის უნდა დაედგა გვირგვინი ელიზაბეთისათვის? ყველაზე შესაფერის კანდიდატად მიჩნეული იქნა იორკის არქიეპისკოპოსი ჰიტი. მაგრამ ჰიტმა პირდაპირ განუცხადა ელიზაბეთს, რომ რადგანაც ამ უკანასკნელმა უარი თქვა შობაზე თავის სამლოცველოში თაყვანი ეცა ჰოსტიისათვის, იგი მის თვალში მწვალებელი იყო. შესაბამისად არქიეპისკოპოსი უარს ამბობდა დედოფლად ეკურთხა მწვალებელი. ჰიტის მაგალითს კიდევ რამდენიმე ეპისკოპოსმა მიბაძა. საბოლოოდ თანხმობა გამოთქვა კარლაილის ეპისკოპოსმა ოუენ ოლგეტროპმა, თუმცა კი თავის დროზე მან უარი თქვა ჰოსტია დაბლა დაეშვა ელიზაბეთის სამლოცველოში. თავისი თანხმობა ოლგეტროპმა შემდეგნაირად ახსნა: „მე ვალდებული ვარ მას გვირგვინი დავადგა. წინააღმდეეგ შემთხვევაში იგი მწვალებლების ხელში აღმოჩნდება, – თქვა მან.

მეფედ კურთხევა ყოველთვის დიდი მოვლენა იყო ლონდონისათვის და ლონდონელებისათვის. მასში მონაწილეობას იღებდნენ ლორდ-მერი, ოლდერმენები, ლივრეის კომპანიათა თავკაცები, რომლებიც თავის ტრადიციულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, ბავშვები ბავშვთა სახლებიდან. მონაწილეები ესალმებოდნენ მონარქს, კითხულობდნენ ლექსებს და წარუდგენდნენ მას სპეციალურად მორთულ-მოკაზმულ ოთხთვალებს, რომლებიც სხვადასხვა სიუჟეტებს განასახიერებდნენ. ყველგან საყოველთაო მხიარულება სუფევდა. მაგრამ ელიზაბეთის დედოფლად კურთხევა განსაკუთრებული მოვლენა იყო. ეს იყო დედოფლის თავდავიწყებული მხარდაჭერის საყოველთაო პროტესტანტული გამოხატვა. ერთ-ერთ ოთხთვალაზე, რომელიც ზეიმში მონაწილეობისათვის იყო განკუთვნილი გამოსახული იყო ორი დინასტიის, ლანკასტერებისა და იორკეების გაერთიანების სცენა. რაც მთავარია, იქ მოთავსებული იყო არა მარტო „გულადი და კეთილშობილი" (როგორც ის იყო მოხსენიებული – ივ. მ.) მეფის, ჰენრი VIII გამოსახულება, არამედ

მისი მეუღლის, ენ ბოლეინისაც. ეს იყო თავის დროზე შერისხული და სამარცხვინო დაღდასმული დედოფლის თავისებური რეაბილიტაცია. ელიზაბეთი ყოველ ასეთ თეატრალიზებულ ოთხთვალასთან ჩერდებოდა, მის მომწყობებს და იქ თავმოყრილ ხალხს მადლობას უხდიდა. მას სახეზე ღიმილი მოეფინა, როდესაც ჩიპსაიდში გავლისას ხალხის შუაგულიდან შეძახილი შემოესმა: „გახსოვდეს მოხუცი მეფე ჰენრი VIII!" ეს იყო უბრალო ინგლისელის გამონათქვამი, რომელსაც ჰენრი ახსოვდა პირველ რიგში როგორც ფრანგების და შოტლანდიელების დამმარცხებელი, მბრძანებელი, რომელმაც რომი გამოინვია ბრძოლაში. შენიშნა რა ერთ-ერთ ოთხთვალაზე განთავსებული წიგნი, მან იკითხა: „ეს რა წიგნია? ინგლისური ბიბლია" – უპასუხეს მას. და როდესაც პატარა ბიჭმა მას ბიბლია მიართვა, ელიზაბეთმა მხურვალედ მიიკრა იგი მკერდზე და შესძახა: „მე კიდევ უფრო ხშირად უნდა ვიკითხო ეს წიგნი!"

მეორე დღეს ელიზაბეთს გვირგვინი დაადგეს ვესტმინსტერის სააბატოში. ცერემონია ყველა არსებული ფორმალობის დაცვით ჩატარდა და ეპისკოპოსმა ოლგეტროპმა დედოფლის მიერ ფიცის დადება ჩვეულებრივი ფორმით ჩაატარა. მას შემდეგ, რაც დედოფალს გვირგვინი დაადგეს, ტაძარში წირვა ჩატარდა ლათინურ ენაზე. მაგრამ კურთხევა სამეფო კაპელანმა ინგლისურად წარმოთქვა და არც ჰოსტია აღუვლენია.

ამრიგად, სანუკვარი ოცნება აღსრულდა. ელიზაბეთი ინგლისის დედოფალი გახდა. თანაც ეს ერთობ რთული გზის გავლის შემდეგ მოხდა. იგი გადაურჩა კონტრრეფორმაციის ტერორს, მაშინ, როცა ბევრი მისი გარემოცვიდან, მაგ., ლედი ჯეინ გრეი, მამამისის დის შვილიშვილი, მისი ნათლია, კენტერბერის არქიეპისკოპოსი კრანმერი სიკვდილით იქნენ დასჯილნი. მისი ტახტზე ასვლიდან მოყოლებული ყურადსაღებია ორი მიმართვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართვებში ჩამოყალიბებული იყო მისი მეფობის წარმმართველი კურსი.

პირველი, რასაც ითხოვდა ელიზაბეთი, ეს იყო ქვეყნის შიგნით რელიგიური მშვიდობის დამყარება. როგორც უკვე ითქვა, მერის მეფობისას 283 ადამიანი დაწვეს, როგორც მწვალებელი.

სწორედ ამ დევნამ და სისასტიკემ აიძულა პროტესტანტები ელიზაბეთისკენ მიეპყროთ მზერა. მაგრამ გახდა რა პროტესტანტებისათვის ხსნის სიმბოლო, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ელიზაბეთი გაილაშქრებდა კათოლიკების წინააღმდეგ და გადააქცევდა მათ თავისი სისხლიანი შურისძიების მსხვერპლად. მას სულად არ სჭირდებოდა სისხლი და ქიშპი. მისი მთავარი ამოცანა იყო საკუთარი პოზიციების განმტკიცება. სწორედ ამიტომ მისი მიმართვა მოსახლეობისადმი სარწმუნოების თაობაზე ზომიერ ხასიათს ატარებდა: „მე მსურს, შევინარჩუნო ერთიანობა პროტესტანტებსა და უფროსი თაობის კათოლიკებს შორის, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჰენრი VIII მის ბრძოლაში რომის წინააღმდეგ", ნათქვამი იყო მიმართვაში. ეს იყო ინგლისური ზომიერების კლასიკური მაგალითი. თავად ინგლისური რეფორმაციაც ხომ ძალზედ სპეციფიკური იყო. ჰენრი VIII ამბობდა, რომ მას არც რომი სჭირდება და არც ვიტენბერგი, ე. ი. იგი არც პაპის მიმდევარი იყო და არც ლუთერის. სწორედ ამიტომ ამბობდა ლუთერი, რომ ჰენრი VIII არაფერი გაეგებოდა რეფორმაციის იდეისა და რომ ინგლისური რეფორმაცია სხვა არაფერი იყო, თუ არა სკვაირ ჰარის ხუშტურები (ე. ი. ჰენრი VIII – ივ. მ.).

ინგლისში რეფორმაცია სამეფო ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომაც ელიზაბეთმა მკაფიოდ გაიცნობიერა ერთი რამ: ნებისმიერი ცვლილება რელიგიის საკითხებში უნდა განხორციელებულიყო კანონის დაცვით და სამეფო ხელისუფლების მითითებით. საჭირო იყო რელიგიური ამბოხებების ჩანასახშივე ნეიტრალიზება, ეკლესიებისათვის პროტესტანტების მიერ კათოლიკების დევნის წახალისების აკრძალვა. დედოფლის სპეციალური ბრძანებულებით სასტიკად აიკრძალა რელიგიის სფეროში თვითნებურად რაიმე ცვლილების შეტანა. ყველაფერ ამის დასტურად ელიზაბეთმა გადადგა რიგი შესაბამისი ნაბიჯებისა. მაგ. ციხიდან გამოუშვეს კარდინალ რეჯინალდ პოლის მდივანი, იტალიური წარმოშობის კათოლიკე ღვთისმსახური. გახარებულმა იტალიელმა ვენეციაში მისწერა, რომ დედოფალი ელიზაბეთი აპირებს ინგლისში კათოლიკობის

აღდგენას, როგორც ეს მას მომაკვდავმა დედოფალმა მერიმ სთხოვა.

მაგრამ თავად ელიზაბეთი სულაც არ აპირებდა მკვეთრად გადახრას ერთი ან მეორე მიმდინარეობისაკენ. ზომიერი კურსი რელიგიის სფეროში განპირობებული იყო მისი პირადი თვისებებითა და შეხედულებებით. მას უყვარდა ჯვარცმა და კათოლიკური სამღვდელოების მდიდრული სამოსი. როგორც ბევრი მისი ქვეშევრდომი, ელიზაბეთიც უარყოფითად იყო განწყობილი დაქორწინებული პროტესტანტი მღვდლებისა და მათი ცოლების მიმართ. მაგრამ იმავე დროს მას არ უყვარდა წირვა, ჰოსტიის თაყვანისცემა და მისი აღვლენა, რაც თავის მხრივ გულისხმობდა იმას, რომ ადამიანს სჯეროდა პურისა და წყლის გარდასახვა უფლის სხეულად და სისხლად. ამიტომ მან გამოსცა შესაბამისი პროკლამაცია და სიტყვიერი ბრძანებაც გასცა, რომ ლიტანია, ათი მცნება და „მამაო ჩვენო“ ყველა ეკლესიაში წაკითხულიყო ინგლისურ ენაზე. ეს და სხვა ღონისძიებები წარმოადგენდნენ ე.წ. პროტესტანტულ კომპრომისს, რამაც ინგლისი პროტესტანტულ ქვეყანად აქცია. პარლამენტმა, რომელიც მოწვეულ იქნა 1559 წ. გააუქმა კანონი მწვალებელთა შესახებ და აღადგინა ჰენრი VIII დროს, 1534 წ. გამოცემული უზენაესობის აქტი, რომლის მიხედვით ინგლისის (ანგლიკანური) ეკლესიის მეთაური იყო მეფე (დედოფალი). 1571 წ. პარლამენტმა მიიღო 39 საეკლესიო მუხლი, რომლებიც კათოლიკობისა და პროტესტანტობის თავისებურ ნაზავს წარმოადგენდნენ და საფუძვლად დაედვნენ ინგლისის რელიგიურ ცხოვრებას.

ქვეყნის მართვა-გამგეობაში ელიზაბეთი სრულიად ეყრდნობოდა იმ ორგანოებს, რომლებიც ტრადიციულად ფუნქციონირებდნენ ინგლისში და რომლებშიც წარმოდგენილი იყვნენ დიდგვაროვნები და აზნაურობა (ჯენტრი), რაც ეკონომიკურად ამ ყველზე ძლიერ ფენებს პოლიტიკურ ამბიციებს უკმაყოფილებდა და სამეფო ხელისუფლებისადმი ერთგულებას ზრდიდა. ესენი იყვნენ საიდუმლო საბჭო, პარლამენტი და სასამართლოები. აღსანიშნავია, რომ როგორც საიდუმლო

საბჭო, ასევე სასამართლო არ წარმოადგენდნენ მკაცრად ცენ-ტრალიზებულ ერთმმართველ ორგანოებს. სასაზღვრო საგრა-ფოების საქმეების გამგეობა მიბარებული ჰქონდა მონაპირე[6] და ჩრდილოეთის საბჭოებს. ამგვარად აღმასრულებელი ხე-ლისუფლება ხასიათდებოდა ავტონომიურობის მნიშვნელოვანი პრინციპებით. ქალაქებში ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელოვან ფიგურას მერი წარმოადგენდა. გარდა ამისა, ხელისუფლება დანაწილებული იყო ისეთ ინსტანციებს შო-რის, როგორებიც იყვნენ მომრიგებელი მოსამართლე, შერიფი და ლორდ-ლეიტენანტი, რომლებიც სამეფო ხელისუფლების დადგენილებების აღსრულებას ადევნებდნენ თვალყურს.

მოქნილი და დანაწევრებული იყო სასამართლო სისტემაც, რასაც ხელს უწყობდნენ ყოველწლიურად თითოეულ საგრა-ფოში ჩატარებული გამსვლელი სხდომები. სასამართლო ინ-სტანციათა სიმრავლე კი უდავოდ ხელს უწყობდა საჩივრებ-ის შედარებით ოპერატიულ განხილვას და გადაწყვეტილების გამოტანას.

პარლამენტი, რომელშიც სწორედ ელიზაბეთ I დროს გაიზარდა თემთა პალატის წევრთა რაოდენობა, საშუალე-ბას აძლევდა დიდებულებს და აზნაურობას, ანუ საზოგადოე-ბრივ ფენებს, რომელთა ხელშიც დაგროვილი იყო სიმდიდრის უდიდესი ნაწილი მიეღოთ საკუთარი ეკონომიკური პოზიციე-ბის გასაძლიერებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

ამგვარად, ეკონომიკურად დაწინაურებული საზოგადოე-ბრივი ფენები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ქვეყნის მარ-თვა-გამგეობაში, რაც განაპირობებდა თანამშრომლობას და გარკვეულ კეთილგანწყობას მათსა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

ასე რომ, მეფობა წარმატებით დაიწყო. ელიზაბეთის სა-შინაო პოლიტიკამ უზრუნველყო ქვეყანაში პროტესტანტობის გამარჯვება, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო ინგლისელთა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეს

---

6 Marhes – მომდინარეობს XIV ს. ინგლისურიდან მარკ, რაც ნიშნავს სასაზრვრო, მონაპირე ტერიტორიას.

განასხვავებდა ინგლისელებს კონტინენტის მოსახლეობისაგან და ხელს უწყობდა ქვეყნის სპეციფიკურ განვითარებას. ხოლო წარმატებული საგარეო პოლიტიკის წყალობით მან უზრუნველყო შოტლანდიაში ინგლისის გავლენის გაძლიერება და პროტესტანტობის გამარჯვება.

მაგრამ დღის წესრიგში იდგა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გადაჭრას საჭიროებდა. ეს იყო ტახტის მემკვიდრის პრობლემა. ქვეშევრდომებს უყვარდათ თავიანთი ახალგაზრდა დედოფალი და პატივს სცემდნენ მას, მაგრამ მათ ნაკლებად აწყობდათ სამეფო გვირგვინი მარტოხელა დედოფლის თავზე. მონარქი მათთვის იყო პირველ რიგში ქალი, რომელსაც გვარი უნდა გაეგრძელებინა. გვარი, სამეფო დინასტია და ამით უზრუნველეყო სახელმწიფოს სტაბილურობა.

ელიზაბეთს სულაც არ აკლდა იმის უნარი, რომ ყურადღების ცენტრში ყოფილიყო და საპირისპირო სქესის ყურადღება მიეპყრო, თანაც არა იმის მეშვეობით, რომ თავზე გვირგვინი ედგა. მას შეეძლო მოხდენილი და მომხიბლავი წარმოჩენილიყო თავისი ქვეშევრდომების წინაშე, განსაკუთრებით, როდესაც უშუალო კონტაქტში შედიოდა ადამიანებთან. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები აღტაცებას ვერ მალავდნენ მასთან შეხვედრისას, როდესაც ელიზაბეთი მათ თავისი დახვეწილი ლათინურით მიმართავდა. ერთ-ერთ მიღებაზე ოქსფორდის უნივერსიტეტში, მის წინაშე წარსდგა დოქტორი ლოურენს ჰამფრი, რომელიც პროფესორის მანტიაში იყო გამოწყობილი, თუმცა კი ეს უკანასკნელი მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა. როდესაც ჰამფრიმ მის წინაშე მუხლი მოიყარა და ხელზე ემთხვია, ელიზაბეთმა სწავლულს მომხიბლავი ღიმილი შეანათა და უთხრა: „დოქტორო ჰამფრი, მგონი ეს მანტია და დახვეწილი მანერები ძალზე გიხდებათ. აღტაცებული ვარ თქვენით, ასე მკაცრად რომ იცავთ ეტიკეტს“. მას არ აკლდა იმის უნარი, თუ როგორ გამოეჩინა საქვეყნოდ თავისი სამკაულები თუ სხვა სიმდიდრე, ანდა სულგრძელობა, რათა შთაბეჭდილება მოეხდინა თავის ქვეშევრდომებზე ან უცხო ქვეყნის ელჩებზე. სწორედ ამიტომ,

მისი პირადი მომხიბვლელობის ზეგავლენით ქვეშევრდომები მასში მნიშვნელოვანნილად ქალს ხედავდნენ და ამიტომაც გამუდმებით მიმართავდნენ მას თხოვნით გათხოვილიყო და ბავშვი გაეჩინა.

ელიზაბეთის გათხოვების საკითხი მჭიდროდ უკავშირდებოდა მის ტახტზე ასვლას. ეს ურთიერთკავშირი ძალზე თავისებურ ხასიათს ატარებდა. ბავშვობიდან მოყოლებული, როდესაც იგი უკანონოდ გამოცხადდა, მის სანუკვარი ოცნება ტახტზე ასვლა გახდა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევაში მას ხელს სწორედ გათხოვება უშლიდა.

ითვალისწინებდნენ რა იმას, რომ ელიზაბეთს მუდამ ხიფათი ემუქრებოდა მერის მეფობის ხანაში, საიდუმლო საბჭოს პროტესტანტი წევრები ცდილობდნენ მის რამენაირად დაცვას. ამისათვის მათი აზრით საჭირო იყო ელიზაბეთის გათხოვება საიმედო კათოლიკეზე, რომელიც უზრუნველყოფდა მის გარშემო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და რომლის ხელში ელიზაბეთი „სრულ წესრიგში" იქნებოდა. ამისათვის შესაფერისი კანდიდატი იქნა შერჩეული. ეს იყო ემანუილ ფილიბერი, სავოის ჰერცოგი, იმპერატორ კარლოს V სამხედრო გარემოცვაში ერთ-ერთი სახელოვანი გენერალი. მაგრამ იყვნენ სხვა კანდიდატებიც, მათ შორის ესპანეთის მეფის, ფილიპეს ვაჟი დონ კარლოსი. მართალია, იგი ელიზაბეთზე თორმეტი წლით იყო უმცროსი, მაგრამ ასეთი ასაკობრივი სხვაობა ხელს არ უშლიდა ამგვარი დიპლომატიური მიზნებით განხორციელებულ ქორწინებებს.

იყო კიდევ ერთი პრეტენდენტი. ეს იყო მარკიზ ეკზეტერის ვაჟი ედუარდ კორტნი. თავად მარკიზი ეკზეტერი სიკვდილით იქნა დასჯილი ჰენრი VIII ბრძანებით. მას ბრალად სახელმწიფო ღალატი დაედო. ვარაუდობდნენ, რომ მარკიზის სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი მისი წარმომავლობა იყო. იგი იორკების გვარის წარმომადგენელი იყო, რომლებიც ვარდების ომის დროს ლანკასტერებს უპირისპირდებოდნენ. ტიუდორები კი, რომლებიც ომის დასასრულს ტახტზე ავიდნენ, სწორედ ლანკასტერების ნათესავებად და საქმის გამგრძელებლებად

ასახელებდნენ თავს. გარდა ამისა, მარკიზი ეკზეტერი ერთობ ახლო ურთიერთობაში იყო კარდინალ რეჯინალდ პოლთან, რომელმაც არ სცნო უზენაესობის აქტი და პაპის ერთგული დარჩა. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარ პირობებში მარკიზი ეკზეტერი ვერ გადაურჩა ულმობელ ჰენრი VIII.

თხოულობდა რა მერის, ფილიპე II იმავდროულად ცდილობდა ელიზაბეთის ფილიბერზე გათხოვების საქმე მოეგვარებინა. მაგრამ საქმეში ჩაერთნენ ბარონი უილიამ პაჯეტი და მისი თანამოაზრე საიდუმლო საბჭოს წევრები. პაჯეტმა განაცხადა, რომ ელიზაბეთის უცხოელზე გათხოვება და საზღვარგარეთ დასახლება დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ინგლისელებში. პაჯეტის ამ აზრმა სრული მხარდაჭერა მიიღო საიდუმლო საბჭოს პროტესტანტი წევრების მხრიდან.

სავოის ჰერცოგის გარდა გამოჩნდა კიდევ ერთი უცხოელი საქმრო. შვედეთის მეფემ, გუსტავ ვაზამ სურვილი გამოხატა თავისი ვაჟი, უფლისწული ერიკი, მომავალი მეფე ერიკ XIV დაექორწინებინა ელიზაბეთზე. ამის შესახებ ელიზაბეთს ამცნო შვედეთის ელჩმა, რომელიც 1558 წ. გაზაფხულზე ეწვია ინგლისს. ეს წინადადება ელიზაბეთს წერილობითი ფორმით მოხსენდა. როდესაც ამის შესახებ დედოფალმა მერიმ შეიტყო, მან ელჩს მკაცრად უსაყვედურა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა გაბედა ელიზაბეთთან ამ საკითხზე ლაპარაკი ისე, რომ წინასწარ დედოფალი არ გააფრთხილა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ მრავალრიცხოვანი და პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ სარფიანი გარიგებებისა (სამომავლოდ ესპანეთისა თუ შვედეთის დედოფლობა) თავად ელიზაბეთი არასოდეს იჩენდა ინიციატივას და მაინც და მაინც არ ისწრაფოდა ცოლად გაყოლოდა რომელიმე მთხოვნელს, განსაკუთრებით უცხოელს. მან იცოდა, რომ ამგვარი ქორწინება სამუდამოდ მოაშორებდა მას სამშობლოს და ინგლისის ტახტზე ასვლა განუხორციელებელ ოცნებად დარჩებოდა. ამას კი იგი ვერასოდეს შეურიგდებოდა.

ესპანურ გარიგებას ადგილი ჰქონდა ელიზაბეთის გამეფების შემდეგაც. ამჯერად მას ხელს თავად ესპანეთის მეფე ფილ-

იპე II სთხოვდა. რასაკვირველია, ეს იყო წმინდა პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯი. იმ დროისათვის ესპანელებს უკვე ჩამოუყალიბდათ ინგლისის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ესპანეთის ელჩი ინგლისში გრაფი ფერია სულ უფრო მეტი სიძულვილით იმსჭვალებოდა ელიზაბეთის მიმართ. „რას უნდა ელოდო ქვეყნისაგან, რომელსაც გოგონა მართავს. მართალია, გონებამახვილი, მაგრამ მოუთმენელი, რომელიც ყოველ დღე დანაშაულს სჩადის სარწმუნოების წინააღმდეგ. სამეფო ბიჭ-ბუჭებმა, ერეტიკოსებმა და მოღალატეებმა ჩაიგდეს ხელში. ელიზაბეთი არ სწყალობს მათ, ვინც აწ განსვენებული დედ-ოფლის მიერ პატივში იყო. დარბაისელი ასაკის ხალხი და კა-თოლიკეები გაღიზიანებულები არიან, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ" – წერდა ფერია ფილიპე II. მაგრამ ინგლისის მიმართ ამ სიძულვილის მიუხედავად ფერია ვალდებული იყო წინა პლანზე თავისი მეფის და ესპანეთის ინტერესები დაეყენ-ებინა. იგი გრძნობდა, რომ ამ ინტერესების განხორციელების საუკეთესო საშუალება ფილიპეს ელიზაბეთზე დაქორწინება იქნებოდა. ამით ფილიპე შეინარჩუნებდა ინგლისის გვირგვინს, დაუკავშირებდა ინგლისს ესპანეთს და ესპანეთის ნიდერ-ლანდებს და თავისებურ რკალში მოაქცევდა საფრანგეთს. უფრო მეტიც, შესაძლოა ფილიპეს ელიზაბეთი მწვალებლობის კლანჭებიდანაც კი გამოეხსნა, ე.ი. ჩამოეშორებინა პროტეს-ტანტობას და კათოლიკობისაკენ მოებრუნებინა. რომის პაპი, რომელიც ფაქტიურად ესპანელთა ტყვე იყო მათი იტალიაში გამარჯვების შედეგად, იძულებული იქნებოდა ეკურთხებინა ამგვარი ქორწინება მიუხედავად იმისა, რომ ფილიპე ადრე მერის ქმარი იყო.

მაგრამ მოგვიანებით ფილიპეს პოზიცია შეიცვალა. მას შემდეგ, რაც ფილიპემ წარმატებით დაასრულა სამხედრო კამ-პანია საფრანგეთში, მან ბრიუსელიდან მისწერა ფერიას, რომ არ ითხოვს ელიზაბეთს, რადგან იგი მწვალებელია. მან ერ-თობ უხალისოდ მისცა თანხმობა ფერიას ეწარმოებინა ელიზ-აბეთთან საქორწინო მოლაპარაკება. საისტორიო ლიტერა-ტურაში გამოთქმულია აზრი, რომ ფილიპეს ქალების მიმართ

უარყოფითი მიდგომა ჰქონდა, ხოლო მისი ღვთისმოსაობა იმ-დენად ძლიერი იყო, რომ თავისებურ შიშის გრძნობას ბადებდა მასში სქესობრივი ურთიერთობის მიმართ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნათქვამია იქვე, ფილიპეს ნამდვილად მოსწონდა ინგ-ლისის დედოფალი და ლტოლვას განიცდიდა მისდამი. მაგრამ იგი ცდილობდა მაქსიმალურად შეენიღბა თავისი გრძნობები და თავის თანხმობას ხსნიდა როგორც მოვალეობას ღვთისა და ქვეშევრდომების წინაშე.

XVI ს. ინგლისელი ისტორიკოსი უილიამ კემდენი, რომელ-იც ახლო ურთიერთობაში იყო ელიზაბეთის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო კარისკაცთან, უილიამ სესილთან, რაც მას საშუ-ალებას აძლევდა სცოდნოდა სამეფო კარზე მომხდარი ბევრი ამბავი, წერდა, რომ ფილიპე ელიზაბეთს სასიყვარულო წერი-ლებს უგზავნიდა. ელიზაბეთმა ამცნო გრაფ ფერიას, რომ იგი უსაზღვროდ მადლიერია ფილიპეს წინადადებისა, ამგრამ გათხ-ოვებაზე უარს ამბობს, რადგანაც ქალიშვილად დარჩენა სურს. იგივე კემდენის თქმით ელიზაბეთი თავბრუდახვეული იყო ფილიპეს წერილებით, რომელიც, როგორც ჩანს, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა მოენადირებინა მისი გული. კარისკაცები ერთობ შეშფოთებულები იყვნენ. მათ ეშინოდათ, რომ სასიყ-ვარულო ეიფორიაში მყოფი ახალგაზრდა დედოფალი, მოხი-ბლული ფილიპეს დახვეწილი არშიყით, დათანხმდებოდა მის ცოლობას. ხოლო რადგან ქორწინების ნებართვა რომის პაპს უნდა მიეცა, ეს ინგლისელებისათვის კათოლიკობის და რომის უზენაესობის ტოლფასი იყო.

როგორც ჩანს, ინგლისელებს კარგად ახსოვდათ იგივე ფილიპეს და მერის მეფობაში მოგიზგიზე კოცონები. დედოფ-ლის პირადი ბედნიერება მათთვის ალბათ არ ღირდა ქვეყნის ტანჯვა-წამებად. ამიტომ ფილიპე უარით გაისტუმრეს. პირველი საქორწინო წინადადება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ელიზაბე-თის ტახტზე ასვლის შემდეგ, ჩაიშალა. ამრიგად, თუკი ადრე ელიზაბეთი თავად იძვრენდა თავს საქორწინო წინადადებე-ბისაგან, რათა წინააღმდეგობა არ ჰქონოდა ტახტზე ასვლის საქმეში, ახლა უკვე გვირგვინოსანს, სწორედ ტახტმა შეუშალა

ხელი პირადი ბედნიერების მიღწევაში. დედოფლის მოყვარული ქვეყანა ვერ შეეგუებოდა მის პირად სიყვარულს, თუკი ეს თავად ქვეყანას მოუტანდა ზიანს.

ესპანური გარიგება რელიგიურ, ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებს შეეწირა. მაგრამ დედოფალი ახალგაზრდა ქალი იყო და არ შეიძლებოდა, რომ საერთო-სახალხო სიყვარულით გარშემორტყმულს იგი არ გამხდარიყო ნამდვილი სიყვარულის ობიექტი ან თავად არ აღძროდა გულში ჭეშმარიტი სასიყვარულო გატაცება. სწორედ ეს მოყვა მისი წარმატებული მართვის პირველ ორ წელს, როდესაც მან ინგლისი პროტესტანტულ ყაიდაზე გარდაქმნა და უზრუნველყო შოტლანდიაში პროტესტანტობის გამარჯვება ინგლისის ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ამ წარმატებას მოყვა ნაბიჯი, რომელმაც ლამის შეარყია დედოფლის პოზიციები, საფრთხე შეუქმნა ტახტს, პროტესტანტობას და საერთოდ ქვეყანას. და ეს ყველაფერი გამოწვეული იყო არა რაიმე შეთქმულებით ელიზაბეთის წინააღმდეგ, ანდა უცხოელთა შემოსევით. სირთულეები გამოწვეული იყო ელიზაბეთის სასიყვარულო გატაცებით, რომელმაც შეიძლება ითქვას, შეძრა სამეფო კარი და გარკვეული დროის მანძილზე საშინაო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა. დედოფალს, რომელმაც პირველი წარმატებები მოიპოვა პოლიტიკურ ასპარეზზე, თავი დაიძვრინა ფილიპე II დახვეწილი არშიყისაგან, თავდავიწყებით შეუყვარდა სამეფო მეჯინიბეთ-უხუცესი, ლორდი რობერტ დადლი.

რობერტ დადლი დაახლოებით ერთი წლით იყო უფროსი ელიზაბეთზე. იგი იყო ზემოხსენებული ჯონ დადლის ვაჟი, რომელიც ედუარდ VI გარდაცვალების მომენტისათვის უკვე ჰერცოგ ნორტუმბერლენდის ტიტულს ატარებდა და ფაქტიურად პირველი კაცი იყო სახელმწიფოში, მას შემდეგ, რაც წარმატებით განახორციელა შეთქმულება მეფის ბიძის ჰერცოგ სომერსეტის წინააღმდეგ და ჩამოიცილა იგი გზიდან.

1549 წ. ჩვიდმეტი წლის რობერტ დადლიმ ცოლად შეირთო ნორფოლკელი რაინდის სერ ჯონ რობსარტის ქალიშვილი ემი. იმ ხანად ქორწინება ოჯახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინ-

ტერესებს ემსახურებოდა. ამ მხრივ რობერტ დადლის დაქორწინება ნორფოლკელ ჯენტლმენის ქალიშვილზე დადლის გვარს ბევრ ვერაფერს შესძენდა, მაშინ როცა თავად რობერტი, რომლის მამა უკვე უორიკის გრაფის წოდებას ატარებდა და სულ უფრო წინ მიიწევდა სახელმწიფო-პოლიტიკურ ასპარეზზე, ნამდვილად სანატრელი სასიძო იყო ნებისმიერი ოჯახისათვის. მომხდარის ახსნა მარტივად შეიძლება. რობერტს გულწრფელად უყვარდა ემი რობსარტი და სწორედ ამან განაპირობა მათი ქორწინება.

როდესაც ცხრადღიანი მეფობის შემდეგ დამხობილ იქნა ლედი ჯეინ გრეი და ტახტზე კათოლიკე მერი ავიდა, ჯონ დადლი, ჰერცოგი ნორტუმბერლენდი დააპატიმრეს და ტაუერში გამოკეტეს. იგივე ბედი ეწია მის ხუთ ვაჟს. მოგვიანებით ნორტუმბერლენდს, ლედი ჯეინს, მის ქმარს, ნორტუმბერლენდის ვაჟს გილფორდ დადლის თავები მოკვეთეს. მაგრამ ჰერცოგის დანარჩენი ოთხი ვაჟი, ჯონი, ამბროზი, რობერტი და ჰენრი გადარჩნენ. მათ თავად მერის ქმარი, მეფე ფილიპე გამოესარჩლა. რობერტის პატიმრობაში ყოფნისას მისი ცოლი ემი ყველაფერს შეეცადა, რომ ქმარი ტაუერში მოენახულებინა და საერთოდ ქმრის ერთგული ქალის სახელი მოიპოვა. მალე ძმები გაანთავისუფლეს. მოგვიანებით უფროსი ძმა ჯონი გარდაიცვალა. დანარჩენები კი ფილიპეს სამსახურში ჩადგნენ და მისი ჯარის შემადგენლობაში საფრანგეთში იბრძოდნენ. სამივემ თავი გამოიჩინა ომში. უმცროსი ჰენრი სენ-კვენტინთან ბრძოლაში დაიღუპა, ამბროზი და რობერტი კი ინგლისში დაბრუნდნენ. ინგლისში დაბრუნებისთანავე რობერტი დაუკავშირდა ელიზაბეთს. მათ საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, მით უფრო, რომ ისინი ბავშვობაშივე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ ურთიერთობას ელიზაბეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როცა იგი შევიწროებას განიცდიდა. როგორც ჩანს, ელიზაბეთმა დაუფასა რობერტს ერთგული მეგობრობა და ტახტზე ასვლისთანავე იგი სამეფო მეჯინიბეთუხუცესად დანიშნა.

დროის უდიდეს ნაწილს დადლი სამეფო კარზე ატარებდა.

იქვე იმყოფებოდა მისი და, ლედი მერი. ლედი მერი ელიზაბეთის ერთ-ერთი სეფე ქალი, კენტელი აზნაურის, სერ ჰენრი სიდ-ნის ცოლი იყო. დადლის ცოლი ემი სამეფო კარს მოშორებული იყო. იმ ხანად კარისკაცთა ცოლები არ ცხოვრობდნენ სამეფო კარზე, იმის გამოკლებით, თუკი ეს არ ევალებოდათ გარკვეულ თანამდებობაზე ყოფნის გამო. ისინი თავის ადგილ-მამულებში ცხოვრობდნენ. ემი დროის უდიდეს ნაწილს დენსვორტში, ბერკ-შირის საგრაფოში ატარებდა თავის ნათესავებთან, ან კემნორ ჰოლში, ოქსფორდშირში, რომელიც რობერტმა მისთვის შეიძინა. სწორედ იქ ეწვეოდა ხოლმე ცოლს დრო და დრო.

დადლი ახოვანი, ბრგე და წარმოსადეგი მამაკაცი იყო. იყო რა შესანიშნავი მოჯირითე, იგი მუდამ ბრწყინავდა რაინდთა ტურნირებზე. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხაზინა მთლად კარგ მდგომარეობაში არ იყო, ელიზაბეთი ცდილობდა, რომ მის კარს შესაბამისი ბრწყინვალება არ მოჰკლებოდა. ამიტომ მამამისისა და სხვა მონარქების მსგავსად, იგი სადღესასწაუ-ლო დღეებში რაინდთა ტურნირებს ატარებდა. ტრადიციულად ამგვარ ტურნირებზე პირველი პირი ყოველთვის მეფე იყო. მამაკაცი მონარქის არარსებობის გამო პირველობა ელიზაბე-თის კარზე გამართულ ტურნირებში ლორდ რობერტ დადლის ეკუთვნოდა.

1559 წ. გაზაფხულისათვის კარისკაცების, ელიზაბეთის და სამეფო კართან დაახლოებული სხვა პირებისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ დედოფალი ელიზაბეთი თავდავიწყებით იყო შეყვარებული ლორდ დადლიზე. თავად ელიზაბეთი კარგი მოჯირითე იყო, უყვარდა ნადირობა და ძირითადად ჯირითობ-და და ნადირობდა თავისი მეჯინიბეთუხუცესის თანხლებით. დედოფალი იმდენად დიდ დროს უთმობდა დადლისთან ყოფ-ნას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ სესილი იძულე-ბული იყო მთელი რიგი საკითხებისა შოტლანდიასთან თუ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობაში თვითონ გადაეწყვიტა. ლონდონში ხმები დაირხა, რომ დედოფალი აპირებს ცოლად გაყვეს ლორდ რობერტს. სწორედ ამით ხსნიდნენ იმ უარს, რომლითაც ელიზა-ბეთმა გაისტუმრა არაერთი მთხოვნელი, კერძოდ კი ფილიპე II,

წმინდა რომის საღვთო იმპერიის ტახტის მემკვიდრე ერცჰერ-ცოგი კარლი, შვედეთის მეფე ერიკ XIV და სხვები.

ელიზაბეთი ლორდ რობერტს არნახულად ანებივრებდა. მას მიენიჭა წვივსაკრავის[7] ორდენის რაინდის წოდება, ნება მიეცა ეწარმოებინა მატყლის ექსპორტი ყოველგვარი ლიცენ-ზიის გარეშე. სამსახურეობრივი ხარჯების დასაფარავად დე-დოფალმა ლორდ რობერტს აჩუქა 12 ათასი გირვანქა სტერ-ლინგი (6 მლნ. 1987 წ. კურსით). ამგვარი საჩუქრები და პატივი ჩვეულებრივი რამ იყო სამეფო ფავორიტებისათვის. მაგრამ როდესაც ყველაფერ ამას ესოდენ უხვად დედოფალი აბნევდა მამაკაცის მისამართით, ბუნებრივია, რომ ეს ნოყიერ ნიადაგს ბადებდა ათასგვარი ჭორისათვის. ჭორებს და მითქმა-მოთქმას ამძაფრებდა ისიც, რომ დედოფალი ხელიდან არ უშვებდა უმ-ნიშვნელო შესაძლებლობასაც კი, რათა ლორდი რობერტი ეხ-სენებინა და გამუდმებით ლაპარაკობდა მასზე, ათასგვარად ამკობდა მის დადებით თვისებებს და მიმზიდველ გარეგნობას. და თუკი ვინმე ოდნავ მაინც კრიტიკულად მოიხსენიებდა დადლის, დედოფალი თავგამოდებით იცავდა თავის ფავორ-იტს და მინასთან ასწორებდა მის კრიტიკოსს. „აი ნამდვილი მამაკაცი, იმათ კი არ ჰგავს დღენიადაგ რომ ბუხართან ზიან და ნაცარში იქექებიან“, – ამბობდა ელიზაბეთი დადლიზე.

დადლი დედოფლისათვის იყო რაღაც ქუდის დასამშვე-ნებელი ბუმბულის მსგავსი, რომელსაც იგი ყველას დასან-ახად და მოსაწონად ატარებდა. იგი ვერ გაიმეტებდა მას იმ ყოველდღიური ჯაფისათვის, რომელსაც ესოდენ სიამოვნებით სჯერდებოდნენ ფინანსთა მინისტრი თომას პარი და საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ სესილი. დადლი მისი ძვირფასი სამკაული იყო, რომლითაც იგი ერთდროულად თავს იწონებდა და ტკბებოდა.

---

7 ორდენის წარმოშობის ისტორია დაახლოებით ასეთია: ინგლისის მეფე ედუარდ III (1327-1377) მეჯლისზე ცეკვავდა ერთ ნარჩინებულ ქალთან. უეცრად ქალს წვივსაკრავი დაუვარდა. იმისთვის, რომ მანდილოსნის შეცბუნება არ გამოენვია, მეფე უმალ დაიხარა, აიტაცა წვივსაკრავი და მკერდზე მიიბნია. სწორედ აქედან იღებს დასაბამს და სახელს ეს ორ-დენი, რომლითაც აჯილდოვებდნენ ძალზე მაღალი წარმოშობის პირებს.

როდესაც ელიზაბეთი ლონდონში შედიოდა, მას გვერ-დით ლორდი რობერტი ახლდა, ცხენზე ამხედრებული, ახო-ვანი, მეწამული ფერის აბრეშუმის სამოსში გამოწყობილი. ელიზაბეთის დედოფლად კურთხევის დღეს დადლი კვლავ ცხ-ენზე ამხედრებული მის ეტლს მიყვებოდა გვერდით. დადლის მოხდენილობა და მიმზიდველობა გამოირჩეოდა თავისებური ექსპანსიურობითა და ფერადოვნებით. იგი ელიზაბეთისათვის იყო რაღაც სამკაულის მაგვარი, ლორდის შემყურე ელიზაბეთი თავად არნახულად ირთვებოდა და იკაზმებოდა. ხშირად ისინი ისე იქცეოდნენ, როგორც განებივრებული ბავშვები, რომლებ-საც უფროსების წვალება სიამოვნებას ანიჭებს. ჩოგბურთის თამაშის დროს დადლი ელიზაბეთის ხელიდან იღებდა ცხვირ-სახოცს და ოფლით დანამულ შუბლს იწმენდდა. იგი კოცნიდა ელიზაბეთს ყოველგვარი ოფიციალური ნებართვის გარეშე, რაც წარმოუდგენელი ამბავი იყო. თავის მხრივ, დედოფალი, თავისიევ სეფე ქალად შენიღბული მალულად მიდიოდა უინ-ძორის პარკში და ტკბებოდა დადლის ყურებით, რომელიც იქ მიზანში სროლაში ვარჯიშობდა. ლორდ რობერტისათვის დენბის ბარონის და ლესტერის გრაფის წოდებების მინიჭე-ბის ცერემონიისას ელიზაბეთი მას კისერზე უალერსებდა. ყო-ფილა შემთხვევები, როცა ელიზაბეთს, ჯერ კიდევ საწოლში მყოფს, ლორდი რობერტისაგან მიუღია პერანგი. საიდუმლო საბჭოში ამგვარმა ამბებმა არნახული აღშფოთება გამოიწვია. საიდუმლო საბჭოს სახელით ჰერცოგმა ნორფოლკმა ლორდ დადლის პასუხი მოსთხოვა. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ჩათ-ვალა საჭიროდ რაიმე ახსნა-განმარტებით წარმდგარიყო და ეს საქმეც დავიწყებას მიეცა.

ლორდ დადლის მიდგომას ელიზაბეთისადმი არა მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული სიყვარულით ხსნიან. მიუთითებენ ლორდის ზოგიერთ თვისებაზეც. კერძოდ, აღნიშ-ნავენ, რომ დედამისი ერთობ უნარიანი და ძლიერი პიროვნება იყო. როგორც მშობელი, იგი შვილებთან ავტორიტეტით სარგე-ბლობდა. ამბობენ ასევე, რომ ეს ქალი იყო საკმაოდ ხეირიანი იურისტი. ბავშვობიდანვე ასეთი ჩამოყალიბებული პიროვნების

შემყურეს, ლორდ რობერტს ხასიათში გაუჯდა უნარი დაქვემ-
დებარებოდა ქალს, რომელიც პიროვნულად დედამისის სწორი
იყო. ამგვარი ქალი მან ელიზაბეთში დაინახა. ამიტომ ხედავდა
რა მის ღირსებებს, ლორდი რობერტი ყოველგვარი თვალთმაქ-
ცობის გარეშე განერთხებოდა დედოფლის წინაშე, მაგრამ იმ-
ავე დროს არავის გააბედვინებდა სამეფო კარზე ოდნავ მაინც
შეელახა მისი ღირსება.

უაითჰოლში, სამეფო სასახლეში ლორდ რობერტის ოთახ-
ები უშუალოდ დედოფლის ოთახების ქვემოთ იყო განლაგებუ-
ლი. ერთხელ, როდესაც დადლიმ დაიჩივლა, რომ მისი ოთახები
ნესტიანი იყო, ელიზაბეთმა მაშინვე ბრძანა, იგი სართულით
ზემოთ გადაეყვანათ. ლორდი რობერტი განათავსეს ოთახებ-
ში, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდნენ დედოფლის ოთახებს.
ეს სიახლე, რასაკვირველია, ელვის სისწრაფით გავრცელდა
დედაქალაქში.

ერთხელ ელიზაბეთი დადლის სახლში, ქიუში ვახშმობდა.
ვახშმის შემდეგ დედოფალი რიჩმონდში მდებარე თავის სასახ-
ლეში გაემგზავრა. მას თან ლორდ რობერტის მსახურები ახ-
ლდნენ, რომლებიც გზას ჩირაღდნებით ანათებდნენ. გზაში
დედოფალმა საუბარი გააბა ერთ-ერთ მეჩირაღდნესთან და
უთხრა, თუ რაოდენ კარგი ადამიანი იყო მისი ბატონი, ლორდი
დადლი და რომ იგი, დედოფალი მზად იყო ლორდი რობერტი
ისეთი დიდებითა და პატივით შეემკო, რომელიც არვის ღირსე-
ბია ამ უკანასკნელის გვარში. მეჩირაღდნემ ეს ამბავი დადლის
ერთ-ერთ პირად მსახურს მოუთხრო. „ალბათ დედოფალი მას
ჰერცოგის წოდებას უბოძებს" – თქა მსახურმა. „სულაც არა,
უპასუხა მეჩირაღდნემ. – იგი მის ცოლობას აპირებს". როგორც
ჩანს ამ ჭორმა გაჟონა უმაღლეს დონემდე. მსახურები საიდუმ-
ლო საბჭოს წინაშე წარსდგნენ და მოინანიეს თავიანთი ყბედო-
ბა, რომლის მეშვეობით უსაფუძვლო ცნობები გავრცელდა,
რაც თავისთავად მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.

მაგრამ ჭორები მსახურთა საუბრის გარეშეც მოედო
სამეფო კარს და დიდგვაროვანთა წრეს. თანაც ამ ჭორების ში-
ნაარსი უფრო შემაშფოთებელი იყო. ამბობდნენ, რომ დადლი

დედოფლის საყვარელი იყო, და უფრო მეტიც, რომ დედოფალს მისგან შვილიც ყავდა და რომ ლორდი რობერტი ცოლის მოკვლას აპირებდა იმისათვის, რომ დედოფლის ცოლად შერთვაში წინააღმდეგობა არ შეხვედროდა. ინგლისიდან წასვლის წინ ესპანეთის ელჩს გრაფ ფერიას ხმები მიუვიდა, რომ ემი რობსარტი მკერდის სიმსივნით არის დაავადებული და რომ დედოფალი და ლორდი რობერტი იმასღა ელიან, თუ როდის მოკვდება ემი, რათა მერე დაუბრკოლებად იქორწინონ.

კეიტ ეშლიმ, დედოფლის აღმზრდელმა და მასთან ერთობ დაახლოებულმა იმდენად, რომ გულწრფელად ელაპარაკა ნებისმიერ ინტიმურ საკითხზე, მოახსენა მას ამ მოარული ხმების შესახებ და თანაც დასძინა, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლებოდა მოყოლოდა დედოფლის წინდაუხედაობას. ელიზაბეთმა უპასუხა, რომ ეს ჭორები იმდენად უსაფუძვლოა, რომ სასაცილოდაც კი არ ღირს და დაარწმუნა ლედი ეშლი, რომ მას არასოდეს ჰქონია ლორდ რობერტთან სქესობრივი კავშირი. შემდეგ კი ელიზაბეთმა თავად ჰკითხა ლედი ეშლის, თუ როგორ წარმოედგინათ ყველაფერი ეს ჭორიკნებს იმ დროს, როცა დედოფალი პრაქტიკულად მუდმივად იყო თავისი სეფე ქალების გარემოცვაში. ელიზაბეთმა არ იკმარა ეს შენიშვნა და განაგრძო, რომ თუკი იგი მოისურვებდა მსგავს რამეს, ანდა ამგვარ სამარცხვინო ცხოვრების წესს სიამოვნების მომგვრელად ჩათვლიდა, რაც საბედნიეროდ მას უფალმა ააცილა, იგი თავად მოახერხებდა ამას, და ისე, რომ მას კაციშვილი ვერ შეუშლიდა ხელს.

მიუხედავად ასეთი რიხიანი და კატეგორიული განცხადებებისა, ელიზაბეთი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ ვერ მისცემდა პირად ცხოვრებაში საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას, როგორც ამას მამამისი ჰენრი VIII აკეთებდა. დედოფალი, რომელიც თუნდაც მართავდა და არა მხოლოდ მეფობდა, მაინც სხვა იყო, ვიდრე მეფე. საზოგადოებრივი აზრი ორმაგი სტანდარტებით იყო აღჭურვილი ქალისა და მამაკაცის, დედოფლისა და მეფის ზნეობის შეფასებაში. მეფეს ყოველგვარი დაბრკოლების და გაკიცხვის გარეშე შეეძლო მალულად შეეღწია

სეფე ქალების საძინებელში, ანდა ასევე ინკოგნიტოდ სწვეოდა ნადირობისას აზნაურების, ვაჭარ-სოვდაგრების ან თუნდაც გლეხების მომხიბლავ და კოხტა ცოლებს. მაგრამ სულ სხვა რამ იყო დედოფალი, რომელიც, როგორც თავად ელიზაბეთი ამბობდა, თავისი სეფე ქალების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მაგრამ მას უფრო მეტი საფრთხე ელოდა, თუკი საყვარელს გაიჩენდა, რადგან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების არ არსებობის პირობებში, რომლებიც მხოლოდ XX საუკუნეში გამოჩნდა დედოფლის სასიყვარულო გატაცებას შეიძლებოდა ორსულობა მოყოლოდა, ანდა კიდევ უარესი, იგი შეიძლება მშობიარობას გადაყოლოდა, როგორც ეს ჰენრი VIII მესამე ცოლს ჯეინ სეიმურს მოუვიდა.

რაც შეეხება პროტესტანტ დედოფალს, იგი ორმაგად ფრთხილი უნდა ყოფილიყო, რათა საბაბი არ მიეცა ჩასაფრებული კათოლიკებისათვის კვლავ და კვლავ წამოეწყოთ პროტესტანტი ქალების უზნეობის მხილება. მაილს ჰაგარდი, ლონდონელი მეწაღე მერის მეფობის ხანაში ანტიპროტესტანტულ ლექსებს თხზავდა. ამ ლექსებში ჰაგარტი წერდა, რომ ლონდონელი პროტესტანტი ქალები ყოველნაირად აქეზებდნენ თავის ქმრებს სიცოცხლე გაენირათ სარწმუნოებისათვის. ამით ისინი ასპარეზს ითავისუფლებდნენ იმისათვის, რომ საყვარლებთან ეტარებინათ დრო, ანდა უფრო მეტიც, ლესბოსურ ვნებებს მისცემოდნენ სხვა ქალებთან.

იყო რა სიკვდილით დასჯილი დედოფლის, ენ ბოლეინის შვილი, ელიზაბეთი განსაკუთრებით მოწყვლადი იყო ამგვარი გამოხდომებისათვის. დედოფალი ენის დადანაშაულება ცოლქმრულ ღალატში, რისთვისაც იგი სიკვდილით დასაჯეს, სიხარულით აიტაცა კათოლიკურმა სამყარომ როგორც პროტესტანტი ქალების უზნეობის მორიგი დადასტურება. მერის მეფობის ხანაში კათოლიკეები იოლად იჯერებდნენ ჭორებს მწვალებელი ლედი ელიზაბეთის გარყვნილების შესახებ. და თუკი მოსახლეობა დაიჯერებდა იმას, რომ ლორდი დადლი დეოდფლის საყვარელი იყო, ეს შეარყევდა პროტესტანტობის პოზიციებს ინგლისში, ევროპაში და შესაძლოა, ელიზაბეთის

დამხობასაც კი შეუწყობდა ხელს.

ჭორები იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ დიპლომატიურ წრეებში მათზე გარკვეული პოლიტიკური კომბინაციების აგებაც კი გადაწყვიტეს. ესპანეთის ახალი ელჩი ინგლისში კუადრა სისტემატურად ატყობინებდა ამ ჭორების ყველა წვრილმანს მეფე ფილიპე II და მეფისნაცვალს ესპანეთს ნიდერლანდებში პარმის ჰერცოგინია მარგარიტას. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე კუადრამ წამოაყენა მოსაზრება, რომ საჭირო იყო მეგობრული კავშირის დამყარება ისეთ გავლენიან კარისკაცთან, როგორიც იყო ლორდი რობერტ დადლი, მიუხედავად იმისა, რომ ლორდი თავგამოდებული პროტესტანტი იყო. კუადრას უკვე ჰქონდა მოსინჯული ნიადაგი და დადლის პასუხიც ერთობ დამაიმედებლად მიაჩნდა. მართლაცდა, ელჩთან საუბარში ლორდმა რობერტმა განაცხადა, რომ მზად არის რაიმეში გამოადგეს ესპანეთის მეფეს, რომლის მფარველობამ მას მერის მეფობის ხანაში სიცოცხლე შეუნარჩუნა. გარდა ამისა, დადლიმ და მისმა დამ, ლედი მერი სიდნიმ, განაცხადეს, რომ მიესალმებიან ელიზაბეთის გათხოვებას წმინდა რომის საღვთო იმპერიის ტახტის მემკვიდრეზე, ერცჰერცოგ კარლზე. მაგრამ ეს განცხადება კუადრამ სულ სხვანაირად შეაფასა. მან თქვა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ფანდი, რომლის მეშვეობითაც ლორდი დადლი ცდილობდა საკუთარი ცოლის მკვლელობის და დედოფალზე დაქორწინების გეგმები შეენიღბა.

რაც შეეხება უილიამ სესილს, იგი ძალზე შეშფოთებული იყო. სესილი გრძნობდა, რომ კარგავდა დედოფლის კეთილგანწყობას, რომელიც სულ უფრო იშვიათად იწვევდა მას სახელმწიფო საქმეების განსახილველად. სესილს ეჭვი ჰქონდა, რომ დადლი მის წინააღმდეგ დედოფალს აქეზებდა. ეჭვმა სესილი იმდენად ააფორიაქა და მოსვენება დაუკარგა, რომ მან გადაწყვიტა თავისი გეგმები კუადრასათვის გაენდო. გეგმა კი შემდეგში მდგომარეობდა: სესილს სურდა, რომ კუადრა პირადად გასაუბრებოდა დედოფალს, გამოეყენებინა მთელი თავისი ზეგავლენა და გამოეყვანა ელიზაბეთი იმ ეიფორიიდან, რომელ-

შიაც იგი ლორდ რობერტისადმი სიყვარულმა ჩააგდო.

რაც უფრო წინდაუხედავად და თავქარიანად იქცეოდა დედოფალი, მით უფრო სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა სესილი. ედინბურგიდან დაბრუნების შემდეგ იგი ხანგრძლივად ესაუბრა კუადრას. საუბარში მან ძალზე კრიტიკულად მოიხსენია დადლი, რომელიც მისი აზრით დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. სესილი იმდენად იყო გაღიზიანებული, რომ მან კუადრას პირდაპირ განუცხადა, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუკი ისეთი ადამიანი, როგორიც ლორდი დადლია, ზეცაში ჰპოვებს ადგილს, თუნდაც სამოთხეში, მაგრამ არა დედამიწაზე და მით უფრო ინგლისში. დადლი, დასძინა დასასრულს სესილმა, საკუთარი ცოლის მოწამვლას აპირებს.

სესილისა და კუადრას საუბრიდან მეორე დღეს, ბრუნდებოდა რა ნადირობიდან, ელიზაბეთმა ერთობ გულგრილად, ვითომდა სასხვათაშორისოდ, ამცნო კუადრას ლორდ რობერტის ცოლის, ემი რობსარტის სიკვდილის შესახებ. ეს ტრაგიკული მოვლენა ემი რობსარტის მამულში, კამნორ ჰოლში მოხდა, რომელიც მისთვის ლორდმა რობერტმა შეიძინა. იმ დღეს ლედი ემიმ მსახურები ნაშუადღევს აბინგტონის ბაზრობაზე გაისტუმრა და სახლში მარტო დარჩა. მოულოდნელად მარტოდ დარჩენილ ქალს ლორდ რობერტის ორი მსახური ეწვია. როდესაც ლედი ემის მსახურები ბაზრობიდან დაბრუნდნენ, მათ თავისი ქალბატონი კიბეზე დახვდათ კისერმოტეხილი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლედი ემი მოულოდნელად გარდაიცვალა კიბეზე დაცემის შედეგად. მაგრამ ბევრი თვლიდა, რომ იგი ქმრის მიერ მიგზავნილმა ორმა მსახურმა მოკლა. მათ ისარგებლეს ლედი ენის მსახურების არყოფნით, მოკლეს იგი, მოუგრიხეს რა კისერი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ხოლო შემდეგ კიბის საფეხურებზე დააგდეს და ამით მოულოდნელი დაცემის იმიტირება მოახდინეს. ლაპარაკობდნენ მის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობაზეც, რომელიც გამოწვეული იყო მისი დათრგუნული სულიერი მდგომარეობით მას შემდეგ, რაც მან შეიტყო მისი ქმრისა და დედოფლის

სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ.

საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ემი რობსარტი ესოდენ მზაკვრული გეგმის მსხვერპლი შეიქმნა. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ XVI ს. ინგლისი არ იყო ის ქვეყანა, სადაც მამაკაცს ასე ადვილად შერჩებოდა ცოლის მკვლელობა. მართალია, ელიზაბეთის ინგლისი პატრიარქალურ საზოგადოებას წარმოადგენდა იმ თვალსაზრისით, რომ ქალი, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლად ითვლებოდა, მეურვეობას საჭიროებდა. ქმარი ქალის ბატონი და პატრონი იყო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი „პატრონყმობა" სასტიკი და გაუაზრებელი დათრგუნვის სახეს იღებდა. ქმარს შეეძლო მკაცრი და მომთხოვნი ყოფილიყო, მაგრამ ეს არ უნდა გადაზრდილიყო ცემატყეპაში თუ სხვა სახის სისასტიკეში. ასეთ შემთხვევაში ქმარი პასუხს აგებდა კანონის წინაშე ანდა ცოლ-ქმარს ერთმანეთს გააშორებდნენ. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ გაყრა, დღევანდელი გაგებით არ არსებობდა. ამგვარი დაცილების შემთხვევაში ქორწინება უკანონოდ განიხილებოდა. ელიზაბეთსა და ლორდ რობერტს კიდევაც რომ სდომოდათ ემის თავიდან მოცილება, გაცილებით ადვილი იქნებოდა საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, როგორც ამას ჰენრი VIII აკეთებდა თავისი ერთგული კენტერბერის არქიეპისკოპოსის კრანმერის მეშვეობით; კერძოდ კენტერბერის იმჟამინდელი არქიეპისკოპოსის მეთიუ პარკერის მეშვეობით შეეცვალა კანონი, რაც მისცემდა ლორდ დადლის უფლებას გაყროდა ცოლს.

ლედი ემი რობსარტის სიკვდილის ამბავი გავრცელდა ევროპული ქვეყნების დედაქალაქებში და ბჭობის საგნად იქცა. ინგლისის ელჩი საფრანგეთში ტროკმორტონი წერდა ინგლისის ელჩს ესპანეთში ჩემბერლენს, რომ თუმცა კი ინგლისიდან იწერებიან, რომ ლედი ემი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, მაგრამ პარიზში ყველა იმას ამბობს, რომ ლორდ დადლის ცოლმა კისერი მოიტეხა საჭიროებისდა შესაბამისად. თავად ტროკმორტონი თავზარდაცემული იყო მომხდარით. მან უმალვე მისწერა წერილი სესილს, რომელშიც ამბობდა, რომ

მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს სცემს ლორდ რობერტს, იგი თვლის, რომ დედოფალს დაუყოვნებლივ უნდა უთხრან, თავიდან ამოიგდოს მასზე გათხოვების სურვილი. და თუკი დედოფალი თავისას არ მოიშლის და მაინც გაყვება ცოლად ლორდ დადლის, მაშინ, ტროკმორტონის აზრით, საქმეს ვეღარაფერი უშველის. „იღონეთ ყველაფერი, წერდა იგი სესილს – რათა არ დაუშვათ ეს ქორწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კაცობრიობას შევარცხვენთ და დავიმსახურებთ ხალხის სიძულვილს. ღმერთი და სარწმუნოება, ეს საფუძველი საფუძველთაგანი შეირყევა, ფეხქვეშ ნიადაგი გამოგვეცლება. დედოფალი, ჩვენი მბრძანებელი, საქვეყნოდ შერცხვება და ყველას მიერ დამცირდება, ქვეყანა თავზე დაგვემხობა და მტრების საჯიჯგნი გახდება."

ჩვენ არ შევუდგებით ამ სასიყვარულო რომანის ტრაგიკული მხარის შესახებ მსჯელობას. მივანიშნებთ მხოლოდ იმ დებულებაზე, რომელიც გამოთქმულია საისტორიო ლიტერატურაში. „ელიზაბეთი, შეიძლება ითქვას, ზედ ზღვარზე გააჩერეს. რიგი დაუფიქრებელი ქმედებების შემდეგ, რომლებმაც ძალიან გააღიზიანეს მისი დაახლოებული პირები იგი დროზე შეჩერდა და სწორ გზას დაადგა". მან თავიდან ამოიგდო დადლის ცოლობის სურვილი და ჩამოშორდა მას, ყოველ შემთხვევაში, უცხო თვალის დასანახად. ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ელიზაბეთს გულწრფელად და თავდავიწყებით უყვარდა ლორდი დადლი და „ზღვარზე შეჩერება და სწორ გზაზე დადგომა" მისთვის უდავოდ დიდი სულიერი ტკივილისა და ტანჯვის შედეგად უნდა მომხდარიყო. რასაკვირველია, ემი რობსარტის უეცარმა მითქმა-მოთქმით და ჭორებით მოსილმა სიკვდილმა დაღი დაასვა ელიზაბეთის და ლორდ რობერტის ურთიერთობას, მაგრამ უამისოდაც ნათელი იყო, რომ მონარქი ქალი თავისი გვირგვინის ტყვეობაში იმყოფებოდა და მას ვერასოდეს ექნებოდა უფლება სრულად, თავდავიწყებით მისცემოდა თავის გატაცებას. ის, რაც ჩვეულებრივ ქალს ბედნიერების განცდას მოუტანდა და საბოლოოდ ბედნიერს გახდიდა, დედოფალთან მიმართებაში უპასუხისმგებლობა, ქვეყნის შერცხვენა და სარ-

ნმუნოების ღალატი იყო.

ერია თუ არა მას ხელი ლედი ემი რობსარტის მკვლელობაში? ჰქონდა თუ არა მას ინტიმური სიახლოვე ლორდ რობერტთან? დღესდღეობით უდავოა ის აზრი, რომ ლედი ემი ჯერ მოწამლეს, ხოლო მერე კი კიბეზე დაცემის სცენა გაითამაშეს. რაც შეეხება მისი ქმრის მონაწილეობას ამ მკვლელობაში, რიგს ავტორებისას (მაგ. ფროდი) მიაჩნია, რომ თუმცა კი ლორდი რობერტი ნამდვილად უდანაშაულოა, მისი სასიყვარულო რომანის ესოდენ ბოროტად გამოყენება სცადეს მათ, ვინც ლორდის აღზევებით საკუთარი კარიერის გაკეთებას იმედოვნებდა. რაც შეეხება ელიზაბეთის ლორდ რობერტთან ინტიმურ სიახლოვეს, ყველაფერ ზემოთქმულს შეიძლება დავუმატოთ თავად ელიზაბეთის კიდევ ორი გამონათქვამი. 1559 წ. ელიზაბეთმა საზეიმოდ განუცხადა თავის პირველი მოწვევის პარლამენტს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ქალწულად დარჩენა. 1562 წ. როდესაც იგი იმდენად მძიმედ შეიქნა ავად ყვავილით, რომ არც მას და აღარც მის გარემოცვას უკვე აღარ ჰქონდა მისი გადარჩენის იმედი, ელიზაბეთმა სარწმუნოდ განუცხადა საიდუმლო საბჭოს, რომ „არაფერი, რაც არ შეეფერება ზნეობის ნორმებს", არ მომხდარა მასა და ლორდ დადლის შორის.

ცხოვრება სამეფო კარზე თავის ჩვეულებრივ დინებას დაუბრუნდა. ელიზაბეთმა ლორდი რობერტისათვის ლესტერის გრაფის წოდების ბოძებაც კი გადასდო. ამბობენ, რომ როდესაც მას შესაბამისი დოკუმენტი წარუდგინეს ხელმოსაწერად, გულმოსულმა ელიზაბეთმა ქაღალდი დანით გადასერა. რაზე იყო ის გაბრაზებული? დადლიზე? მათზე, ვინც უსაფუძვლოდ ადანაშაულებდა მას ემი რობსარტის მკვლელობაში, თუ საკუთარ თავზე? იმის გამო, რომ ვერ მოთოკა საკუთარი თავი და თავისი საქციელით მთელი ევროპა აალაპარაკა, თუ პირიქით, იმის გამო, რომ გვირგვინოსანმა, მბრძანებელმა, რომლის წინაშე მთელი ქვეყანა თავს ხრიდა, ვერ შესძლო ცოლად გაყოლოდა მამაკაცს, რომელიც ესოდენ თავდავიწყებით უყვარდა? ასეა თუ ისე, ტახტმა და გვირგვინმა დედოფლის პირად გრძნობებს კვლავ მძიმე ხუნდები დაადეს. ქალის ბედ-

ნიერებას წინ დედოფლის ღირსება აღუდგა.

დედოფლის ამგვარი შეზღუდვა საკუთარი ბედის განკარგვის საქმეში, რომელსაც ახორციელებდნენ მისი მინისტრები და კარისკაცები, უცნაურად გამოიყურება შეიძლება ითქვას იმ მრავალრიცხოვანი მოთხოვნების ფონზე, რომლებითაც გამოდიოდნენ პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც მისგან გათხოვებასა და ტახტის მემკვიდრეს ითხოვდნენ. „თქვენო უდიდებულესობავ, ნათქვამი იყო პეტიციებში, თემთა პალატა გთხოვთ გათხოვდეთ და ტახტის მემკვიდრე შვათ," რაზედაც ელიზაბეთი მოხდენილი ღიმილით პასუხობდა: „ჩემთვის ესოდენ საჩოთირო საკითხში ყველაზე მეტად მსიამოვნებს თქვენი (იგულისხმებოდა პეტიციის წარმდგენელი – ივ. მ.) და ჩემი ხალხის კეთილი ნება." მაგრამ იყო მის მიერ გაკეთებული აბსოლუტურად სხვანაირი შეფასებები. 1563 წ. იმპერატორის ელჩთან საუბარში მან აღნიშნა: „მე თუ ჩემი გულის კარნახს გავყვები, ალბათ ღარიბ-ღატაკ, მარტოხელა ქალად დარჩენას ვამჯობინებ, ვიდრე დედოფლისა და გათხოვილი ქალის მდგომარეობას". მოგვიანებით, 1566 წ. მან თავისი გულისწყრომა თავს დაატეხა პარლამენტის დეპუტატს, სერ რობერტ ბელს, რომელმაც დედოფლის აკრძალვის მიუხედავად გაბედა და შეეხო მისი გათხოვების საკითხს. რით იყო გამოწვეული მისი ესოდენ თავისებური მიდგომა გათხოვების მიმართ?

ელიზაბეთის თანამედროვენი, ისტორიკოსები, მისი მეფობის მემატიანეებიდან მოყოლებული გამუდმებით მსჯელობდნენ, თუ რატომ დარჩა ელიზაბეთი გასათხოვარი. ზოგჯერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას ჰქონდა რაღაც ფიზიკური ნაკლი, რომელიც არ აძლევდა საშუალებას მამაკაცთან ჰქონოდა სრულფასოვანი სქესობრივი კავშირი, რაც შედეგად ორსულობას და ბავშვის გაჩენას მოიტანდა, გამოთქმულია ისეთი ვარაუდიც, რომ მას გაურკვეველი ფსიქოლოგიური უგულვებელყოფა ჰქონდა სქესობრივი კავშირისა და ქორწინების მიმართ. თუმცა იმასაც დასძენენ, რომ პირადი და ფსიქოლოგიური მოტივები აქ არაფერ შუაშია და რომ ყველაფერს საგარეო პოლიტიკის ინტერესები განაპირობებდნენ. ვარაუდო-

ბენ იმასაც, რომ ლორდ დადლისთან სასიყვარულო რომანის წარუმატებლად დასრულებამ მისი გულგატეხა გამოიწვია იმდენად, რომ ხელი ჩაიქნია გათხოვებაზე დ გადაწყვიტა შინაბერად დარჩენილიყო.

მოსაზრება ფიზიკური ნაკლის შესახებ, რომელიც მას გათხოვებაში უშლის ხელს, საფუძველს არის მოკლებული. ჯერ კიდევ მამამისის, ჰენრი VIII, შემდეგ კი ძმის, ედუარდ VI, მეფობის ხანაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მის სხვადასხვა უცხოელ უფლისწულზე გათხოვების შესახებ. იმ დროის წესჩვეულებების მიხედვით საქორწინო მოლაპარაკების წარმოებისას ელჩები, რომლებიც საპატარძლოს წარმოადგენდნენ, აღწერდნენ არა მარტო მის გარეგნობას, სათნოებასა და ღვთისმოსავობას, არამედ წარმოადგენდნენ ექიმების ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის შესახებ, ე. ი. ამცნობდნენ მის უნარს ეშვა ჯანმრთელი თაობა. უფრო მეტიც, ელჩები ასტროლოგების ვარაუდსაც მოიშველიებდნენ იმის თაობაზე, რისკენ არის უფრო განწყობილი მომავალი საპატარძლოს ორგანიზმი, ბიჭების თუ გოგონების გაჩენისაკენ. ბუნებრივია, რომ ჰენრი VIII და ედუარდ VI ელჩებიც ასე იმოქმედებდნენ და არ დაიწყებდნენ სიტუაციის შელამაზებას, რათა დაემალათ ელიზაბეთის ისეთი ნაკლი, როგორიც იყო მისი უუნარობა შესულიყო სქესობრივ კონტაქტში ან გაეჩინა ბავშვები. რაც შეეხება მთხოვნელების უარით გასტუმრებას, აქ ჯ. რიდლი უფრო მართებულად მიიჩნევს გათხოვებისადმი ფსიქოლოგიურ არაკეთილგანწყობის ფაქტორს, ვიდრე უარის თქმას პოლიტიკური მოტივებით.

როდესაც მამამისი, ჰენრი VIII გარდაიცვალა ელიზაბეთი ცამეტი წლის იყო. მაგრამ თავისი ძმის, ედუარდ VI გარდაცვალების დროისათვის მას უკე ოცი წელი უსრულდებოდა და გასაკვირი იყო, რომ იგი კვლავ გასათხოვარი იყო. მერის მეფობის დასაწყისში, როდესაც ელიზაბეთი ჯერ ტაუერში ჩასვეს, შემდეგ კი შინაპატიმრობა მიუსაჯეს, გათხოვებაზე ფიქრი უბრალოდ უადგილო იყო. მაშინ მთავარი იყო სიცოცხლის შენარჩუნება. მაგრამ მოგვიანებით, მერის მეფობის ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა მისი გათხოვების მცდელობებს

(მაგ. სავოის ჰერცოგის გარიგება). ელიზაბეთი ერთობ წარ-მატებით იძვრენდა თავს ამ გარიგებებიდან, რადგანაც იცოდა, რომ მისი უცხოელზე გათხოვება იყო სხვა არაფერი, თუ არა მისი ინგლისიდან სამუდამოდ წასვლა და შესაბამისად ტახტის პრეტენდენტობიდან ჩამოცილება. ამგვარ პირობებში უარის თქმის ყველაზე შეუვალი საბაბი იყო მისი განცხადება იმის შესახებ, რომ მას სურს ქალწულად დარჩენა. ამავე დროს, ტახტზე ასვლის შემდეგ მან იმავე მიზეზით უარი უთხრა ისეთ მთხოვნელებს, როგორებიც იყვნენ ესპანეთის მეფე ფილიპე II და ლორდი არანი.

აღნიშნულ პირობებში ამგვარი უარი მართლაცდა ყველაზე გამართლებული საშუალება იყო იმისათვის, რომ თავიდან მოე-შორებინა ორივე მთხოვნელი, ესპანელი კათოლიკე მეფე და შოტლანდიელი პროტესტანტი ლორდი.[8] ხოლო, რაც შეეხება შვედეთის მეფე ერიკ XIV, იგი არც თუ ისე სასურველ სასი-ძოდ ჩათვალეს, მით უფრო, რომ მოგვიანებით მან გამოავლინა სასტიკი და მძვინვარე ხასიათი, რაც შემდეგ ფსიქიურ აშლი-ლობაში გადაიზარდა, რის გამოც შვედმა თავადაზნაურობამ იგი ტახტიდან ჩამოაგდო. ასეთივე დაბალი „რეიტინგის" მქონე სასიძოდ ჩათვალეს ჰოლშტაინის ჰერცოგი. მათგან განსხვავე-ბით იმპერატორის მემკვიდრეები ერცჰერცოგები კარლი და ფერდინანდი ძალზე სასურველი სასიძოები იყვნენ. მაგრამ საქმეს სწორედ ორი სასიძოს ფაქტორი ართულებდა. თავად ელიზაბეთმაც კი ერთობ დამცინავად იკითხა, რომ ბოლოს და ბოლოს, ვის უნდა გაყოლოდა.

საბოლოოდ არჩევანი კარლის სასარგებლოდ გაკეთდა. მაგრამ სწორედ ამის შემდეგ ელიზაბეთმა წუნიაობა დაიწყო. მან ჯერ ერცჰერცოგის თავი დაიწუნა, რომელიც მას ძალზე დიდად მოეჩვენა, მერე კი თავად საქმროს პიროვნებაც, ჩათ-ვალა რა იგი მოსაწყენად და მოუხეშავადაც კი. საბოლოოდ კი განაცხადა, რომ არ გაყვება ცოლად კაცს, რომლის რჩენაც მას მოუწევს. დედოფლის ამგვარმა განცხადებამ პირში ჩალა

8 შოტლანდიური პროტესტანტობა გაცილებით უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ინგლისური და ამგვარი სასიძოს ინგლისის ტახტზე ყოფნა არას-ასრუველი იქნებოდა ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრებისათვის.

გამოავლო გრაფ სასექსს, რომელიც ერცჰერცოგის სასარგებლოდ იღწვოდა. განზე არც სხვა კარისკაცები იდგნენ. ყველა ცდილობდა დედოფლის გათხოვების საქმე მოეგვარებინა. „არ დავიდნობ თქვენს უდიდებულესობას და გამუდმებით შეგეევედრებით უზრუნველყოთ მამა თქვენი ბავშვებისათვის და მაშინ თქვენი ქვეყნის შვილები დალოცავენ თქვენს ნაშიერებს" – სწერდა დედოფალს უილიამ სესილი. „უნდა მოვიხმოთ დემოსთენეს გამჭრიახობა და ციცერონის მჭერმეტყველება, რათა ვაიძულოთ იგი (დედოფალი – ივ. მ.) გადადგას ეს ნაბიჯი" – წერდა სესილი თავის მეგობარს. ამისთანა საქმროს უარი ნამდვილად არ ეთქმოდა. ამიტომაც ელიზაბეთმა დადებითად მიიღო იმპერატორის კარიდან გამოსული ეს წინადადება. ესპანეთის ელჩთან, ჰუსმან და სილვასთან საუბარში მან განაცხადა, რომ თანახმაა ცოლად გაყვეს ჰერცოგს. მაგრამ სულ ბოლო წუთს მან აზრი შეიცვალა და იმპერატორის დესპანი უარით გაისტუმრა.

მაგრამ თავადაზნაურობა, ქვეყანა ვერ ჰგუობდა ქალწულ დედოფალს. ტახტის მემკვიდრის არსებობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას სტაბილურობას და სიმშვიდეს შემატებდა. ფეოდალური ცნობიერებისათვის მემკვიდრის არსებობა გვარის და სამფლობელოს მომავალი ძლიერების საწინდარი იყო. შესაბამისად ქვეყანას, სახელმწიფოს, ამ ყველაზე დიდ მამულსა და სამფლობელოს პატრონი, სენიორი ესაჭიროებოდა, რომლის გარშემო მისი ყმები, ვასალები დაირაზმებოდნენ, რითაც საზოგადოებრივი სისტემა სრულყოფილ ხასიათს შეიძენდა. არსებული პატრონყმური, სენიორულ-ვასალური ურთიერთობის პირობებში კი მემკვიდრის არარსებობა თავისებურ იდეურ ვაკუუმს ქმნიდა. ამ ვაკუუმის შევსება კი საჭირო იყო.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, პარლამენტი დროდადრო აწუხებდა დედოფალს ამგვარი განცხადებებით, რისთვისაც დეპუტატები მონაცვლეობით დედოფლისაგან იმსახურებდნენ ალერსიან, მოწყალებითა და მრისხანებით აღსავსე პასუხებს. მაგრამ, როგორც ჩანს, გაბატონებული ფენის კლასობრივი ინ-

ტერესების ამგვარი გამოხატულება ერთობ მძაფრი და ყოვლისმომცველი იყო. ამგვარ ინტერესებს საზღვრები არ ჰქონდა და ამიტომაც სამეფო დონის „სამაჭანკლო მანქანა“ საერთაშორისო მასშტაბით მუშაობდა. 1571 წ. დიპლომატიური არხებით წამოიწყეს ნიადაგის მოსინჯვა ფრანგული გარიგებისათვის. ვარაუდობდნენ ელიზაბეთის გათხოვებას საფრანგეთის მეფის შარლ IX ძმაზე, ანჟუს ჰერცოგზე. მაგრამ ამ გარიგებას თან გარკვეული წინააღმდეგობებიც მოყვებოდა. ჰერცოგი თავგამოდებული კათოლიკე იყო და ამგვარად მისი ჩასიძება ძალზე გააღიზიანებდა ინგლისელ პროტესტანტებს და პირიქით, რიხს შემატებდა კათოლიკეებს. გახდებოდა რა დედოფლის ქმარი, ჰერცოგს შეეძლო ძალა დაეტანებინა ელიზაბეთისათვის წირვას დასწრებოდა, თანაც არა განმარტოებით, სამეფო სამლოცველოში, არამედ საჯაროდ, ერთ-ერთ დიდ ტაძარში. ტაძრისკენ სვლა აუცილებლად მოხდებოდა კათოლიკე მღვდლების და ბერების თანხლებით, რასაც მოსახლეობა მტრულად დაუპირისპირდებოდა. მაგრამ აქ სხვა წინააღმდეგობაც იყო. ჰერცოგს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მტრის, პორტესტანტების ერთ-ერთი ბელადის, უფლისწულ კონდეს და. ეს სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰერცოგს არაფრად მიაჩნდა ის პოლიტიკური თუ სხვა სახის სიკეთე, რომელიც შეიძლებოდა მას რგებოდა ელიზაბეთზე დაქორწინების შემთხვევაში. ამ უკანასკნელს კი ეს ქორწინება მაინც და მაინც არ იზიდავდა. სულ სხვანაირად იყო განწყობილი ელიზაბეთის კარის ყველაზე გავლენიანი პირი, ფინანსთა მინისტრი უილიამ სესილი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ლორდ ბარლის წოდება მიენიჭა. ბარლი ქორწინების მომხრე იყო. ცდილობდა რა წაეხალისებინა დედოფალი, ბარლიმ შესთავაზა მას შემდეგი პირობა წამოეყენებინა ჰერცოგისათვის: ქორწინების შემთხვევაში მას კათოლიკურ წირვაზე დასწრების უფლება ჩამოერთმეოდა. მოთხოვნა ძალზე მკაცრი იყო და ბუნებრივია, რომ ამან ჩაშალა საქორწინო მოლაპარაკება.

1574 წ. მეფე შარლ IX გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა ზემოხსენებული ანჟუს ჰერცოგი ანრი III სახელით. ანრის გამეფე-

ბის შემდეგ ანჟუს ჰერცოგის წოდება ერგო მის უმცროს ძმას, ალანსონის ჰერცოგს ფრანსუას. ტახტზე ყოფნამ და სამეფო გვირგვინმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ანრი III. თუკი ადრე მას არავის გაგონება არ სურდა, უფლისწულ კონდეს დის გარდა და მისი სიყვარულის გამო ელიზაბეთზე დაქორწინებაც არაფრად ჩააგდო, მეფედ ყოფნისას იგი ველარ შეეწინააღმდეგა ოფიციალურ, სახელმწიფო კურსს რელიგიის სფეროში. უქრისტიანესი მონარქი და კათოლიკური ეკლესიის უფროსი ვაჟი (როგორც საფრანგეთის მეფეებს მოიხსენიებდნენ), ვერ ითხოვდა პროტესტანტ ქალს. ამიტომ ანრი III იძულებული შეიქნა ჩაეკლა საკუთარ გულში ეს თავდავიწყებული სიყვარული და ეთხოვა ლუიზა ლოტარინგიელი, გავლენიანი და მეფეთა მოქიშპე ფეოდალების, გიზების ახლო ნათესავი. ამით მეფე გიზების ერთგვარად დაშოშმინებას და შემორიგებას ცდილობდა.

მოაგვარა რა თავისი პირადი საქმეები, ანრი III თავისი ძმის ბედ-იღბალს მიუბრუნდა და დაიწყო მის დაქორწინებაზე ზრუნვა. შესაბამისად დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა. იმ დროის წეს-ჩვეულებიდან და სამეფო კარის ეთიკეტიდან გამომდინარე, ანჟუს ჰერცოგმა ინგლისში დედოფალთან შესახვედრად თავისი ნდობით აღჭურვილი პირი გამოაგზავნა, რომელსაც საცოლე მის სასარგებლოდ უნდა „დაემუშავებინა". ეს იყო ჰერცოგის სამოსისა და ჩაცმა-დახურვის გამგებელი, ვინმე ჟან დე სიმიე. დე სიმიე იმ დროის ქალთა გულების მონადირების დიდოსტატად ითვლებოდა.

როგორც კ. ენტონი წერს, ჩვენ არაფერი ვიცით მისი გარეგნობის შესახებ და ამიტომაც ძნელია თქმა, რითი აღწევდა იგი წარმატებას, მომხიბლავი გარეგნობით, დახვეწილი მოპყრობით თუ თავბრუდამხვევი საუბრით. ერთი კია, ჩავიდა თუ არა ინგლისში, დე სიმიემ კეისრის მაგვარად ელვისებური გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ არა ბრძოლის ველზე, არამედ სასიყვარულო ასპარეზზე. რაც უფრო მეტად იჭრებოდა ფრანგის დახვეწილი და ნატიფი მოპყრობა ინტიმურობის სფეროში, მით უფრო კარგავდა დედოფალი თავს და უფრო გაუწონასწორებელი ხდებოდა მისი ქცევა. დე სიმიესთან შეხვედრისას მისი

კაბები სულ უფრო დეკოლტირებული ხდებოდა. საფრანგეთის ელჩი ამცნობდა პარიზში, რომ ელიზაბეთმა დე სიმეიე დილის კაბაში მიიღო, რომელშიაც მას ჭიპი უჩანდა. ელჩის თანმხლები პირი ამგვარ სცენებს უფრო ფაქიზად გადმოსცემდა: „ამ ამბებმა დედოფალი გააახალგაზრდავა. იგი უფრო მშვენიერი გახდა და მეტად ყვავის, ვიდრე თხუთმეტი წლის წინ“. ასეა თუ ისე, პარიზელი მოარშიყის იერიშმა ყოველგვარი ზღუდე გადალახა და დაიპყრო ინგლისის პირველი მანდილოსანი. თავისი ბატონისათვის ესოდენ მცდელი დე სიმიე თითქმის ჩაენაცვლა მას სასიყვარულო თავგადასავალში. მან დედოფალში დედაბრის ყვავილობა გამოაღვიძა. როგორც კ. ენტონი წერს, ელიზაბეთი მეორედ თავის ცხოვრებაში ესოდენ ახლოს იდგა ვნების საფუძველზე წარმოქმნილი, იდუმალებით აღსავსე ხორციელი სიყვარულის ზღვარზე.

სიყვარულის დემონსტრირებას კი ორივე მხრიდან ბოლო არ უჩანდა. როგორც თავად დედოფალი ამბობდა, მისი ცხოვრება არ იყო სადღაც კუთხეში მყუდროდ განთავსებული. თავის გატაცებას დე სიმიეთი იგი აბსოლუტურად არ მალავდა და საჯაროდ გამოხატავდა მას. იგი დე სიმიეს დილის სამოსელში იღებდა, ხოლო თავის წერილებში მისდამი მსჯელობდა საკუთარი ფეხების სილამაზეზე. თავის მხრივ დე სიმიეც იღებდა დედოფალს აბაზანისათვის განკუთვნილ სამოსში, გაშიშვლებული მკლავებითა და წვივებით, რასაც იმით ხსნიდა, რომ ვერ „მისცემს თავს უფლებას აცდევინოს მის უდიდებულესობას.“

ყველაფერი ეს თავზარს სცემდა სამეფო კარს. გრაფი ლესტერი (ლორდი დადლი), რომელიც თავიდან ფრანგული ქორწინების მომხრე იყო, ამჯერად გაშმაგებული იყო მომხდარით. დედოფალმა მას დაავალა საფრანგეთის ელჩის გართობა მაშინ, როცა თავად დე სიმიეს იღებდა. იგი მზად იყო თავისი სიყვარული მსხვერპლად შეეწირა ტიუდორებისა და ვალუას სამეფო გვარების დანათესავებისათვის, ჩაეკლა თავისი გრძნობები საფრანგეთის მეფის ძმის, ანჟუს ჰერცოგის სასარგებლოდ, მაგრამ მას ძრწოლვა იტანდა იმის გაფიქრებაზე, თუ რა სა-

ფრთხეში იგდებდა თავს მისთვის ესოდენ საყვარელი ქალი. და ეს არ იყო მხოლოდ ეჭვიანობით გამოწვეული გრძნობები. დადლისა და მთელი სამეფო კარის თვალწინ ინგლისის დედოფალი ურცხვად ეარშიყებოდა არა თავის საქმროს, ანჟუს ჰერცოგს, არამედ მისი ჩაცმა-დახურვის გამგებელს. აღშფოთებამ სამეფო კარზე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ერთმანეთთან მუდმივად მოქიშპე ადამიანები გააერთიანა. ლორდი დადლი, რომლისაც მუდამ შურდა სერ ქრისტოფერ ჰატონს სწორედ იმიტომ, რომ ლორდი დედოფლის ნებიერი იყო, შეეკრა თავის მეტოქეს და ორივემ იერიში მიიტანა ფრანგ მოწინააღმდეგეზე. მაგრამ მათი გაერთიანებული მცდელობა დედოფლის თავგამოდებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ელიზაბეთი დე სიმიეს ისე გადაეფარა, როგორც კრუხი წიწილას. მან დე სიმიე საფრანგეთის ელჩის რეზიდენციიდან თავისთან, გრინვიჩის სასახლეში გადაიყვანა და უფრო მეტიც, თავისი დარბაზების გასაღებიც კი ჩააბარა.

მაგრამ ამგვარი ვნებათაღელვის ფონზე დახვეწილ ფრანგ მოარშიყეს არ ავიწყდებოდა თავისი მთავარი ამოცანა, შეექმნა თავისი ბატონისთვის სასურველი და კეთილგანწყობით აღსავსე გარემო და მის მიერ „დამუშავებული" დედოფალი ანჟუს ჰერცოგისათვის გადაელოცა. ამ მხრივ წარმატება განაღდებული იყო. 1579 წ. მარტში დე სიმიემ წარმოადგინა საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა, დე სიმიე ძალზე ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მას სჯეროდა, რომ ქორწინება შედგებოდა. თუმცა კი მაინც დასძენდა: „ძალზე იმედიანად ვარ, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ ვთქვა რაიმე ამაზე მეტი მანამდე, ვიდრე საწოლს ფარდას არ ჩამოაფარებენ, საძინებელი ოთახიდან სანთელს არ გაიტანენ, ხოლო თავად მისი უმაღლესობა (ანჟუს ჰერცოგი – ივ. მ.) საწოლში არ ჩაწვება".

დე სიმიეს მისია ნამდვილად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. დედოფალს უდავოდ ეცოდინებოდა პარიზიდან მოსული ინფორმაცია, რომელსაც სამეფო კარს აწვდიდა ინგლისის ელჩი საფრანგეთში სერ თომას სმიტი. იგი გულწრ-

ფელად გამოთქვამდა სინანულს ანჟუს ჰერცოგის გარეგნობისდა გამო, რომელიც ნამდვილად ვერ ამართლებდა თავის ნათლობის სახელს. მისი ნათლობის სახელი კი ჰერკულესი იყო. ამგვარი შეუსაბამობისდა მიუხედავად ამ ქორწინებიდან გამომდინარე პოლიტიკური სარგებელი ორივე ქვეყანას აძლევდა ხელს. ეს იყო ესპანეთის მოძალების შეჩერება. პერსპექტივა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ დედოფალმა დედამ (ეკატერინე მედიჩიმ) შეატყობინა ელიზაბეთს, რომ მან მონახა დახელოვნებული ქირურგი, რომელიც შესძლებდა ანჟუს ჰერცოგის ნაყვავილარი სახის გაწმენდას, რაზეც სხვათა შორის ელიზაბეთმა ერთობ სხარტად უპასუხა, რომ უმჯობესი იყო ამის გაცილებით ადრე გაკეთება.

მაგრამ პოლიტიკური სარგებლისა და დე სიმიეს „დამუშავებისდა“ მიუხედავად, ელიზაბეთი პასუხს აჭიანურება. როგორც ჩანს, მასში პოლიტიკოსი მაინც ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია თავბრუდახვეული ქალისათვის. ალბათ კათოლიკური სამყარო ანჟუს ჰერცოგისა და საფრანგეთის სახით აიძულებდა მას ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს იგი დათანხმდა შეხვედროდა საქმროს და 1579 წ. 14 აგვისტოს ანჟუს ჰერცოგი ინგლისში ჩავიდა.

ელიზაბეთს ორმოცდაექვსი წელი უსრულდებოდა. ჰერცოგი ოცდაოთხი წლის იყო. დედოფალი გააფრთხილეს, რომ საქმრო მასზე ბევრად უმცროსია. თანაც, როგორც გამოირკვა, იყო დაბალი, ულამაზო და როგორც უკვე ითქვა, ნაყვავილარი სახის მქონე აღმოჩნდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ დედოფალს მოეწონა ჰერცოგი, ხოლო თავად ჰერცოგი აღტაცებული დარჩა დედოფლით. მან ისეთი შემართებით, თავდავიწყებითა და ვნებით აღსავსე სიტყვებით მიმართა დედოფალს, რომლებშიაც ჩააქსოვა საფრანგეთის სამეფო კარისა და საერთოდ, ფრანგი თავადაზნაურობისათვის დამახასიათებელი მოხდენილობა და სინატიფე, რომ როგორც ჩანს, მოხიბლა დედოფალი, რომელმაც სრულად გამოხატა ჰერცოგისადმი სასიყვარულო კეთილგანწყობა. იმის გამო, რომ ჰერცოგმა დედოფალს ბაყაყის ფორმის მსგავსი საყურეები მიართვა, ელიზაბეთი თავის

საქმროს მოფერებით ბაყაყს უწოდებდა.

მაგრამ დედოფლის პროტესტანტი ქვეშევრდომები აღშფოთებულები იყვნენ ამ სავარაუდო ქორწინებით მათ პროტესტანტ დედოფალსა და ფრანგ კათოლიკე ჰერცოგს შორის. მათ განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა ის ფაქტი, რომ ჰერცოგის ყოფნა ინგლისში ემთხვეოდა წმინდა ბართლომეს ღამეს (1572 წ. 23 აგვისტო), კათოლიკეების მიერ მოწყობილი ფრანგი პროტესტანტების, ჰუგენოტების ულეტას. ანჟუს ჰერცოგი ამ ულეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

არც ინგლისის სამეფო კარზე იყო ერთსულოვნება. ლორდი ბარლი და ლორდი ესექსი ქორწინებას უჭერდნენ მხარს. გრაფი ლესტერი (ყველასათვის ესოდენ ცნობილი რობერტ დადლი) წინააღმდეგი იყო. განსაკუთრებით მტრულად იყვნენ განწყობილი ქორწინების მიმართ პურიტანი მქადაგებლები, რომლებიც თავის ქადაგებაში სასტიკად ამათრახებდნენ მომავალ ქორწინებას და მიიჩნევდნენ მას იმ პირველ ნაბიჯად, რომელიც მიიყვანდა ინგლისს კათოლიკობის აღდგენამდე. ისინი ამ ქორწინებას ადრიდნენ დედოფალ მერის გათხოვებას ესპანეთის მეფე ფილიპე II.

ამ გაკიცხვის გამოხატულება იყო პამფლეტები, რომლებიც ჯერ ლონდონში, შემდეგ კი მთელს ქვეყანაში გავრცელდა. პირველი ეკუთვნოდა გამოჩენილ პოეტს, ფილოსოფოსსა და ჰუმანისტს სერ ფილიპ სიდნის. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აკლდა დედოფლის წყალობა, სერ ფილიპი არ შეუშინდა დედოფლის რისხვას და მკაცრად გააკრიტიკა მომავალი ქორწინება. თავის პამფლეტში იგი მოუწოდებდა დედოფალს არ გაყოლოდა ცოლად ანჟუს ჰერცოგს, რომელიც იყო ფრანგი, კათოლიკე და „ჩვენი დროის იზებილის"[9] (იგულისხმებოდა თავისი ინტრიგებით ცნობილი საფრანგეთის დედოფალი დედა ეკატერინე მედიჩი) ვაჟი. სიდნის თქმით, ეს ქორწინება არ უნდა შემდგარიყო, რადგანაც მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ინგლისელი პროტესტანტები, ანუ ელიზაბეთს მხარდამჭერთა ბირთვი.

---

9 ფინიკიური წარმოშობის ისრაელის ბიბლიური დედოფალი, მზაკვრობისა და თვალთმაქცობის სიმბოლო.

მაგრამ თუკი სერ ფილიპ სიდნის პამფლეტში მოცემული კრიტიკა თავდაჭერილ და ზომიერ ხასიათს ატარებდა, სულ სხვანაირი იყო ლინკოლნელი ადვოკატის ჯონ სტაბსის მიერ დაწერილი პამფლეტი. პამფლეტი გამოქვეყნდა იმ დროისათვის დამახასიათებელი ერთობ დიდი სათაურით: „უფსკრულის ნიღბის ახდა, რომელიც შთანთქავს ინგლისს მომავალი ფრანგული ქორწინების მეშვეობით, თუკი უფალი წინ არ აღუდგება მას და არ აუხელს მის უდიდებულესობა დედოფალს თვალს იმ რისხვასა და ცოდვაზე, რომელიც ამ ქორწინებას მოყვება". პამფლეტი იწყებოდა დედოფლისადმი ერთგულების გამოხატვით და მისი ღირსებების ჩამოთვლით. მაგრამ ამ ფრაზებს მოყვებოდა მონაკვეთები, რომლებშიაც ანჟუს ჰერცოგი შედარებული იყო გველთან, რომელმაც მამაკაცის გარეგნობა მიიღო „რათა აცდინოს ჩვენი ევა, იმისათვის, რომ ჯერ მან და მერე ჩვენ ყველამ დავკარგოთ ჩვენი ინგლისური სამოთხე".

სტაბსი მიუთითებდა, რომ ანჟუს ჰერცოგთან ერთად ინგლისში დაბრუნდებოდა კათოლიკური წირვა, ხოლო ჰერცოგისა და დედოფლის ქორწილი იქნებოდა ახალი „პარიზული ქორწილი". იგულისხმებოდა ქორწილი ნავარის მეფეს (პროტესტანტ) ანრისა და საფრანგეთის მეფის შარლ IX დას, მარგარიტა ვალუას შორის. სტაბსი წერდა, რომ როგორც პარიზულ ქორწილს მოყვა წმინდა ბართლომეს ღამე და ჰუგენოტების ულეტა, რომლებიც ქორწილში ჩავიდნენ პარიზში, ასევე დედოფლისა და ჰერცოგის ქორწილს მოყვებოდა ინგლისელი პროტესტანტების ულეტა. სტაბსი არ უარყოფდა, რომ დედოფლის გათხოვება ემთხვეოდა პარლამენტის მრავალრიცხოვან მოწოდებებს და გადაწყვეტდა ტახტის მემკვიდრის პრობლემას. მაგრამ ამჟამად, წერდა სტაბსი, დედოფალი უკვე ხანში შევიდა და ველარ შობს ბავშვს. და კიდევაც რომ მას ბავშვი გაუჩნდეს, განაგრძობდა სტაბსი, იგი ათაშანგით (სიფილისით) იქნება დაავადებული, რომლის მატარებელი თავად ჰერცოგია თავისი გარყვნილი ცხოვრების წესის გამო. სავსებით შესაძლებელია, რომ ჰერცოგმა დედოფალს გადასდოს დაავადება.

სერ ფილიპ სიდნის პამფლეტმა გააღიზიანა დედოფალი,

რის გამოც ცნობილ პოეტს გარკვეული ხნით მოაკლდა მისი წყალობა. მაგრამ სტაბსის პამფლეტი დიდი რაოდენობით გაიყიდა ლონდონის წიგნის ერთ-ერთ მაღაზიაში, რომლის მეპატრონე ვინმე პეიჯი იყო. წიგნი მთელ სამხრეთ ინგლისში გავრცელდა და ელიზაბეთს მიაჩნდა, რომ ეს შორსმიმავალ შედეგებს მოუტანდა. ელიზაბეთი განრისხებული იყო იმით, რომ სტაბსის გამოხდომა წარმართული იყო ანჟუს ჰერცოგის, საფრანგეთის ძმის წინააღმდეგ, რომელთანაც მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. იმ ხანად არსებული წეს–ჩვეულებისდა მიხედვით მონარქები კრძალავდნენ იმგვარი ბეჭდვითი ნაშრომების გამოცემას რომლებშიაც აუგად მოიხსენიებდნენ სხვა, თუნდაც არაკეთილმოსურნე ქვეყნების მმართველებს. მანამდე ელიზაბეთმა თხოვნით მიმართა ფილიპეს, რომ ამ უკანასკნელს აეკრძალა ესპანეთში მყოფი კათოლიკე ინგლისელების მიერ პამფლეტის გამოცემა ინგლისურ რეფორმაციაზე. ამ პამფლეტში თავად ელიზაბეთი მოიხსენიებოდა როგორც მწვალებელი და უკანონოდ შობილი.

ელიზაბეთი პირად შეურაცხყოფასაც გრძნობდა. სტაბსი ხომ ანჟუს ჰერცოგს ლანძღავდა, მამაკაცს, რომელიც ელიზაბეთს მოეწონა და რომელზედაც გათხოვებას აპირებდა. იგი განრისხებული იყო იმის გამო, რომ სტაბსმა გაბედა და საჯაროდ მოიხსენია მისი ასაკი, საქვეყნოდ განაცხადა, რომ მას ბავშვის გაჩენის უნარი აღარ შესწევდა. იგი გულმოსული იყო პურიტანებზე, რომლებმაც გაბედეს და მის პირად ცხოვრებასა და საგარეო პოლიტიკაში ჩაერივნენ, ერთი სიტყვით შეეხნენ იმ საკითხებს, რომლებიც მათ სულაც არ ეხებოდათ. თუმცა კი პამფლეტის დასაწყისში სტაბსი დედოფლისადმი ერთგულებას გამოხატავდა, ელიზაბეთს მიაჩნდა, რომ პამფლეტი მოწოდებული იყო მოსახლეობა დედოფლის წინააღმდეგ აემხედრებინა და ქვეყანაში შფოთი დაეთესა.

პამფლეტის ავტორი სტაბსი, გამომცემელი სინგლეტონი და წიგნების მაღაზიის მეპატრონე პეიჯი დააპატიმრეს. გადაწყდა, რომ ისინი სასტიკად დაესაჯათ, რათა პურიტანებისათვის ჭკუა ესწავლებინათ. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას წინ

აღუდგნენ ადვოკატები. მათ დაუმტკიცეს დედოფალს, რომ არ შეიძლებოდა დაპატიმრებულთა დადანაშაულება სახელმწიფო ღალატში, რასაც მათი სიკვდილით დასჯა მოყვებოდა. მსჯავრდებულები გაასამართლეს 1555 წ. მიღებული კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს ამბოხისაკენ მოწოდებისა და ხმების გავრცელებისათვის. ეს კანონი მიღებულ იქნა მერისა და ფილიპეს ერთობლივი მეფობის დროს, რათა ეს უკანასკნელი დაეცვათ მტრული გამოხდომებისაგან. კანონში ნათქვამი იყო, რომ ნებისმიერი, ვინც ხელნაწერის ან ნაბეჭდი გამოცემის მეშვეობით ან სიტყვიერად გამოთქვამდა რაიმეს, რითაც აკრიტიკებდა, აუგად მოიხსენიებდა ან შეურაცხყოფას აყენებდა მათ სამეფო უდიდებულესობათ, ანდა ერთ-ერთ მათგანს, იმსახურებდა მარჯვენა ხელის მოკვეთას.

ელიზაბეთმა გამოსცა ვრცელი მიმართვა, რომელიც ლორდ–მერმა და ეპისკოპოსებმა წაიკითხეს ლონდონსა და მთელ სამხრეთ ინგლისში. მიმართვაში დაგმობილ იქნა სტაბსის პამფლეტი როგორც მოწოდება ამბოხისაკენ. სტაბსი, ნათქვამი იყო მიმართვაში თავის ჭეშმარიტ ზრახვებს ნიღბავდა მცდელობით, დაერწმუნებინა დედოფალი არ გაყოლოდა ცოლად საფრანგეთის მეფის ძმას. სინამდვილეში იგი შეურაცხყოფას აყენებდა გვირგვინოსანს და თან შფოთს სთესდა საზოგადოებაში, ამტკიცებდა რა, რომ ამ ქორწინების წყალობით ინგლისში გაქრებოდა ქრისტიანობა (ე.ი. პროტესტანტობა–ივ.მ.). ეს სხვა არაფერი იყო, ნათქვამი იყო მიმართვაში, თუ არა მისი უდიდებულესობა დედოფლის საქმიანობის კრიტიკა. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ, ანჟუს ჰერცოგი სულაც არ აპირებდა ინგლისში პროტესტანტიზმის დამხობას. ნახსენები იყო დახმარება, რომელიც მან გაუწია საფრანგეთში ჰუგენოტებს, რისი წყალობით მათ მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. მართლაცდა, მხოლოდ ანჟუს ჰერცოგის ჩარევის წყალობით ჰუგენოტებმა მიაღწიეს მათთვის სასურველ საზავო პირობებს მეხუთე რელიგიური ომის დასრულების შემდეგ. ასეთი სასურველი ზავისთვის მათ არასოდეს მიუღწევიათ რელიგიური ომების მთელ მანძილზე. მიმართვის ბოლოს

ნათქვამი იყო, რომ სტაბსის პამფლეტის მთელ ტირაჟს ყადაღა დაედო და იგი უნდა განადგურებულიყო.

1579 წ. 27 სექტემბერს საიდუმლო საბჭომ ლორდ–მერს უბრძანა სამეფო მიმართვის სისრულეში მოყვანა და დასძინა, რომ ანჟუს ჰერცოგი არ აპირებდა ინგლისში პროტესტანტობის დამხობას. დედოფალმა ხომ ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ინგლისში პროტესტანტობის გამარჯვებაში, ვიდრე ეს გააკეთა ნებისმიერმა პროტესტანტმა მონარქმა თავის ქვეყანაში, ნათქვამი იყო საიდუმლო საბჭოს ბრძანებულებაში. მას ხელს აწერდნენ დედოფლის უახლოესი პირები, კერძოდ კი ლესტერი, ბარლი, უოლსინგამი, ლორდ–კანცლერი ბრომლი, სერ ჰენრი სიდნი.

სტაბსი, პეიჯი და სინგლეტონი სამეფო სკამის სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. მათ მარჯვენა ხელის მოკვეთა მიესაჯათ. ბოლო წუთს დედოფალმა სინგლეტონი შეიწყალა, მაგრამ სტაბსის და პეიჯის მიმართ იგი ულმობელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ელჩმა და თვით ანჟუს ჰერცოგმა პირადად სთხოვეს მას შეეწყალა მსჯავრდებულები. 3 ნოემბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. მანამ, ვიდრე ჯალათის ხელში აღმოჩნდებოდა სტაბსმა შემდეგი სიტყვებით მიმართა სასჯელის აღსრულების ადგილზე თავშეყრილ ხალხს: „ილოცეთ ჩემზე, რათა უფალმა სიმტკიცე მომმადლოს იმისათვის, რომ ავიტანო ის ტანჯვა, რომელიც მე მელოდება და მიწყალობოს უნარი აღვასრულო ჩემი მოვალეობა მისი უდიდებულესობის სიყვარულში. და თუკი თქვენ შორის ბატონებო, აღმოჩნდება თუნდაც ერთი, ვისაც ვუყვარვარ მე, და არა უფალი და მისი უდიდებულესობა, მე ვუარყოფ ამ სიყვარულს.“ როდესაც ჯალათმა მოკვეთა მას მარჯვენა ხელი, სტაბსმა მარცხენა ხელით მაღლა აიტაცა ქუდი და შესძახა: „ღმერთო, შენ დაიფარე დედოფალი!“ და მერე გული შეუღონდა.

როდესაც ჯერი პეიჯზე მიდგა მან უფრო უბრალო სიტყვით მიმართა ხალხს და თქვა, რომ მთელი სიცოცხლე თავისი მარჯვენით მოიპოვებდა ლუკმა–პურს და ამიტომ უფრო ლმობიერი იქნებოდა, თუკი დედოფალი ბრძანებდა, რომ მისთვის

მარცხენა ხელი, ან თუნდაც თავი მოეკვეთათ. მაგრამ პეიჯმა იქვე გამოთქვა რწმენა, რომ უფალი არ მიატოვებდა მას ბედის ანაბარა. როდესაც ჯალათმა მას ხელი მოკვეთა, პეიჯმა შესძახა. „ესეც ასე! გამოვეთხოვე ჭეშმარიტი ინგლისელის მარჯვენას!"

სიმტკიცე და უდრეკი სული, რომელიც გამოავლინეს მსჯავრდებულებმა, და განსაკუთრებით სტაბსმა, შესაშურია. ეს მეტყველებს პურიტანების შეუპოვარ სულისკვეთებაზე, რომელიც მათ გამოავლინეს ჯერ კიდევ მერის მეფობის ხანაში და რომლის გამოხატულებას ეპისკოპოსი ჰიუ ლატიმერი და მისი თანამოაზრეები წარმოადგენდნენ. XVII ს. კი ეს გამოვლინდა კრომველის „რკინისგვერდებიანების" თავგანწირვაში, რომლებიც სამოქალაქო ომის დროს როიალისტებს ებრძოდნენ. მაგრამ პურიტანები იყვნენ არა მარტო სარწმუნოებისათვის თავგადადებული ხალხი. ისინი წარმოადგენდნენ ახალ საზოგადოებრივ ელემენტს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საკუთარი ძალების, საკუთარი საქმის სიმართლის არნახული რწმენა, რწმენა იმისა, რომ ნებისმიერი მათი ნამოწყება მართებულია, რომლის წარმატებაც ღვთის ნებისა და კეთილგანწყობის წყალობით წინასწარ არის განპირობებული. სწორედ ამგვარმა მსოფლმხედველობამ, რომელიც თანდათანობით ინგლისური საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიზიარა არნახული სოციალურ-ზნეობრივი ქმედითუნარიანობა შესძინა მას. სწორედ ამან განაპირობა შემდგომში ინგლისის წარმატება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე.

საინტერესოა აზრი და შეფასება, რომლებიც გამოთქმულია ამ მოვლენის შესახებ. ბრიტანელი ისტორიკოსი ჯონ ნილი მიუთითებს, რომ იმ დროის ფასეულობების და ზნეობრივი ნორმების მიხედვით ამგვარი სასჯელი არ იყო ულმობელი. მაგრამ ჯ. რიდლის მოყავს XVIს. ინგლისელი ისტორიკოსის უილიამ კემდენის გამონათქვამი. კემდენი თავად ესწრებოდა განაჩენის სისრულეში მოყვანას და თავის ნაწერებში აღნიშნავს, რომ, იმ ამბის შემყურე ხალხი გაოგნებული იყო. კემდენის თქმით, როდესაც სტაბსმა

მარცხენა ხელით ქუდი მაღლა აიტაცა და შესძახა: „ღმერთო შენ დაიფარე დედოფალი! " ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ამას კემდენი შემდეგი მიზეზებით ხსნის; ხალხი გაოგნებული იყო ასეთი ულმობელი სასჯელის ხილვით; ყველა გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ ამგვარი ხვედრი ერგო ადამიანს, რომლის ღირსება არაფრით არ იყო შებღალული; სამარისებრი დუმილით ხალხი აგრეთვე გამოხატავდა თავის სიძულვილს დედოფლისა და ანჟუს ჰერცოგის მომავალი ქორწინების მიმართ, რომელსაც პურიტანების აზრით აუცილებლად მოყვებოდა სარწმუნოების (ე.ი. პროტესტანტობის) დამხობა.

სტაბსი ტაუერში გადაიყვანეს. პატიმრობაში ყოფნისას მან წერილი მისწერა დედოფალსა და საიდუმლო საბჭოს. წერილში იგი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დედოფალს მიაყენა შეურაცხყოფა, შეწყალებას და ციხიდან ვადამდე ადრე ითხოვდა გათავისუფლებას. თავის შეძახილს „ღმერთო, შენ დაიფარე დედოფალი" სტაბსი შემდეგნაირად ხსნიდა. ამით, ამბობდა სტაბსი, მას სურდა თავშეკავების მაგალითი მიეცა მათთვის, ვინც კი აპირებდა თუნდაც მცირედი ზიანი მიეყენებინა უფლის მიერ მირონცხებულთათვის ანდა სამართლის კანონის შესაბამისად აღსრულებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. სტაბსმა ერთი წელი დაყო ციხეში და შემდეგ გათავისუფლებულ იქნა. მისმა თანამოძმე პურიტანებმა მართალია ვერ ააცილეს მას სასტიკი სასჯელი, მაგრამ იმდენი კი შესძლეს, რომ დაარწმუნეს ელიზაბეთი, რომ სტაბსი გამოეყენებინათ ანთიკათოლიკე პროპაგანდისტად და ჰოლანდიაში გაეგზავნათ როგორც ინგლისელი პროტესტანტების რწმუნებული. მისმა მშობლიურმა ქალაქმა იარმუტმა პარლამენტის დეპუტატად აირჩია. ერთი სიტყვით საზოგადოებამ პატივი მიაგო მას ასეთი თავდადებისათვის. თავის წერილებს იგი ხელს აწერდა „სცევოლა"[10] ანდა,

---

10 სცევოლა (Scaevola-(ლათ.) ცაცია. მინიშნებაა ძველ რომზე, კერძოდ კი რესპუბლიკური ხანის ადრეულ პერიოდზე, როდესაც გადმოცემით ჭაბუკმა რომაელმა მუციუსმა მტრების წინაშე დაიწვა მარჯვენა ხელი და ამით აჩვენა, რომ მას, რომაელს, არაფრის არ ეშინია და მზად არის აიტანოს ნებისმიერი ტანჯვა-ნამება, რათა უზრუნველყოს მშობლიური ქალაქის უსაფრთხოება.

„დაწერილია მარცხენა ხელით."

ასეთმა თავგამოდებულმა წინააღმდეგობამ გათხოვების საქმეში, რომელსაც დედოფალი ნააწყდა საზოგადოებრივი აზრის მხრიდან გაართულა მდგომარეობა. ნათელი იყო, რომ ქვეყანა, ხალხი, მხარს არ უჭერდნენ დედოფლის ანჟუს ჰერცოგზე გათხოვებას. პროტესტანტი დედოფალი ვერ უგულვებელყოფდა თავისი პროტესტანტი ქვეშევრდომების მოთხოვნას.

საკითხის გადასაწყვეტად ელიზაბეთმა საიდუმლო საბჭოს მიმართა. მაგრამ არც საიდუმლო საბჭო გამოდგა ერთსულოვანი ამ საკითხში. ამიტომ საკითხის განხილვას რამდენიმე სხდომა დასჭირდა, სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია 1579 წ. 7 ოქტომბერს, როდესაც საბჭოს წევრებმა დაითხოვეს საბჭოს მდივნები და თანაშემწეები, და საბჭოს სხდომა დახურულ კარს მიღმა ჩატარდა. საკითხი განიხილებოდა დილის ათი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. იმის გამო, რომ მდივნები დაითხოვეს ოქმის შედგენა თავად ლორდმა ბარლიმ იტვირთა. ბარლიმ, სასექსმა, უილსონმა და ჰანდსომმა მხარი დაუჭირეს ქორწინებას. სერ ფრენსის უოლსინგამი სხდომას არ ესწრებოდა. შესაძლოა ელიზაბეთის განკარგულებით ან თავისი ინიციატივით. იგი ფრანგული გარიგების წინააღმდეგი იყო და როგორც ჩანს არ სურდა დედოფალის უფრო მეტი გაგულისება გამოეწვია. მაგრამ ყველაზე კატეგორიული პოზიცია გრაფმა ლესტერმა(დადლიმ) და სერ ჰენრი სიდნიმ დაიკავეს. ისინი სასტიკად გაილაშქრნენ გათხოვების წინააღმდეგ და საბჭოს უმრავლესობაც აიყოლიეს. ლესტერის მხრიდან ეს იყო ალბათ თავისებური შურისძიება იმ სულიერი ტანჯვისათვის, რომელიც მან განიცადა დე სიმიეს დაუფარავი არშიყის შედეგად.

ამგვარად, მიღებული გადაწყვეტილების შედეგად საბჭომ შესთავაზა ელიზაბეთს უარი ეთქვა ანჟუს ჰერცოგის წინადადებაზე იმ მიზეზით, რომ მისი ქვეშევრდომები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ დედოფლის ნებისმიერ კათოლიკეზე გათხოვებას.

ელიზაბეთმა უხალისოდ მიიღო ეს წინადადება. თვალ-

ცრემლიანმა, მან უსაყვედურა საიდუმლო საბჭოს წევრებს, რომ მათ არც უნდა შეპარვოდათ ეჭვი იმის თაობაზე, რომ მისთვის ყველაზე მთავარი იყო გათხოვება, ბავშვის ყოლა და ჰენრი VIII მოდგმის გაგრძელება. თავის სეფე ქალებს ელიზაბეთი ეუბნებოდა, რომ ძალზე უნდოდა ცოლად გაყოლოდა ანჟუს ჰერცოგს და ბავშვები ყოლოდა. იგი ძალზე გაბრაზებული იყო ყველაზე, ვინც მის ჰერცოგზე გათხოვებას ეწინააღმდეგებოდა და გამუდმებით გესლიანად მიუგებდა სერ ფრენსის უოლსინგამს, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ იმისთვის ვარგა, რომ მწვალებლებს (ე.ი. პურიტანებს, გათხოვების მოწინააღმდეგეებს) გაუწიოს მფარველობა.

მაგრამ ოფიციალური უარის თქმისაგან როფორც ელიზაბეთი, ასევე საიდუმლო საბჭო თავს იკავებდნენ. მათ არ სურდათ საფრანგეთთან ურთიერთობის გაფუჭება მაშინ, როცა დაიწყო ინგლის-ესპანეთის ურთიერთობის გაუარესება. გარდა ამისა ელიზაბეთს არ სურდა ნირწამხდარი შეგებებოდა შექმნილ მდგომარეობას. 14 ნოემბერს დე სიმიემ და დედოფლის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ზემოხსენებულ 12 მუხლს. ელიზაბეთს ორი თვე მიეცა იმისათვის, რომ განეწყო თავისი ქვეშევრდომები ქორწინების სასარგებლოდ. დედოფლის ანჟუს ჰერცოგის მიმართ სიყვარულზე მეტყველებს ისიც, რომ ამ უკანასკნელმა საფრანგეთში დაბრუნებამდე ელიზაბეთისაგან საჩუქრად მიიღო რვა ათასი კრონის ღირებულების ძვირფასეულობა.

საქორწინო მოლაპარაკება ორ სამეფო კარს შორის განახლდა 1581 წ. ზაფხულში. იგი მიმდინარეობდა დიპლომატიური მოლაპარაკების ფონზე, რომელიც კვლავ ესპანეთის ნეიტრალიზებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული დროისათვის ინგლის-ესპანეთის ურთიერთობა შესამჩნევად გაუარესდა. ინგლისს როგორც არასოდეს ისე ესაჭიროებოდა საფრანგეთის მხარდაჭერა, რათა თავიდან აეცილებინა ესპანეთიდან გამომავალი საფრთხე. ინგლისის სამეფო კარი ერთსულოვნად უჭერდა მხარს ინგლის–საფრანგეთის კავშირს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ანჟუს ჰერცოგმა მიიღო ნიდერლანდელ აჯან-

ყებულთა წინადადება მათი მეთაური გამხდარიყო. ამით ინგლისი სასურველ მოკავშირეს გაიჩენდა საფრანგეთის სამეფო კარის წარმომადგენელის სახით, რომელიც ნიდერლანდების სათავეში იქნებოდა.

მაგრამ ანრი III და ეკატერინე მედიჩიმ პრინციპულად დასვეს საკითხი: კავშირი ორ ქვეყანას შორის დაიდებოდა მხოლოდ ელიზაბეთისა და ანჟუს ჰერცოგის ქორწინების შემთხვევაში. იმავე წლის ივნისში უოლსინგამმა საფრანგეთში ინგლისის ელჩის კობემის მეშვეობით აცნობა ანრი III და ეკატერინე მედიჩის, რომ ინგლისი მზად არის სამხედრო კავშირი დადოს საფრანგეთთან, მაგრამ ქორწინების გარეშე საფრანგეთის მეფემ და დედოფალმა დედამ ამაზე უარი განაცხადეს. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ელიზაბეთი შესაშური სარძლო იყო,[11] მერე კიდევ მედიჩის მიაჩნდა, რომ მხოლოდ დინასტიური კავშირი განამტკიცებდა ინგლის-საფრანგეთის კავშირს და მყარ ხასიათს შესძენდა მას.

1581 წ. ნოემბრის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც მისი სამხედრო წარმატებები ნიდერლანდებში დამუხრუჭდა, ანჟუს ჰერცოგი ინგლისში ჩავიდა. საქმროსა და საცოლეს შორის ძალზე მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. ჰერცოგმა თავდავიწყებით გადაუშალა გული ელიზაბეთს და გზა მისცა მოზღვავებულ გრძნობებს. ესპანეთის ელჩი ინგლისში მენდოზა, გრძნობდა რა ამ კავშირიდან გამომდინარე საფრთხეს, ამცნობდა თავის ხელისუფლებას მოვლენათა მსვლელობას. მისი თქმით „დედოფალი ერთი რამით არის დაკავებული, მუდამ ერთად იყოს ანჟუს ჰერცოგთან. დილიდან შუადღემდე იგი ჰერცოგთანაა თავის ოთახში, შემდეგ კი მზის ჩასვლიდან ორ-სამ საათს კვლავ მასთან ატარებს. არ ვიცი, რა ეშმაკით არიან ამ დროის მანძილზე ისინი დაკავებული" – წერდა გულმოსული მენდოზა.

---

11 ეკატერინე მედიჩის უწინასწარმეტყველეს, რომ მის ოთხივე ვაჟი სამეფო გვირგვინს დაიდგავდა. ეს გამართლდა პირველი სამი ვაჟის მიმართ. ფრანსუა I (1559–1560), შარლ IX (1560–1574), ანრი III(1574–1589). ელიზაბედთან ქორწინების შემთხვევაში ანჟუს ჰერცოგს ინგლისის სამეფო გვირგვინი ელოდა.

მოვლენები ერთობ მძაფრად და ორივე მხარისათვის სასურ-ველი მიმართულებით ვითარდებოდა. ამ განვითარების კულმი-ნაციას იმავე წლის 22 ნოემბერს უაით ჰოლში მომხდარი სცენა წარმოადგენდა. იმ დღეს ელიზაბეთმა გრაფ ლესტერის (რობერტ დადლის), სერ ფრენსის უოლსინგამის და საფრანგეთის ელჩის მოვისიეს თანდასწრებით მოიხსნა ხელიდან ბეჭედი, წამოაცვა იგი თითზე ანჟუს ჰერცოგს და საფრანგეთის ელჩის თქმით აკოცა ჰერცოგს იმ ინტიმური კოცნით, რომლითაც შეყვარებუ-ლი ქალი და მამაკაცი კოცნიან ერთმანეთს. შემდეგ კი მიმართა ელჩს. „შეგიძლიათ მისწეროთ მეფეს (ანრი III – ივ.მ.) რომ ანჟუს ჰერცოგი ჩემი ქმარი გახდება“. პარიზში ამ ცნობას აღტაცებით შეეგებნენ. ანრი III და ეკატერინე მედიჩიმ ელიზაბეთის ჟესტი ოფიციალური ნიშნობის ტოლფასად ჩათვალეს, რის აღსანიშნა-ვად ლუვრში მეჯლისიც კი გაიმართა. მაგრამ ამ საყოველთაო აღტაცების ფონზე, რამოდენიმე დღის შემდეგ ელიზაბეთმა უთხრა ლორდ ბარლის და საიდუმლო საბჭოს სხვა წევრებს, რომ მისი სიტყვები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად ცოლად გაყვება ანჟუს ჰერცოგს. ამგვარად, კვლავ იჩინა თავი ელიზაბეთისათვის დამახასიათებელმა ყოყმანმა.

იმავე წლის ნოემბრის მიწურულს ელიზაბეთმა საფრანგეთ-ში ინგლისის ელჩის მეშვეობით ამცნო ანრი III, რომ მზადაა სამხედრო კავშირი დასდოს საფრანგეთთან იმ პირობით, თუ კი ცოლად გაყვება ანჟუს ჰერცოგს. მაგრამ ამჯერად უკვე ელიზ-აბეთმა წამოაყენა თავისი პირობები. პირველი, თუ კი ინგლისს ნიდერლანდებში მოუხდებოდა შეჭრა და ბრძოლა ესპანეთის წინააღმდეგ დინასტიური კავშირისდა გამო, საფრანგეთს და ჰოლანდიის გენერალურ შტატებს უნდა სრულად დაეფარათ ინგლისის მიერ გაწეული სამხედრო ხარჯები, რადგანაც ამ უკანასკნელს მარტო მოუხდებოდა სამხედრო მოქმედებების წარმოება. მეორე, ერთობლივი, ინგლის–საფრანგეთის მიერ წარმოებული სამხედრო მოქმედებების დროს, საფრანგეთს და ჰოლანდიას უნდა დაეფარათ ინგლისის მიერ ამ ოპერაციები-სათვის გაღებული წილი. ამით საომარი ოპერაციების უმძიმესი ნაწილი, სამხედრო ხარჯები ინგლისის მომავალ მოკავშირეებს

დააწვებოდა. როგორც ჩანს, ელიზაბეთი აბსოლუტურ მოგებას ეძებდა ფრანგული გარიგებიდან: ქმარს, ძლიერ და საიმედო სამხედრო მოკავშირეს და მუქთა სამხედრო ოპერაციებს! შესაშური ტაცებაა ქალისა და მონარქისათვის!

მაგრამ ანრი III არ მიიღო ეს პირობები. 1582 წ. თებერვალში ელიზაბეთმა მას წერილი მისწერა, რომელშიც უსაზღვრო სინანულს გამოხატავდა არშემდგარი ქორწინების გამო და გამოთქვამდა იმედს, რომ ეს არ იმოქმედებდა უარყოფითად ინგლის–საფრანგეთის ურთიერთობაზე. ანჟუს ჰერცოგმა დატოვა ინგლისი. დედოფალმა იგი კენტერბერიმდე გააცილა, სადაც მათ შორის გამოთხოვების გულის ამაჩუყებელი სცენა გაიმართა. თავისი კეთილგანწყობის ნიშნად დედოფალმა ჰერცოგს ფულადი დახმარება აღუთქვა ნიდერლანდებში სამხედრო კამპანიის წარმოებისათვის. იგი მას სამოციათას გირვანქა სტერლინგს შეპირდა, ხოლო ათი ათასი იქვე გადაულოცა.

მისი დამოკიდებულება ანჟუს ჰერცოგის მიმართ მიუთითებს იმ სიჯიუტეზე, რომელსაც იგი იჩენდა იმათ მიმართ, ვინც მას ხელს სთხოვდა. როგორ შეიძლება შეფასდეს მისი მოქმედება ჰერცოგის მიმართ, ბეჭდის ჩუქება, განცხადება ცოლ-ქმრობის შესახებ და მერე კი პრაქტიკულად მიუღებელი პირობების წაყენება მეფე ანრი III? ესოდენ წინააღმდეგობრივმა განცხადებებმა, რომლებსაც დედოფალი ანჟუს ჰერცოგის მიმართ აკეთებდა გააკვირვა ყველა, გარდა ერთი ადამიანისა, რომელიც მას საკმაოდ კარგად იცნობდა. ფილიპე II მადრიდიდან სწერდა ესპანეთის ელჩს ინგლისში მენდოზას: „დარწმუნებული ვარ, რომ ელიზაბეთი საბოლოოდ უარს ეტყვის ანჟუს ჰერცოგს“.

ელიზაბეთისათვის, რომელიც ორმოცდარვა წლის იყო ეს ალბათ გათხოვების უკანასკნელი შესაძლებლობა იყო. ალბათ არასდროს არ ყოფილა იგი ასე ახლო ამ მიზანთან, როგორც 1581 წ. ნოემბერში. მას შეუყვარდა ანჟუს ჰერცოგი. შეიძლება არც თუ ისე თავდავიწყებით, როგორც ლორდი დადლი, მაგრამ იმდენად, რომ ეს საკმარისი იყო, რომ მას ცოლად გაყოლოდა და ამ ქორწინებასთან დაკავშირებულ სირთულეებს

შეგებებოდა (ჰერცოგის კათოლიკობა, პროტესტანტებისა და პურიტანების კრიტიკა). მაგრამ მან ვერ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი. მისი ხასიათისათვის დამახასიათებელმა მერყეობამ გადამწყვეტ მომენტში მაინც იჩინა თავი.

მაინც რით შეიძლება ამის ახსნა? საისტორიო ლიტერატურაში უარყოფილია მოსაზრება, გამოთქმული ელიზაბეთის თანამედროვეს, ჯონ კლეპემის მიერ. ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ იმის გამო, რომ ელიზაბეთი სიჭაბუკეში ვერ გაყვა ცოლად სერ ედუარდ კორტნის, ჰენრი VIII მეფობის დროს სიკვდილით დასჯილი მარკიზ ეკზეტერის ვაჟს მას საერთოდ იმედი გაუცრუვდა გათხოვებაზე. მაგრამ ამ მოსაზრებას უსაფუძვლო, მოარულ ამბად მიიჩნევდნენ. ამას მოყვა სასიყვარულო რომანი ლორდ დადლისთან (თუნდაც პლატონური, როგორც თავად ელიზაბეთი ამტკიცებდა). მაგრამ ისიც უშედეგოდ დამთავრდა. დედოფალი, მისი გრძნობები და ალბათ პირადი ბედნიერებაც, ცოლად გაყოლოდა მამაკაცს, რომელიც ესოდენ უყვარდა), სახელმწიფოს, მის შიგნით მშვიდობას, სარწმუნოებას, მონარქის ღირსებას შეეწირა.

ფილიპე II უარი ეთქვა ინგლისში მისი სახელის კონტრრეფორმაციასთან გაიგივების გამო. მოსახლეობას კარგად ახსოვდა დედოფალ მერის და მისი მეფობის დროს მოგიზგიზე კოცონები, რომლებზედაც პროტესტანტებს წვავდნენ. არნახულად რეალური შესაძლებლობა ცოლად გაყოლოდა ანჟუს ჰერცოგს ვერ განხორციელდა ორი მიზეზის გამო. თავდაპირველად მას წინ ალუდგა საზოგადოებრივი აზრი, დაფუძნებული ტრადიციული ინგლისური თავისუფლებების გაცნობიერებაზე და განმტკიცებული პურიტანებისათვის დამახასიათებელი თავდადებით. ჯონ სტაბსი, გრძნობდა რა თავს ვალდებულად ეთქვა ის, რაც მისი აზრით დაიცავდა ქვეყანას, სარწმუნოებას და თვით დედოფალს, არაფერს არ მოერიდა და პირადი უსაფრთხოება არაფრად ჩააგდო ქვეშევრდომის, ხალხის, სარწმუნოებისა და ქვეყნის წარმომადგენლის მოვალეობასთან შედარებით.

ვეჭვობთ, რომ ამგვარი რამ მომხდარიყო იმ დროს თუნდაც ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, რომ არ ვილაპარაკოთ

აღმოსავლურ სამყაროზე. თავისუფლებისა და პოლიტიკური კულტურის დონე, ე.ი. პირადი პასუხისმგებლობის წილის გაცნობიერება ქვეყანაში მომხდარ მოვლენებზე და მათზე შესაბამისი რეაგირება, ყველაფერი ეს უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე გვირგვინოსნის ძალაუფლება და მისი სწრაფვა პირადი ბედნიერებისაკენ. სტაბსს მარჯვენა ხელი მოკვეთეს, მაგრამ ელიზაბეთის საქმე ამით უკეთ არ წასულა. ინდივიდუალური, თითქმის მოქალაქეობის დონეზე ასული თავისუფლება დედოფლის პირად ბედნიერებაზე ძლიერი გამოდგა. მეორედ კი ელიზაბეთის მიერ ანრი III ნამოყენებული ესოდენ კატეგორიული მოთხოვნები შეიძლება ახსნილ იქნეს მისი სწრაფვით მაქსიმალურად დაეზღვია თავი სავარაუდო კრიტიკისაგან, რომელიც აუცილებლად მოყვებოდა როგორც მის გათხოვებას ანჟუს ჰერცოგზე, ასევე მასთან დაკავშირებულ სავსებით შესაძლო საგარეოპოლიტიკურ და სამხედრო გართულებებს.

მას თავად ხშირად განუცხადებია, რომ იმიტომ არ თხოვდება, რომ ქალწულად სურს დარჩენა. რა იმალება ამ განცხადების მიღმა? ამაზე მის თანამედროვეებსაც ბევრი რამ უთქვამთ. მისი მეტოქე და შეიძლება ითქვას დაუძინებელი მტერი მერი (მარიამ) სტიუარტი ამბობდა, ელიზაბეთზე, რომ იგი ისეთი არ არის, როგორც ყველა დანარჩენი ქალი. იმ დროის ცნობილი დრამატურგი ბენ ჯონსონი წერდა, რომ მას (ელიზაბეთს – ივ.მ.) გარსი აკრავს, რომელიც მას უუნაროს ხდის მამაკაცების მიმართ. მარიამ სტიუარტის დაახლოებული პირი, ფრანგი ბრანტომი წერდა, რომ ელიზაბეთი ვერ ივარგებს ცოლად თავისი ანატომიური ნაკლის გამო, რომელიც მას არ აძლევს საშუალებას მამაკაცთან ნორმალური სქესობრივი ურთიერთობა დაამყაროს და მერე ბავშვი შვას. მერის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი სერ უილიამ მელვილი კი პირდაპირ ამბობდა, რომ ელიზაბეთი უშვილოა.

შესაძლოა ყველაფერ ამას ქვეცნობიერად გრძნობდა ელიზაბეთის სიჭაბუკის ხანის მასწავლებელი როჯერ აშემი, რომელიც თავის აღზრდილზე ამბობდა, რომ ეს უკანასკნელი ქორწინების მიმართ განმსჭვალულია მხოლოდ და მხოლოდ

თავშეკავებისა და ზიზღის გრძნობით. მაგრამ რითი ავხსნათ მაშინ სინანული, რომელსაც ის გამოთქვამდა თავისი პირადი ცხოვრების მიმართ, და რომელიც ყოველთვის ერთნაირად ბოლოვდებოდა: „მერი სტიუარტს კი შესანიშნავი ვაჟი ყავს". შოტლანდიის დედოფალი მისთვის არა მარტო ტახტის მოცილე იყო, არამედ მეტოქე ქალი იმ ასპარეზზე, რომელზედაც მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთა ყველაზე საშური თვისებები ერთმანეთს პირველობას ექიშპებიან.

როდესაც ელიზაბეთმა 1563 წ. იგივე სერ ჯეიმს მელვილი მიიღო ჰემპტონ კორტში შოტლანდიელს ბევრ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა თავისი დედოფლის გარეგნობის, ნიჭიერების, თუ მიხვრა-მოხვრის თაობაზე. მელვილის თქმით ელიზაბეთი შურით იყო აღვსილი. „იგი ჩემზე მაღალია? იკითხა ელიზაბეთმა. „დიახ", იყო პასუხი. ესე იგი ძალზე მაღალია. მე კი არც ძალიან მაღალი ვარ და არც ძალიან დაბალი" – კმაყოფილებით დაასკვნა ელიზაბეთმა. „ვის უფრო თეთრი პირსახე აქვს? – იკითხა ელიზაბეთმა. ამჯერად მელვილმა პოზიციები გაათანაბრა „კარგად უკრავს იგი ვირჯინელზე?" – იყო შეკითხვა. ერთობ ხეირიანად, რამდენადაც ეს დედოფალს მოეთხოვება, იყო პასუხი. ელიზაბეთმა მაშინვე დაუკრა ვირჯინელზე და მელვილმაც ინგლისის დედოფლის პირველობა აღიარა ამ დარგში. ელიზაბეთმა ისე ღრმად შეტოპა, რომ იცეკვა მელვილის თანდასწრებით და იკითხა, აჯობებს თუ არა მას ცეკვაში შოტლანდიის დედოფალი. აქ მელვილმა ვერც ერთს ვერ მიანიჭა უპირატესობა. ალბათ იმისათვის, რომ რამენაირად დაეშოშმინებინა ელიზაბეთი სერ ჯეიმსმა შესთავაზა მას: „გადაიცვით პაჟის ტანსაცმელი და ჩემთან ერთად ეწვიეთ შოტლანდიის სამეფო კარს, რათა თავად იხილოთ დედოფალი მერი."

ამრიგად ელიზაბეთი მთელი თავისი არსებით იყო განმსჭვალული ნებისმიერი ქალისათვის დამახასიათებელი გრძნობებით. მაგრამ ქალის ბედნიერებას წინ სამეფო გვირგვინი აღუდგა. ქვეშევრდომთა მბრძანებელმა ვერ შესძლო, ანდა გარკვეულწილად ვერ მოიპოვა უფლება პირადი გრძნობების განმკარგულებელი ყოფილიყო. ინგლისური აბსოლუტიზმი,

პარლამენტით შეზღუდული, თავის თავისებურებას გარკვეულწილად ალბათ ამითაც გამოხატავდა, რომ ზღუდავდა დედოფლის უფლებებს თავისი ნება–სურვილისდა მიხედვით განეკარგა პირადი გრძნობები. როგორც ჩანს, იგი აცნობიერებდა ერთ მხრივ თავის მერყეობას აღნიშნულ საკითხში და მეორე მხრივ თავის შებოჭილობას. ალბათ სწორედ ამას ინერგავდა გუნებაში დედოფალი. მოსაზრებას, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც მის რწმენაში, ასევე ოფიციალურ მიმართვაში. 1599 წ. თავის მიმართვაში თემთა პალატისადმი მან აღნიშნა: „ჩემთვის საკმარისია ის, რომ წარწერა ჩემს საფლავის ქვაზე ამცნობს, რომ დედოფალი, რომელიც ამდენ ხანს მეფობდა იყო ქალწული და დარჩა ქალწულად". ამიტომაც ამბობდა იგი ცხოვრების ბოლო წლებში, რომ შეუღლებულია თავის ქვეყანასთან, თავის კეთილ ხალხთან.

მაგრამ რჩება ამ საიდუმლოების კიდევ ერთი ახსნა. იგი შეიძლება ფატალისტურად ყღერს, მაგრამ განა მსოფლიო ისტორიას არ ახასიათებს გარკვეულწილად ფატალიზმი? ყველაფერი არსებული ხომ გონიერია, როგორც ამას მოხუცი ჰეგელი ამბობდა, და ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანიც კი, იქცევა რა კანონზომიერებად გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე. ამიტომ ურიგო არ იქნება თუკი ყურს მიუგდებთ იმავე ჯონ კლეპემის მოსაზრებას. ეს მოსაზრება კლეპემმა გამოთქვა ბროშურაში, რომელიც გამოიცა ელიზაბეთის გარდაცვალებიდან ოთხი თვის შემდეგ. საუბრობს რა დედოფლის ჩაშლილ ქორწინებებზე, კლეპემი დასძენს. „უფალმა ღმერთმა თავად იზრუნა ყველაფერზე და თავად მოაწყო ყველაფერი ისე, რომ მისი შთამომავლობა მის წიაღშივე ჩაიმარხა და შედეგად დღეს ორი სამეფო, ინგლისი და შოტლანდია გაერთიანებული არიან ამჟამინდელი მონარქის ძალაუფლების ქვეშ". (იგულისხმებოდა ინგლისის ახალი მეფე მარიამ სტიუარტის ვაჟი, ადრე შოტლანდიის მეფე, ელიზაბეთის გარდაცვალების შემდეგ ინგლისში მოწვეული ჯეიმს I.[12]

12 შოტლანდიაში იგი მეფობდა როგორც ჯეიმს VI. სიკვდილის წინ ელიზაბეთმა იგი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

ასე რომ ელიზაბეთ I ჭეშმარიტად ქვეყნის ყურადღების ცენტრში იყო. მის პირად ცხოვრებაზე, გათხოვება თუ არ გათხოვებაზე ბჭობდნენ და საჯარო განცხადებებს აკეთებდნენ მინისტრები, კარისკაცები, პარლამენტის დეპუტატები, რიგითი მოქალაქეები. მაგრამ მხოლოდ ეს საკითხი არ აერთიანებდა ქვეყანას. იმ დროის ინგლისი უკვე იძენდა ერთიან ეროვნულ ცნობიერებას, რაც პროტესტანტობისადმი ერთგულებაში გამოიხატებოდა, თუმცა კი ელიზაბეთს არც თუ ისე ცოტა კათოლიკე ქვეშევრდომი ყავდა. მაგრამ ქვეყნის ერთი მთლიანი ცნობიერებით და საზოგადოებრივ ორგანიზმად ჩამოყალიბება არ გამორიცხავდა მასში სოციალურ–კულტურულ მრავალფეროვნებას. საზოგადოება ახალ თვისებებს იძენდა, მისი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ახალი სოციალური ფენები გამოდიოდნენ წინა პლანზე. რასაკვირველია მთავარ სოციალურ–პოლიტიკურ ღერძად კვლავ რჩებოდა შარავანდედით შემოსილი დედოფალი და მისი ბრწყინვალე კარი. უამრავი ახალგაზრდა თავადაზნაური და სხვა კლასის წარმომადგენელიც კი ზოგჯერ მთელ ქონებას ახმარდა იმას, რომ კარზე გაებრწყინა. სამეფო კარზე უამრავი ფერადოვანი წარმოდგენა იმართებოდა, რომლებსაც ისეთი დიდი შემოქმედები დგამდნენ და აფორმებდნენ, როგორებიც იყვნენ დრამატურგი ბენ ჯონსონი და არქიტექტორი ინიგო ჯონსი.

მაგრამ კარის გარშემო უკვე სხვა საზოგადოებრივი ფენებიც იყრიდნენ თავს. ქვეყანა თანდათანობით უფრო სამოქალაქო სახეს იძენდა იმ გაგებით, რომ შუასაუკუნოებრივი სოციალური სტრუქტურა ნელ-ნელია იცვლებოდა. თუკი შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი ცხოვრების და შესაბამისად საქმიანობის სამი ფორმა ბატონობდა: ერთნი ლოცულობდნენ (სამღვდელოება), მეორენი იბრძოდნენ (ფეოდალები) და მესამენი შრომობდნენ (გლეხობა), ელიზაბეთის დროს მლოცველებისა და მეომრების გვერდით ფეხი მოიკიდეს ვაჭარ-სოვდაგრებმა, გონებრივი სფეროს მუშაკებმა და თანდათან შეავიწროვეს კიდეც ისინი. ელიზაბეთი, თავად აბჯარასხმული რაინდებით მოხიბლული და მათი მოტრფიალე, თანდათანობით იურისტე-

ბისა და საქმოსნების მბრძანებლად იქცა.

შიგა თუ საგარეო ვაჭრობის განვითარებამ, ოსტ-ინდოეთიდან თუ ამერიკიდან მანამდე უცნობი საქონლის შემოსვლამ, ახალი საზოგადოებრივი ფენების ხელში სიმდიდრის დაგროვებამ (თუმცა ხშირად სხვათა გაღატაკების თუ ცხოვრების ასპარეზიდან გაქრობის ხარჯზეც კი), გეოგრაფიული აღმოჩენებით გამოწვეულმა სიახლეებისადმი სწრაფვამ არნახული ბიძგი მისცა ყველაფერ ახალს და მის დანერგვას.

ამ სიახლეების ეპიცენტრს ლონდონი წარმოადგენდა, საიდანაც ისინი მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდნენ. თავად ლონდონს თანამედროვენი ადრიდნენ ვეებერთელა ბაზრობას, რომელიც აღსავსე იყო ერთდროულად სიმდიდრით, ბრწყინვალებით, სიღატაკითა და საცოდაობით. თავის გამოჩენა, ყველას დასანახად გაბრწყინება, აი რა იყო ყველაზე მთავარი, რისკენაც ისწრაფოდა დედაქალაქის მკვიდრი თუ იქ სტუმრად ჩამოსული ადამიანი. „ჩვენი ხალხი, წერდა 1574 წ. ისტორიკოსი უილიამ კემდენი პრიმატების მსგავსად გარკვეულ გონებრივ არასრულფასოვნებასა და თავხედობას ავლენს. იგი დაუოკებლივ ისწრაფვის გამუდმებით აბრეშუმის ძვირფას სამოსში გამოეწყოს, ოქროს და ვერცხლის სამკაულებით მოირთოს. დროს უაზრო ღრეობებში ატარებს და გაუთავებლად ახალი სახლების შენებაშია, თუმცა კი სახლების რაოდენობა არაფერს მატებს სტუმართმოყვარეობას. ყველა ეს სამკაული თუ სახლების მორთულობა უცხოეთიდან არის ჩამოტანილი, რაზეც უცხოელი ვაჭრები ერთობ ხელს ითბობენ." „უმნიშვნელო ნივთი, მაგრამ უცხოეთიდან ჩამოტანილი და ჩამოტანის ხარჯებსაც რომ ვერ აანაზღაურებს, უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩვენი ნაწარმი, მაგრამ ჭეშმარიტად ღირებული" – სინანულით წერდა კემდენი. იმ დროის ეკონომისტები აღნიშნავდნენ, რომ მთელი ეს უცხოეთიდან ჩამოტანილი „ხარახურა" ინგლისს წელინადში უჯდებოდა ასი ათასი გირვანქა სტერლინგი.

პურიტანი სატირიკოსები, რომელთა მორალი ქადაგებდა სისადავეს და გმობდა ყოველგვარ მორთულობასა და მოკაზმულობას სასტიკად ამათრახებდნენ საზოგადოების გატაცე-

ბას ეკზოტიკური და მეტისმეტად ძვირფასი ჩაცმა–დახურვით. „მათ მხოლოდ ახალი და მოდური აინტერესებთ, გმობენ ყოველივე არსებულს, თავს იკლავენ ნებისმიერი სიახლისათვის და მზად არიან ნებისმიერ ცვლილებას მიენდონ. უსაზღვროდ ამაყნი, პატივმოყვარენი, ისინი ყველაფერს უგულვებელყოფენ და ზემოდან უყურებენ – წერდა ჯონ სტაბსი. „არაფერი მდგრადი, ყველაფერი ცვალებადია ამ საზოგადოებაში" – წერდა იმ დროის პუბლიცისტი უილიამ ჰარისონი. ასევე ცნობილი პუბლიცისტი ფაინს მორისონი, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და თავის თანამემამულეთა შორის ალბათ ყველაზე კარგად იცნობდა უცხოეთს წერდა, რომ ინგლისელები უფრო პომპეზურად და ექსტრავაგანტურად არიან მორთულ-მოკაზმულები, ვიდრე სპარსელები, რადგანაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან.

აბრეშუმის და ხავერდის სამოსით, ოქროს სამკაულებით არა მხოლოდ დიდგვაროვნები და შეძლებული ადამიანები იმშვენებდნენ თავს. ყველა, მეტნაკლებად ფულიანი „ერთობ გადაპრანჭული" დაიარებოდა. როგორც ეს ცვლილებათა, ფასეულობების გადაფასებისა და მატერიალური დოვლათის გადანაწილების ხანას სჩვევია. წინა პლანზე „ნუვორიშები"[13] გამოდიოდნენ, რომელთათვისაც თავის ამგვარად წარმოჩენა საზოგადოებაში გაბრწყინების პრაქტიკულად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ პუბლიცისტები განსაკუთრებით იმ მდაბიოებს აკრიტიკებდნენ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ გააზნაურებას „ეს ტლუ და გაუთლელი ადამიანები ისე იბღინძებიან, რომ ლამის ფეხები შეიმკონ იმით, რასაც მეფენი თავზე ატარებენ. იმისათვის, რომ ხავერდის საცვალი ჩაიცვან, მზად არიან მთელი თავისი ქონება დააგირაონ". ცნობილი დრამატურგი და პოეტი ბენ ჯონსონი ირონიულად წერდა, რომ იმისათვის, რომ ჯენტლმენად იქცე, საჭიროა სასწრაფოდ ჩახვიდეთ ქალაქში და ოთხასი ან ხუთასი აკრის ფართობის საუკეთესო მინის ნაკვეთი აქცი-

13 Nouveau riche (ფრ.) – სიტყვასიტყვით ახალი მდიდარი. გარკვეულწილად ესიტყვება ისტორიულ ქართულ ტერმინს „სიმდიდრით აღზევებული". ადრე ხელმოკლე და უცებ გამდიდრებული ადამიანი.

ოთ ტანსაცმლით გამოტენილ ორ-სამ სკივრად. „ვერ გაიგებ, ვის რა აცვია, მდაბიოს ნარჩინებულისაგან ვერ გამოარჩევ. ამიტომაც იძულებული ხარ ყველას სახელის წინ წაუმძღვარო „მისტერ ...“ წერდა ჯონ სტაბსი.

ასე რომ ამგვარი უთავბოლო გატაცება ჩაცმა–დახურვით, მისი თვითმიზნად ქცევა კრიტიკულად მოაზროვნე პუბლიცისტებს საზოგადოების ყალბი ფასეულობების ტყვეობაში ყოფნის მანიშნებლად მიაჩნდათ. ამაზევე მეტყველებს იმ დროის პუბლიცისტის, თომას დეკერის დამცინავი გამოხმაურება ინგლისელი მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ, რომელიც გადმოცემულია მის პამფლეტში „ლონდონის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“. ინგლისელის ჩაცმულობას დეკერი ადრის დამნაშავის სხეულს, რომელმაც ეშაფოტზე სიკვდილით დასჯის ისეთი ხერხები გაიარა, როგორიცაა ჩამოხრჩობა, გაჭიმვა და შაყის კვრა. აქ დეკერი გულისხმობს სამოსის ეკლექტურ და დაუსრულებელ სახეს. „წარმოიდგინეთ დანიური ხიფთანი. საყელო და კალთები ხიფთანს ფრანგულ ყაიდაზე აქვს, სახელოები იტალიიდანაა, მოკლე ჟილეტი საყასბოში, ჰოლანდიელი ყასაბის მიერ დახლის ზემოთ ჩამოკიდებულ ნაკლავს მოგვაგონებს, განიერ შარვალს კი ესპანეთის ელფერი ადევს. აი ეს არის ინგლისელი მამაკაცის ტანსაცმელი. ამგვარად, დავცინით რა სხვა ხალხებს, რომ ისინი ერთგვაროვან მოდას მისდევენ, ჩვენ ინგლისელები იმავდროულად თითოეულ მათგანს მათი სამოსის დამახასიათებელ ნაწილს შემოვაცლით და ამით ჩვენ საკუთარ სიამაყეს ვავსებთ“ – წერდა დეკერი.

არანაკლებად ექსტრავაგანტურად იყო მიჩნეული ქალის ჩაცმულობაც. „ხომალდი უფრო სწრაფად აღიკაზმება, ვიდრე ჩვენი ქალბატონები მოირთვებიან თავიანთი ჩაცმა–დახურვით“ – წერდა ჯონ სტაბსი. ელიზაბეთის ხანის ლონდონელი ქალების ჩაცმა–დახურვას ხშირად ვენეციურს ამსგავსებენ. ორივეგან მიღებული იყო მკერდის გაშიშვლება, თმების შეღებვა და ფერუმარილის წასმა. განსაკუთრებულ ლტოლვას მანდილოსნები ქერა კულულების მიმართ იჩენდნენ, რომლებსაც ხშირად ოქროსკულულებიანი ბავშვებისაგან იძენდნენ ერთი

პენსის საფასურად. ამ თავისებურ პარიკებზე ისინი ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს ატარებდნენ, ხოლო შუბლს ვერცხლის ან მოოქროვილი სალტით ირთავდნენ.

სხვადასხვა წრის ქალების ჩაცმულობას თავისი გამორჩეული ელემენტი ახლდა. დიდგვაროვანი ქალები და მდიდარი ვაჭრების ცოლები ფრანგული კაპიშონებისაკენ ილტვოდნენ; ხელოსნების ცოლები ხავერდის ქუდებს ატარებდნენ; სოფლის მედღეურების ქალიშვილებს კი თაფთის თავსაბურავები ეხურათ, რომლებიც აბრეშუმთან ხავერდით იყო შემოსალტული. მოდის უკანასკნელ სიტყვას კი წარმოადგენდა წვრილნაკეცა საყელო, რომელიც ხშირად ყელს გარს ეკვროდა ერთი ფუტის (30,5 სმ) სიგანეზე. თანამედროვეთა თქმით ეფექტი ისეთივე იყო, რომელსაც ქმნიდა, სალომესათვის ლანგრით მირთმეული იოანე ნათლისმცემლის თავი.

მოდით ესოდენ დიდი გატაცება არნახულად სასიკეთო პირობებს ქმნიდა დალაქების საქმიანობისათვის, რომელთაც შეკრეჭვა, კოსმეტიკა და სუნამოები ებარათ. ფართოდ იყო გავრცელებული იტალიური, ფრანგული და ესპანური ვარცხნილობა. იტალიური ვარცხნილობა იყო მოკლე, მრგვალი ფორმის და კულულების გამო ნახევარმთვარეს წააგავდა. ესპანური – გრძელი, ყურებამდე ჩამოშლილი კულულებითურთ; ხოლო ფრანგულ ვარცხნილობაში კულულები მხრებზე იყო დაყრილი, რომელთა შორის, როგორც თანამედროვენი ამბობდნენ საყვარელი ქალის კეთილგანწყობის მოპოვება ხდებოდა.

მაგრამ ლონდონის ქუჩებში არა მარტო ჩაცმა–დახურვის და ვარცხნილობას მოდის დემონსტრირება ხდებოდა. ხშირად იქ თავისებურ სამოქალაქო მეომრულ რიხსაც ავლენდნენ. ყველა თვრამეტი წლის ასაკს გადაცილებული იარაღით იყო აღჭურვილი. მამაკაცებს წელზე ხანჯლები ან რაპირები ერტყათ, შეგირდები დანებით იყვნენ აღჭურვილი, ქალებიც კი – სადგისებს დაატარებდნენ თან. სოფლადაც კი, გლეხები მინდორში მუშაობისას იარაღს სადმე თავისთან ახლოს ინახავდნენ. როგორც ჩანს ქუჩის შეტაკებები საკმაოდ ხშირ მოვლენებს

წარმოადგენდნენ, რაზე თუნდაც მერკუციოს რეპლიკა მიუთითებს ბენვოლიოს მისამართით: „ადამიანს შეიძლება ნაეკიდო იმის გამო, რომ მას თაფლისფერი თვალები აქვს, ანდა იმიტომ, რომ მისმა დახველებამ მზეზე მთვლემარე ძაღლი გააღვიძა," – ნათქვამია შექსპირის „რომეო და ჯულიეტა"-ში. სნორედ ამის გამო 1580 წ. მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლითაც აიკრძალა სამ ფუტზე და თორმეტ დიუმზე[14] გრძელი (ტარის ჩათვლით) რაპირები და ხანჯლები.

თუკი ელიზაბეთის დროის ტანსაცმელი ექსტრავაგანტურობის გამოხატულება იყო, იმავე დროის შენობა-ნაგებობები და საცხოვრისები არანაკლებად გამოხატავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ტონის მიმცემი ფენების სწრაფვას ფუფუნებისაკენ. ადრინდელი სახლები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო გაჭვარტლულ–გაბოლილი ინტერიერი და თივით გატენილი ლეიბები უკვე ვეღარ გამოდგებოდა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ხავერდის შარვლები ეცვათ. ხემ, თიხამ და წნულმა სახურავმა ადგილი დაუთმეს ქვას, თაბაშირს და ყავარს. ლეიბებსა და საბნებში თივა ბუმბულმა შეცვალა, ლერწმის საფენები–ხალიჩებმა, მინის ფანჯრებმა კი ბოლო მოუღეს სახლებში გაბატონებული უკუნს.

კალის, მინის და ვერცხლის ჭურჭლის გავრცელებამ, მაგიდების და სკამების დამკვიდრებამ საჭმლის მიღება უფრო დახვეწილ პროცესად აქციეს, ვიდრე ეს ძველ დროში გავრცელებული საკვების შთანთქმა იყო. დიდგვაროვანთა სახლებში მოხმარებული ვერცხლის ჭურჭლის საერთო ღირებულება ზოგჯერ ორიათას გირვანქა სტერლინგს აღწევდა, ვაჭარ-სოვდაგრების სახლებში კი – ხუთას გირვანქას, ხოლო რაც შეეხება ხელოსნებსა და გლეხებს ვერცხლის ჭურჭელი მათთვის არ იყო ისეთი რამ, რაც მათ ყურმოკვრით ჰქონდათ გაგონილი.

გაუმჯობესდა კვება და უფრო მრავალფეროვანი გახდა საკვები. კ. ენტონი მიუთითებს, რომ „ორჯერადი კვება სამჯერადმა შეცვალა, მაგრამ ღარიბობა კვლავ ქერის, და

14 1 დიუმი – 2,5 სმ.

ჭვავის პურით იკვებებოდა, ხოლო თუკი ძნელი დროება დადგებოდა პურს შვრიის, ცერცვის და რკოსაგანაც კი აცხობდნენ. რასაკვირველია დიდგვაროვანთა და შეძლებულთა საკვები სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ამაზე ჯონ სტაბსი შემდეგნაირად წერდა: „ჩვენ დროში არ ითვლება, რომ სუფრა რამედ ღირს, თუკი მაგიდაზე განთავსებულ კერძებს შორის ცარიელი სივრცეა." დიდგვაროვნები საქონლის, ღორის, ცხვრის და ირმის ხორცს მიირთმევდნენ. რასაც თან ერთვოდა შორეული ქვეყნებიდან, ყველგან შემღწევი პორტუგალიელი ზღვაოსნების მიერ ჩამოტანილი დელიკატესები. დიდი მოთხოვნა იყო ოსტ–ინდოეთიდან ჩამოტანილ სანელებლებზე. დიდგვაროვნები და მდიდარი ვაჭრები სადილზე ხუთ-ექვს კერძს შეექცეოდნენ, საგანგებო შემთხვევებში კი სუფრა კვლავ უცხოეთიდან ჩამოტანილი დელიკატესებით იყო სავსე. ხელოსნებისა და სოფლის მოსახლეობის საკვების ასორტიმენტი უფრო სადა იყო. აქ ძირითადად საქონლის ხორცი იყო წარმოდგენილი, ხოლო თუკი საგანგებო შემთხვევაში ისინი ღორის ბარკალს გაჰკრავდნენ კბილს და ზედ მაგარ ლუდს ან ღვინოს დააყოლებდნენ, თავი ლონდონის ლორდ–მერის სუფრაზე ეგონათ.

როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნა სანელებლებზე. მათზე დახარჯული თანხები თავად კერძების ღირებულებას აჭარბებდა. მაგრამ ათვისებული საკვების რაოდენობა ვერანაირად ვერ შეედრებოდა მიღებული ალკოჰოლის მოცულობას. ალკოჰოლის უზომოდ დიდი რაოდენობით მიღება იმ დროის ყველაზე დიდი მანკიერება იყო. ითვლებოდა, რომ ლოთობისაკენ მიდრეკილებას ავრცელებდნენ ნიდერლანდებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც თავის მხრივ ამ მიდრეკილებას იქ სამხედრო სამსახურში მყოფი გერმანელებისაგან იძენდენ. დიდგვაროვანთა განკარგულებაში იყო მრავალფეროვანი ფრანგული, ესპანური თუ იტალიური ღვინო. რაც შეეხება მოსახლეობის ფართო ფენებს, ისინი ლუდით გადიოდნენ ფონს. სწორედ ლუდი ინთქმებოდა ყველაზე დიდი რაოდენობით. სასმელის მოყვარ-

ულებს პუბლიცისტი უილიამ ჰარისონი ადრიდა გოჭებს, რომ-ლებიც ვერ სცილდებიან დედა ღორს, გამალებით სწოვენ მას მანამდე, სანამ მოძრაობის უნარი არ ეკარგებათ. საერთოდ, წარჩინებულთა წრე ებრძოდა ლოთობას. დიდგვაროვანთა ნადიმების დროს სასმელი მეზობელ მაგიდებზე იყო განთავსე-ბული. შესაბამისად, დალევის მსურველები მეორე მაგიდას მიუბრუნდებოდნენ ხოლმე.

ელიზაბეთის ხანის ერთ-ერთ სიახლედ და ფუფუნებად ითვ-ლებოდა თამბაქოს მოწევა. თამბაქოს შემოტანა ევროპაში და მისი მოწევის დამკვიდრება უკავშირდება ორ ადამიანს. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს იყო ცნობილი ზღვაოსანი ჯონ ჰოუკინსი, მეორენი პირველობას ასევე ცნობილ ზღვაოსანს, პოეტს, ის-ტორიკოსსა და კარისკაცს სერ უოლტერ რალის ანიჭებენ.

პუბლიცისტი უილიამ ჰარისონი მიიჩნევს, რომ ჩიბუხის მოწევა დაახლოებით 1574 წ. გავრცელდა ქვეყანაში. XV ს 90-იანი წლებისათვის ამ ჩვეულებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. გერმანელი მოგზაური პაულ ჰენტზნერი, რომელიც ინგლისს ეწვია 1598 წ. წერდა, რომ ინგლისში მიღებულია ნიკოტინის ბალახების გაბოლება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებ-ში. იმ დროისათვის ეს საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იყო. თამბაქოს ერთი უნცია (28–31 გრ.) ღირდა 3 პენსი. ეს მაშინ, როდესაც მენარმეები, როგორიც იყო მაგალითად საკ-მაოდ ცნობილი მანუფაქტურისტი ჯონ უინჩკომბი, დღეში მუშებს უხდიდნენ ხუთ-ექვს პენსს. გავრცელებული იყო ე.წ. ჯგუფური, საერთო საზიარო ჩიბუხები, რომლებსაც ეწოდნენ სამიკიტნოებში, ფუნდუკებში და ა.შ. ელიზაბეთის მეფობის ხანაში თამბაქოს მოწევა საზოგადოების ყველა ფენაში იყო მიღებული.

საზოგადოებრივი თავშეყრის და გართობის მთავარი ადგ-ილები ელიზაბეთის ხანის ლონდონში იყო წმინდა პავლეს ტაძარი, თეატრი და პარკი, სადაც დათვების დევნა იმართებო-და. თითოეული მათგანი წარმოადგენდა ელიზაბეთის დროის ინგლისური საზოგადოების საერო ხასიათსა და ცნობიერებას, მაგრამ მაინც ეს ხასიათი ყველაზე მეტად გამოხატული იყო

იმ დროის თეატრში. რა იზიდავდა იმ დროის ინგლისელებს თეატრში? ამის ახსნა არ შეიძლება მხოლოდ იმ დროის დრამატურგების შექსპირის, ჯონსონის და ფლეტჩერის ნაწარმოებთა პოეტური ღირსებებით, თუნდაც ისეთებით, როგორიცაა შექსპირის „ჰამლეტი", „რომეო და ჯულიეტა," „ზაფხულის ღამის სიზმარი" და ა. შ. იმ დროის სცენა და მასზე გამოხატული მოვლენები გარკვეულწილად მიუღებელი იქნებოდა დღევანდელი მაყურებლისათვის, ისევე როგორც ადამიანური ბუნების პირველქმნილი სახით წარმოჩენა არ მოვიდოდა შესაბამისობაში ხელოვნების დღევანდელ პრინციპებთან.

მაგრამ სწორედ ამ ბუნებრიობის მეშვეობით ხდებოდა თეატრში ხელოსნების, შეგირდების, მუშა ხალხის მიზიდვა, რომლებიც პარტერს ავსებდნენ და მაყურებლის უმრავლესობას შეადგენდნენ. თეატრის პოპულარობას სწორედ ის უწყობდა ხელს, რომ იგი უშუალოდ მიმართავდა გრძნობებს, ხშირად გაშიშვლებულს. სწორედ ამიტომ ადამიანები ერთნაირად აღგზნებულად რეაგირებდნენ როგორც პარკში დათვის მწევრებთან შეტაკებაზე, ასევე სცენაზე დატრიალებულ ვნებათაღელვაზე. სწორედ ეს თეატრი, რომელსაც გმობდნენ პურიტანები, როგორც ეშმაკეულს, უფრთხოდნენ, როგორც შფოთის გამავრცელებელს, წარმოადგენდა ელიზაბეთის ხანის ლონდონის სიამაყეს, ეპოქის თავისებურ მიკროკოსმოსს.

წმინდა პავლეს ტაძარი წარმოადგენდა იმ იდეური და ზნეობრივი დებულებების თავმოყრის ცენტრს, რომლებიც სათავეს იღებდნენ ჰენრი III დროიდან. ღვთისმსახურები ძალ–ღონეს არ იშურებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ რა ყველა უღვთოსა თუ ტაძრის წამბილწავს. მაგრამ ამაოდ! ელიზაბეთის ხანაში ტაძარი თანამედროვეთა თქმით დაემსგავსა „ყბედობის, კინკლაობის, სანადირო მიმინოებისა და მწევრების შეთვალიერების ადგილს. მისი გუმბათი ყოველდღიურ პანდემონიუმს"[15] დაჰყურებდა. ვინღა არ იყრიდა აქ თავს! ფიცხელი არშიყები მიიჩქაროდნენ, რომ მათი ლოლიავის მოლოდინში მყოფ კეკლუცებს შეხვე-

15 ასე უწოდა სატანის სატახტო ქალაქს XVIIს. ინგლისელმა პოეტმა ჯონ მილტონმა.

დროდნენ; მიმინოებით ნადირობის მოყვარულები ბაზიერებს ურიგდებოდნენ. ხშირად ერთ კუთხეში შეიძლებოდა იურისტის და ყალბი საბუთების შემდგენელის ნახვა, მეორეში კი – ვაჭრის, რომელიც იქვე ყიდდა თავის საქონელს, დახლად კი ემბაზს ან საფლავის ქვებს იყენებდა. ნინ და უკან ათასი ჯურის გარეწრები დაძრწოდნენ და იქ მყოფთ თავის საეჭვო სამსახურს სთავაზობდნენ. ზოგჯერ ტაძარში სასაპალნე პირუტყვსაც კი გაატარებდნენ ერთი შესასვლელიდან მეორეში, რათა ამით შემოვლითი გზა შეემოკლებინათ, რაც რასაკვირველია სრული და გადატანითი მნიშვნელობით ბილწავდა წმიდა ადგილს. ტაძარს მიღმა, ეზოში ლონდონის წიგნების ბაზარი იყო განლაგებული, სადაც იყიდებოდა თავშესაქცევი ლიტერატურა. ვარაუდობენ, რომ სწორედ იქ ყიდულობდა უილიამ შექსპირი იტალიურ რომანებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მის სხვადასხვა დრამატურგიულ ნაწარმოებს.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ელიზაბეთის ხანის ინგლისისათვის უცხო იყო ღვთისმოსავობა და ღვთისმოშიშობა. იყვნენ ღრმად მორწმუნე ადამიანებიც, მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი წმინდა ფორმალურად მისდევდა რელიგიურ დებულებებს. ამიტომაც, მქადაგებლების რისხვას ტაძრის წამბილწველთა მიმართ აინუნშიაც კი არ აგდებდნენ. საზოგადოება თავისი ხასიათით და ცნობიერებით ერთობ საერო იყო. მართალია ანდრე მორუა, რომელიც წერს, რომ იმ დროის ინგლისში აბელი რომ ეპისკოპოსი ყოფილიყო, ყველა კაენს დაუჭერდა მხარს. ასკეტი პურიტანების დრო ჯერ კიდევ შორს იყო. მათი ცალკეული მხილებები იყო ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. უფრო მეტიც. მათ მონოდებებს განწმენდისაკენ მასხარადაც კი იგდებდნენ. „მაგათ რომ მოუსმინო, იფიქრებ, რომ მთელი ცხოვრება პურსა და წყალზე არიან და საჭურისებად დაიბადნენ“ – წერდა პურიტანებზე იმ დროის პამფლეტისტი თომას ნეში. პურიტანების გაუთავებელი მონოდებები სათნოებისაკენ ადამიანებს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მათი გაბატონება ბოლოს მოუღებდა უბრალო, ყოველდღიურ სიამოვნებებს.

„როგორ ფიქრობ, რახან ისინი სათნოები არიან მათ ხელში ქადები და ლუდი აღარ იქნება?" – ეკითხება ტობი ბელჩი მალვოლიოს შექსპირის „მეთორმეტე ღამე"-ში. ინგლისურმა რეფორმაციამ, რომელიც ეკლესიის საქმეებში ხელისუფლების ჩარევის მეშვეობით ხორციელდებოდა, გამოიწვია თავად ეკლესიის დეგრადაცია და აქედან გამომდინარე რელიგიის დისკრედიტაცია. ყველაფერ ამას ემატებოდა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა და გამდიდრების დაუოკებელი სურვილი, რაც ამკვიდრებდა ეგოიზმს, სხვისი ბედ-იღბალის მიმართ გულგრილობას და ცნობიერების ინტერესების საკუთარი კეთილდღეობისადმი სწრაფვით შეზღუდვას.

ყველაფერ ამას ემატებოდა ექსცენტრიულობა, რომელსაც ინგლისელები იტალიაში მოგზაურობისას იძენდნენ. ეს ქვეყანა, აღორძინების თანადროულ მოაზროვნეთა თვალსაზრისით ეპოქის სულისკვეთებას გარკვეულწილად ახირებისაკენ მიდრეკილებას სძენდა. „გაიტალიელებული ინგლისელი სხვა არაფერია, თუ არა ხორცშესხმული ეშმაკი" – აი ასე ახასიათებდა ინგლისელებს იმ დროის იტალიური გამონათქვამი. „მაგრამ ეს გაიტალიელებული ინგლისელები შინ მარტონი არ ბრუნდებიან, წერდა იმ დროის პამფლეტისტი რობერტ გრინი, არამედ უამრავი მანკიერი თვისების თანხლებით, რომლებმაც დაავადეს ეს დიდებული კუნძული" (იგულისხმება ინგლისი – ივ.მ.).

იმ დროის ინგლისელი მორალისტების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა იტალიიდან შემოსული და მათი აზრით ერთობ საეჭვო შინაარსის ლიტერატურა. „ეს ლიტერატურა, რომელიც იტალიიდან შემოდის და ინგლისურ ენაზე ითარგმნება, ძალზე ზიანის მომტანია, წერდა იმ დროის ცნობილი პედაგოგი და განმანათლებელი, თავის დროზე თავად ელიზაბეთის მასწავლებელი როჯერ აშემი. იგი მანკიერებას ნერგავს, მაგრამ ამას დახვეწილად და მზაკვრულად აკეთებს. იგი ახალგაზრდობას პატივმოყვარეობისაკენ უბიძგებს, ხოლო ჩამოყალიბებულ გარეწრებს ახალ გამოცდილებას სძენს". ამიტომ ისინი, ვინც აღზევებას და გაბატონებული მდგომარე-

ობის დაკავებას ექსცენტრიულობის მეშვეობით ცდილობდა და ისწრაფოდა საზოგადოების იმ ფენებში შეეღწია, სადაც აღვირახსნილობა და არსებული ნორმების უგულვებელყოფა ბატონობდა ხელმძღვანელობდნენ იმ დროის მწერლის, ჯონ მარეტონის ნაწარმოების „ბოროტების ჭირი"-ს გამონათქვამით. „ეს ყველაფერი მისაღებია შენთვის ჯეკ? მაშინ მუშტზე მემთხვიე, ჩადექი ჩვენი მაგარი ბიჭების რიგებში და მიიღე ისინი შენ ძმებად".

რასაკვირველია, ეს არ იქნებოდა საყოველთაო სულისკვეთება. მაგრამ მისი მატარებელი საზოგადოების გარკვეული ნაწილი იყო, თუნდაც ისეთი, რომელიც ტონს აძლევდა მთელ საზოგადოებრივ ცნობიერებას. შესაბამისად, ინერგებოდა ქედმაღლობა, საკუთარი ძალების რწმენა. ერთი სიტყვით თვისებები, რომლებითაც გარე და განსაკუთრებით კათოლიკურ სამყაროსთან დაპირისპირებული ინგლისელები უფრო მეტი რიხით და შეუდრეკელობით იყვნენ განწყობილები. სწორედ ამგვარი განწყობილება იქცა იმ დასაყრდენად, რომელმაც სხვა მომენტებთან ერთად განაპირობა ინგლისელთა გამარჯვება მის ისტორიაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხესთან ბრძოლაში.

მას შემდეგ რაც 1066 წ. გიიომ ნორმანდიელმა ინგლისი დაიპყრო და გამეფდა იქ უილიამ დამპყრობლის სახელით ეს ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა მტრის უშუალო შემოჭრის საფრთხის წინაშე მდგომი. ინგლისის მეფეები რიჩარდ I ლომგული, ედუარდ III, ჰენრი V ომობდნენ ევროპის კონტინენტზე და მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ თავად ინგლისს უშუალოდ არავინ დამუქრებია. ასწლიან ომში დამარცხებულიც კი, ინგლისი „ხელუხლებელი" დარჩა და გამარჯვებულმა ფრანგებმა მის მიწაზე ფეხი ვერ დააბიჯეს. ჰენრი VIII სამხედრო კამპანია ევროპაში საფრანგეთის წინააღმდეგ იყო ინგლისელი მეფეების უკანასკნელი მცდელობა აღედგინათ ძველი პოზიციები კონტინენტზე, რომელსაც ინგლისი ინარჩუნებდა ედუარდ III და ჰენრი V დროს.

ჰენრი VIII მოყოლებული ინგლისის საგარეო პოლიტიკა

ეფუძნებოდა ძალთა ბალანსის პრინციპს, რათა შეენარჩუნებინა ძალთა თანაფარდობა თავის მეტოქეთა შორის და არ დაუშვა მათ შორის რომელიმეს გაძლიერება. ელიზაბეთ I მეფობის დროს მისი საგარეო პოლიტიკის მთავარ საზრუნავს საფრანგეთთან და ესპანეთთან ურთიერთობა წარმოადგენდა. ელიზაბეთი ორივე ქვეყნის თავისებურ შებორკვას ცდილობდა პროტესტანტების დახმარებით. კერძოდ, იგი დახმარებას უწევდა ფრანგ ჰუგენოტებს (პროტესტანტებს) და ნიდერლანდების პროტესტანტების ბრძოლას ესპანეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ელიზაბეთის ხელთ ესპანეთთან ბრძოლის სხვა ხერხიც აღმოჩნდა. ეს იყო მეკობრეობა. სწორედ მეკობრეობა ამძაფრებდა ინგლის-ესპანეთის ურთიერთობას და უფრო და უფრო მტრულ ხასიათს სძენდა მას. ინგლისში პროტესტანტობის საბოლოოდ დამკვიდრებამ ინგლისელთა ცნობიერება საკუთარი ერის განსაკუთრებულობის შეგრძნებით აღავსო და მკვეთრად დაუპირისპირა ისინი დანარჩენ ხალხებს, განსაკუთრებით კათოლიკური აღმსარებლობისას. ესპანელთა ბატონობა კი ამერიკის კონტინენტზე და იქაურ ოქრო–ვერცხლზე, ინგლისელების გულებს შურით და მეტოქეობის წყურვილით აღავსებდა.

ელიზაბეთმა შესანიშნავად გამოიყენა ეს ფაქტორი და ყოველნაირად შეუწყო ხელი ინგლისის ფლოტის გაძლიერებას. მის მიერ საზღვაო მინისტრად დანიშნული ძველი მეკობრე სერ უილიამ ჰოუკინსი ნოვატორი აღმოჩნდა გემთმშენებლობის საქმეში. ინგლისელთა ახალი ტიპის გემები, უფრო მოძრავი, სწრაფმავალი და მრავალრიცხოვანი ქვემეხით აღჭურვილი გაცილებით სჯობდნენ ესპანელთა ტლანქ და ნაკლებად მოძრავ გალეონებს, რომლებიც მცურავ ციხე-სიმაგრეებს წააგავდნენ. მათი დანიშნულება გემბანსა და კაიუტებში მრავალრიცხოვანი ჯარისკაცების განთავსებაში მდგომარეობდა. ესპანელთა საზღვაო ბრძოლის მთავარი ხერხი მოწინააღმდეგის გემის აბორდაჟზე აყვანაში მდგომარეობდა. მეზღვაურები ცდილობდნენ თავისი გემი მოწინააღმდეგის გემთან მიჯრით დაეყენებინათ, რის შედეგად მტრის გემბანი საკუთარ

გემთან სპეციალური კაუჭებით ფიქსირდებოდა, ხოლო გემზე განლაგებული ჯარისკაცები გადადიოდნენ მოწინააღმდეგის გემზე და ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ. ფაქტიურად ეს იყო სახმელეთო ბრძოლის ზღვაზე გადატანა.

ესპანელებისაგან განსხვავებით ინგლისელების მთავარი იარაღი იყო ხომალდების სისწრაფე, მანევრირება, ხშირი და ზუსტი საზარბაზნე ცეცხლი. სწორედ ამის წყალობით ინგლისელი მეკობრეები იგივე სერ უილიამ ჰოუკინსი და მისი ვაჟი ჯონი, სერ ფრენსის დრეიკი, სერ მარტინ ფრობიშერი, სერ უოლტერ რალი და სხვები ესპანელთა ნამდვილ რისხვად იქცნენ. მათი თავდასხმები ესპანური ხომალდების ქარავნებზე, რომლებსაც ამერიკიდან ოქრო–ვერცხლი მოჰქონდათ არნახულად შედეგიანი იყო. ხშირი იყო ინგლისელი მეკობრეების თავდასხმები ესპანეთის ნავსადგურებზეც. ინგლისი ნაძარცვი ძვირფასეულობით აივსო. დედოფალი თვალს ხუჭავდა მეკობრეების ამგვარ ქმედებებზე. უფრო მეტიც, მას ერთობ დიდი წილი ერგებოდა ნაძარცვი სიმდიდრიდან. სწორედ ამიტომ ე.წ. სამეფო მეკობრეებს რაინდის წოდება მიენიჭათ, ხოლო სერ უოლტერ რალი და სერ ფრენსის დრეიკი ერთ დროს დედოფლის ფავორიტებიც კი გახდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისსა და ესპანეთს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ომის გამოცხადების გარეშე.

სწორედ ამ გამოუცხადებელი ომით შეწუხებულმა ფილიპე II 1585 წ. გადაწყვიტა ინგლისში შეჭრა და დაიწყო შესაბამისი სამხედრო და პოლიტიკურ–დიპლომატიური მზადება. პირველ რიგში ლაშქრობას შესაბამისი იდეოლოგიური სარჩული უნდა ჰქონოდა. ამისათვის ფილიპემ ესპანეთის ელჩი პაპის კარზე ოლივარესი აამოქმედა. 1585 წ. ივნისში ოლივარესმა მეფის დავალებით დაიწყო პაპ სიქსტუს V „დამუშავება". ფილიპე II გეგმა ოლივარესმა წარმოადგინა როგორც ალტრუისტული და უანგარო წამონყება. ინგლისის წინააღმდეგ ლაშქრობა ოლივარესის თქმით მიზნად ისახავდა სარწმუნოების (კათოლიკობის) სიკეთეებისათვის ბრძოლას. კერძოდ, ინგლისის ხელახლა მოქცევას კათოლიკობაზე, შურისძიებას წამებული კათოლი-

კეებისათვის, მერი (მარიამ) სტიუარტის უფლებების აღდგენა, ე.ი. მისი ინგლისის ტახტზე აყვანა და სხვა დანარჩენ მიზნებს, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიას წაადგებოდა და განამტკიცებდა მის პოზიციებს. ამით ფილიპე იმედოვნებდა პაპის დაყოლიებას და მისგან დიდძალი ფულის მიღებას, რომელიც ლაშქრობის ორგანიზებას უნდა მოხმარებოდა. სწორედ ამიტომ ფილიპე და თავის მხრივ, ოლივერსი პაპთან საუბარში მაქსიმალურად ნიღბავდნენ ლაშქრობის პოლიტიკურ მიზნებს.

მაგრამ პაპი „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა. იგი არა მარტო ეჭვის თვალით უყურებდა ესპანეთის სამეფო კარის დაპირებებს, არამედ ვარაუდობდა კიდეც, რომ ფილიპეს მიერ აღთქმულ საღვთო საქმეებს მიღმა მეფის პირადი გამორჩენისაკენ მიმართული ზრახვები იმალებოდა. პაპი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ფილიპე II მხოლოდ ფულის მიღებას ცდილობდა, ხოლო რაც შეეხება ლაშქრობას, ეს ელიზაბეთის დაშინების ხერხი იყო, რომლითაც ესპანეთის მეფე თავისათვის ხელსაყრელი ზავის მიღწევას ცდილობდა. პაპს რომ ფილიპეს და ოლივარესის მიმოწერა ჩაეგდო ხელთ, იგი მიხვდებოდა რომ ესპანეთის მეფის მთავარი მიზანი იყო ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე სრული კონტროლის მიღწევა ელიზაბეთის დამხობის შემთხვევაში.

ნელიწადზე მეტ ხანს ოლივარესი რომში დახვეწილ და ეშმაკურ დიპლომატიურ თამაშს ანხორციელებდა, რათა პაპზე ზეგავლენა მოახდინა და ბოლოს სასურველ შედეგს მიაღწია. 1586 წ. დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად პაპი ვალდებულებას იღებდა დაეფინანსებინა მომავალი სამხედრო ექსპედიცია მილიონი კრონით. მაგრამ პაპმა იმავდროულად სანაქებო სიფრთხილე გამოიჩინა. მისი დაჟინებული მოთხოვნით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ძალზე მნიშვნელოვანი დამატება. კერძოდ, ესპანეთის მეფეს თანხა ეძლეოდა ლაშქრობის წარმატებიდან გამომდინარე, ანუ თანხის ნახევარს, ხუთას ათას კრონს ფილიპე მიიღებდა ესპანეთის ჯარების ინგლისში გადასხდომის შემდეგ, ხოლო თანხის მეორე ნახევარს კი საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ,

ყოველვარტალურად ასი ათას კრონს.

ყველაზე ნაკლებად ფილიპეს სწორედ ამგვარი პირობები აწყობდა. მას ერჩივნა ფული წინასწარ ჰქონოდა, რათა თანხაც და ექსპედიციისათვის საჭირო დრო თავის შეხედულებებისამებრ გამოეყენებინა. მაგრამ პაპი შეუვალი იყო. იგი ფულს გასცემდა მხოლოდ ინგლისში შეჭრის შემდეგ. ამიტომაც ფილიპემ ფლანდრიელ ვაჭრებსა და მევახშეებს მიაშურა და იმავდროულად თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელება განაგრძო.

1587 წ. თებერვალში ოლივარესმა მიიღო საიდუმლო ინსტრუქცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მერი(მარიამ) სტიუარტის დამხობის შემდეგ ინგლისის ტახტის მემკვიდრედ ცხადდებოდა ესპანეთის მეფე მისი ლანკასტერების დინასტიასთან ნათესაობის საფუძველზე. იმავდროულად ფილიპე იშველიებდა თავისი გარდაცვლილი მეუღლის, დედოფალ მერის ანდერძს, სადაც ტახტის მემკვიდრედ სწორედ ფილიპე იყო დასახელებული. იმ შემთხვევაში, თუკი პაპი ყველაფერ ამაში ეჭვს შეიტანდა ოლივარესს უნდა ეთქვა მისთვის, რომ მისი უდიდებულესობა ესპანეთის მეფე არ აპირებს ბრძოლას იმისათვის, რომ უზრუნველყოს სამეფო ტახტი „ახალგაზრდა ერეტიკოსისათვის". იგულისხმებოდა შოტლანდიის მეფე, მერი სტიუარტის ვაჟი ჯეიმსი. საჭირო იყო იმის თქმაც, რომ ესპანეთი არ აპირებდა ინგლისი თავისი სამფლობელოებისათვის შემოეერთებინა. ოლივარესს უნდა ეთქვა პაპისათვის, რომ ფილიპეს ინგლისის ტახტი არა თავისთვის, არამედ თავისი ქალიშვილისათვის, ინფანტა იზაბელასათვის უნდოდა.

რაც შეეხება მერი სტიუარტს, რომელიც ფილიპესათვის მხოლოდ მისი მიზნების განხორციელების საშუალება იყო, მის შესახებ ესპანეთის მეფე ერთობ ციინიკურად აცხადებდა, რომ მისი მომავალი ჩირად არ ღირს, რადგანაც მას ფილიპეს თქმით ერეტიკოსები (ე.ი. პროტესტანტები) მაშინვე მოკლავდნენ, როგორც კი ესპანეთის ჯარები ინგლისის სანაპიროზე გადასხდებოდნენ.

ამგვარად, თავგამოდებული კათოლიკე ფილიპე II სულაც

არ იყო უარზე, რომ კათოლიკე მერი სტიუარტი გამქრალიყო პოლიტიკური ასპარეზიდან და საერთოდ, გამოსალმებოდა წუთისოფელს. ამით ფილიპეს გაუადვილდებოდა მისი ვაჟის, ჯეიმს VI, როგორც ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრის ნეიტრალიზება და თავისი საკუთარი მიზნების განხორციელება „ინგლისური მემკვიდრეობის" მიმართ. ასე, რომ სინამდვილეში ფილიპე II სულაც არ იყო მერი სტიუარტის თავგამოდებული ქომაგი და დამცველი.

როგორც ჩანს მერი სტიუარტი ვერ ხვდებოდა, რომ ფილიპე II ხელში იგი მხოლოდ და მხოლოდ იარაღი იყო ესპანეთის მეფის მიზნების განხორციელებისათვის. მას შემდეგ, რაც მერი 1567 წ. ამბოხებულმა ლორდებმა დაამხეს, მან ინგლისს შეაფარა თავი, სადაც ფაქტიურად ელიზაბეთ I ტყვედ იქცა. აქედან მოყოლებული მერი აქტიურად ჩაება სხვადასხვა შეთქმულებასა თუ ინტრიგაში, რომელსაც კათოლიკური სამყარო აწყობდა ელიზაბეთის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც უკვე გამოჩნდა ფილიპე II სულაც არ აწყობდა მერის გამეფება, როგორც მისი „ერეტიკოსი" ვაჟის სამომავლო აღზევების, ასევე საფრანგეთის გავლენის გაზრდის გამო. მერი ხომ მარი გიზის ქალიშვილი იყო. გიზებს კი, როგორც უკვე ითქვა ძალზე დიდი გავლენა ჰქონდათ საფრანგეთის სამეფო კარზე. ასე, რომ, შეიძლება ითქვას, შოტლანდიის დედოფლის მდგომარეობა კათოლიკური სამყაროს მხარდაჭერის მიუხედავად ერთობ მოწყვლადი იყო.

ინგლის-ესპანეთის ურთიერთობის გაუარესებისა და კათოლიკეთა შეთქმულებების განხორციელების პირობებში, მერი, ანტიინგლისური და ელიზაბეთის სანინააღმდეგოდ მიმართული მოქმედებების ეპიცენტრი, ძალზე დიდ საფრთხედ იქცა. 1587 წ. 9 თებერვალს მერი სიკვდილით იქნა დასჯილი. თავის აღსასრულს შოტლანდიის დედოფალი არნახული სიმტკიცით შეეგება და ეშაფოტზე გამოავლინა იშვიათი დიდბუნოვნება და მედგარი სული. მან საჯაროდ შეუნდო ყველას, მათ შორის ელიზაბეთს, ხოლო როდესაც იქ მყოფმა ინგლისელმა ღვთისმსახურმა ინგლისურად წაიკითხა ლოცვა, მერიმ ხმამაღლა, ისე

რომ გადაეფარა მისი ხმა დაიწყო იმავე ლოცვის ლათინურად კითხვა, რითაც უჩვენა არამარტო ის, რომ იგი კათოლიკობის ერთგული იყო, არამედ მისებურად მოახდინა ამ უკანასკნელის პროტესტანტობაზე უპირატესობის დემონსტრაცია. მერის სიკვდილით დასჯა ფილიპე II მხოლოდ გარეგნული საბაბი იყო ინგლისზე გალაშქრებისათვის.

მაგრამ ასეთი შორსმიმავალი გეგმების არსებობა სულაც არ ნიშნავდა, რომ მათი განხორციელების გზაზე არ იყო წინააღმდეგობები. იგივე კათოლიკური სამყარო, კერძოდ საფრანგეთი სულაც არ მიესალმებოდა ფილიპე II ზრახვებს. საფრანგეთის სამეფო კარს არ აწყობდა ესპანეთის ესოდენ გაძლიერება. განსაკუთრებით შეშფოთებული იყო სამეფო კარზე ესოდენ გავლენიანი გიზების გვარი. მერი სტიუარტის დედაც გიზების წარმომადგენელი იყო. ამიტომ გიზები ვერ შეურიგდებოდნენ თავისი ნათესავების, სტიუარტების პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობას და ინგლისში ესპანეთის გაბატონებას. ასე, რომ ფილიპე II წინ დიდი სირთულეები ელოდა. როგორც ჩანს მეტ–ნაკლებად ეროვნულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ევროპის პოლიტიკური რუკის გადაკეთება უკვე მაშინ ჭირდა.

ამიტომაც ესპანეთის დიპლომატიური სამსახური სრული დატვირთვით მუშაობდა. რომში ესპანეთის ელჩი ოლივარესი და პრო–ესპანურად განწყობილი კარდინალი კაფარა ყოველნაირად არწმუნებდნენ პაპს, რომ შეუძლებელი და უაზრობა იყო ჯეიმს VI კათოლიკობაზე მოქცევა, რომ საფრანგეთიდან დიდი საფრთხე გამომდინარეობდა მასსა და ინგლისს შორის არსებული ურთიერთგაგების გამო.

საქმეში ჩააბეს ინგლისელი კათოლიკეები, კერძოდ კი ესპანეთში გადახვეწილი უილიამ ალენი, რომელმაც თავისი აქტიური საქმიანობისათვის კარდინალის წოდებაც კი მიიღო. პარიზში მყოფი ესპანეთის ელჩი მენდოზა ყოველნაირად ნერგავდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჯეიმს VI, როგორც ინგლისის სამეფო ტახტის პრეტენდენტის ჩამოცილება დიდი სიკეთე იქნებოდა კათოლიკური სარწმუნოებისათვის. იმავე დროს მენდოზა ყოველნაირად აგულიანებდა გიზებს ბოლო

მოელოთ ფრანგი პროტესტანტი ჰუგენოტებისათვის და დახმარებასაც პირდებოდა ამ ტერორისტული ღონისძიების გატარებაში. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია, არამედ რთული, დახლართული, ჭეშმარიტად ევროპული მასშტაბის სამხედრო–პოლიტიკური თამაში, რომელშიც ესპანურმა დიპლომატიამ ძალ–ღონე არ დაიშურა.

მაგრამ ინგლისის ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გარკვევა გადადებულ იქნა ომის დამთავრებისათვის. აქ პაპის პოზიციამ გაიმარჯვა. მეფემ ვერც ფული მიიღო პაპისაგან წინასწარ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ესპანური დიპლომატიის წარმატება გარკვეულწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. წარუმატებლობის შემთხვევაში (ომში კი თვით ნაპოლეონის თქმით ყველაფერია მოსალოდნელი) ხარჯების მთელი სიმძიმე ფილიპე II აწვებოდა, წარმატების შემთხვევაში კი გამარჯვების მონილე პაპი ხდებოდა.

ამ დიპლომატიური მანევრების პარალელურად ფილიპე II გამალებით მუშაობდა ექსპედიციის გეგმაზე, ეცნობოდა სამხედრო შინაარსის მასალებს, რომლებიც ჯარების აღჭურვა–მომარაგებას და განთავსებას ეხებოდა, სწავლობდა ინგლისის სანაპიროს რუკებს, სავარაუდო გადასხდომის ადგილებს, საპორტო ქალაქების გეგმებს და ა.შ. მისი უახლოესი მრჩეველი ამ საქმეში იყო ცნობილი ზღვაოსანი, ადმირალი სანტა კრუზი, რომელმაც მეფეს მომავალი ექსპედიციის ვრცელი გეგმა წარუდგინა. გეგმა ითვალისწინებდა საზღვაო და სახმელეთო ჯარების შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ კოორდინაციას და უზრუნველყოფდა მთელი სამხედრო ოპერაციის ერთიან სარდლობას. მაგრამ იგი იმავდროულად ძალზე ძვირადღირებული იყო, მისი განხორციელებისათვის საჭირო იყო 3 მლნ. 750 ათასი დუკატი, რაც აღემატებოდა ფილიპეს ფინანსურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა გეგმა გამორიცხავდა ნიდერლანდებში განლაგებული ესპანური ჯარების გამოყენებას, რომლებსაც ჰერცოგი პარმა სარდლობდა. ამიტომაც მეფემ უარი თქვა სანტა კრუზის გეგმის განხორციელებაზე.

მაშინ ფილიპე II წარუდგინეს სხვა გეგმა. მისი ავტორი იყო ესპანეთის ელჩი საფრანგეთში მენდოზა, მენდოზა გამოცდილი სამხედრო იყო და კონტინენტზე გამართულ ბევრ სამხედრო კამპანიაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. მაგრამ მენდოზას აკლდა იმგვარი კამპანიის გამოცდილება, როგორსაც ფილიპე II გეგმავდა. თუმცა კი მისი გეგმა შეიცავდა ბევრ დადებით მომენტს, განსაკუთრებით სავარაუდო სიძნელეების გათვალისწინებასთან მიმართებაში.

მენდოზა მიუთითებდა, რომ ესპანელთა მდგომარეობას ართულებდა მათი ფლოტილიის სატრანსპორტო ხასიათი, რაც აქვეითებდა მის შემტევუნარიანობას. მისივე აზრით ძნელი იქნებოდა ასეთ მრავალრიცხოვან ფლოტში დანაკარგების აღდგენა პირად შემადგენლობასა, ქვემეხებში თუ თავად გემებში. ამიტომ მენდოზა ურჩევდა მეფეს გაფრთხილებოდა გემებს, შემოენახა ისინი თავდაცვითი საჭიროებისათვის, ხოლო ბრიტანეთის კუნძულებზე გაეგზავნა მცირე საექსპედიციო კორპუსი, რომელიც შოტლანდიაში გადასხდებოდა და იქაურ კათოლიკეებს დაეხმარებოდა პროტესტანტობის დამხობაში.

შოტლანდიაში წარმატების შემთხვევაში სამხედრო მოქმედებები უნდა გაფართოებულიყო და გავრცელებულიყო ინგლისზე, იქაური კათოლიკეების დასახმარებლად. ასე თანდათანობით უნდა მომხდარიყო მთელი კუნძულის დამორჩილება. „არანაკლებ მომგებიანი იქნება თქვენი უდიდებულესობისათვის, თუკი საბოლოო ასპარეზად არა ინგლისს, არამედ შოტლანდიას აირჩევთ, ისევე როგორც ამას ის ქალი (ელიზაბეთი. ივ.მ.) აკეთებს და ფლანდრიაში გებრძვით“ – წერდა მენდოზა მეფეს. მაგრამ ფილიპე II უარყო მენდოზას გეგმა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უშუალოდ ინგლისზე მიეტანა შეტევა და ამისათვის ნიდერლანდებში განლაგებული ჯარებიც გამოეყენებინა.

სახავდა რა ამ გეგმას ფილიპეს გარკვეულწილად ინგლისელი კათოლიკეების იმედი ჰქონდა. მათი გუნება–განწყობის შესახებ მას ინფორმაციას აწვდიდნენ უილიამ ალენი და რობერტ პარსონსი. მაგრამ ორივე ცნობებს იღებდა არა უშუალოდ

ინგლისიდან, არამედ სხვა, ასე ვთქვათ ირიბი წყაროებიდან, ამიტომაც თავს ასაღებდნენ ამ საკითხში ყველაზე ჩახედულ პირებად.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ალენი, ასევე პარსონსი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ინგლისელ კათოლიკე–ემიგრანტებს შორის, ისინი მაინც არ იყვნენ საქმის კურსში თუ რა ხდებოდა იმ ხანად და რა გუნება-განწყობა სუფევდა ინგლისში კათოლიკეთა შორის. მათ პრაქტიკულად არაფერი იცოდნენ იმ პატრიოტული აღმაფრენის შესახებ, რომელიც იმ დროისათვის მთელ ინგლისში იკიდებდა ფეხს. ალენის, პარსონსის და სხვა კათოლიკეთა ცნობიერებაში კათოლიკობა, რომელსაც ისინი გულწრფელად იყვნენ მინდობილები, ჩრდილავდა სამშობლოსადმი სიყვარულს. ეს კი მათ ხელს უშლიდა საღად შეეფასებინათ სიტუაცია. მაგალითად, უკვე 1582 წ. პარსონსი სრული სერიოზულობით ამტკიცებდა, ინგლისში მყოფი ყველა კათოლიკე მიესალმება ესპანეთის ჯარების შემოჭრას. „უფრო მეტიც, ამბობდა იგი. ისინი მოუთმენლად ელიან ესპანეთის ჯარების გამოჩენას“.

აი ამგვარი განცხადებების შედეგად ესპანეთის დიპლომატიურ წრეებში ირწმუნეს, რომ ესპანელების გამოჩენას ინგლისში მოყვება იქაური კათოლიკეების მასობრივი აჯანყება. მოგვიანებით, 1586 წ. ფილიპე II უკვე წარუდგინეს ციფრობრივი მონაცემები მომავალი აჯანყების მონაწილეთა შესახებ. ანონიმური ინფორმატორი მიუთითებდა, რომ ე.წ. „კათოლიკური არმია“ შეივსებოდა 25 ათასი ადამიანით. ამ განცხადების უსაფუძვლობაზე და უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს თუნდაც ის კატეგორიული ფრაზა, რომელიც ამტკიცებდა, რომ იორკშირის საგრაფოს მთელი მოსახლეობა მზად იყო იარაღით ხელში გამოსულიყო ესპანელთა მხარეზე.

სხვათა შორის, ამ ე.წ. „საიმედო კათოლიკეების“ სიაში მოხსენიებული იყო სერ ჰენრი ბედინგფილდი, რომელიც ელიზაბეთის ვუდსტოკის ციხე-კოშკში შინაპატიმრობისას დაცვის უფროსი იყო და საკმაოდ მკაცრად ექცეოდა მომავალ დედოფალს. იქვე ინფორმაციის ავტორი სინანულს გამოთქ-

ვამდა იმის გამო, რომ ელიზაბეთი არ დაწვეს კოცონზე დანარჩენ მწვალებლებთან ერთად, რასაც იგი მისი თქმით სავსებით იმსახურებდა. „ეგ რომ მაშინვე დაეწვათ, ახლა ჩვენ მშვიდობიანად ვიცხოვრებდით“ – წერდა ანონიმური ავტორი. ხოლო რაც შეეხება ინგლისელი კათოლიკეების ჭეშმარიტ გრძნობებს მათი გაცნობა შეიძლებოდა არა ამგვარი უსაფუძვლო ჯაშუშური ცნობებიდან, არამედ თომას კემპიონის აღმაფრენით აღსავსე ბალადების მეშვეობით.

ალენის თვითდაჯერებამ განსაკუთრებული ძალით თავი იჩინა მაშინ, როდესაც მას კარდინალობა ებოძა. 1587 წ. აგვისტოში მან გამოაქვეყნა მიმართვა ინგლისის კათოლიკეებისადმი, რომელშიაც ასაბუთებდა ინგლისში ესპანელების მომავალი შეჭრის მართებულობას, აგრეთვე მოუწოდებდა ინგლისელ დიდგვაროვნებს და უბრალო ხალხს ყოველნაირად დაეჭირათ მხარი ესპანელებისათვის.

ამ მიმართვაში ალენი ლანძღავდა ელიზაბეთს, უწოდებდა მას მრუშობის ნაყოფს, რომელიც ჩაიდინეს მისმა სავარაუდო მამამ ჰენრი VIII და მეფის ურცხვმა ხასამ, ენ ბოლეინმა. ელიზაბეთმა, წერდა ალენი, ჩაახშო კათოლიკობა, ქვეყანა ათეისტების, ანაბაპტისტების და მწვალებლების თავშესაფარად აქცია, მოკლა მერი სტიუარტი. იგი მოუწოდებდა ინგლისელებს ზურგი შეექციათ უწმინდური, შეჩვენებული და დაწყევლილი ერეტიკოსისათვის, რომელმაც შეურაცხნყო ქალისა და მონარქის სახელი. „იბრძოლეთ მისი დამხობისათვის, რათა ჩვენს ძვირფას ქვეყანაში აღსდგეს კათოლიკური სარწმუნოება, როგორც ამას წმინდა ომის ბელადი მოითხოვს“ – წერდა ალენი.

როგორც ჩანს, ალენი სულაც არ ითვალისწინებდა იმას, რომ ამგვარი ქმედება პროტესტანტი ინგლისელებისათვის სულის წაწყმედა იყო. განა წავიდოდა ამგვარ ქმედებაზე ის ხალხი, რომლის წიაღიდან გამოსული ადამიანები იგივე ფილიპეს და დედოფალ მერის მეფობის ხანაში აგიზგიზებულ კოცონებს არ შეუშინდნენ?! მაგრამ ალენი ნაკლებად ფიქრობდა ამაზე. თავისი მოწოდებების დასაბუთების მიზნით იგი საფრანგეთის მაგალითს იშველიებდა და როგორც ჩანს აქაც საქმეში ნა-

კლებად იყო ჩახედული. იგი საყვედურობდა ერთ მხრივ კათოლიკური ლიგის წევრებს და მეორე მხრივ პროტესტანტ-ჰუგენოტებს უფლისწულ კონდესა და ადმირალ კოლინის მეთაურობით, რომელთა დაპირისპირება ორად ხლეჩდა ქვეყანას და იმ უცხოელთა ლუკმად აქცევდა მას, რომლებსაც მეომარი მხარეები დახმარებისათვის მიმართავდნენ. ასე რომ ამგვარი არაკომპეტენტური პირების მიერ მოწოდებულ ცნობებზე აგებდა ფილიპე II თავის გეგმებს მომავალ ექსპედიციასთან დაკავშირებით.

პირველი ცნობები ესპანეთში წარმოებული სამხედრო-საზღვაო მზადების შესახებ ინგლისში მიიღეს 1585 წ. დეკემბერში. მაგრამ ეს ცნობები იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ საიდუმლო საბჭოს არ მიუღია რაიმე ზომები მოსალოდნელი საფრთხის უვნებელყოფისათვის. შემდგომი ექვსი თვის მანძილზე, 1586 წ. ივლისში გამოიცა ბრძანებულება, რომლის თანახმად ყოველ საგრაფოში ლორდ-ლეიტენანტებს უნდა შეეკრიბათ ქვეითი ლაშქარი. მოლაშქრეებისათვის უნდა ესწავლებინათ არკებუზის[16*] ხმარება. ქალაქებში შემოდიოდა ღამის საგუშაგოები და საყარაულო სამსახური. მუშა მდგომარეობაში უნდა მოეყვანათ შუქურები და დაეპატიმრებინათ ყველა, ვინც დასთესდა შფოთს და გაავრცელებდა პანიკას. იმავე წლის აგვისტოში გავრცელდა ხმები სასექსში ფრანგული დესანტის გადმოსხმის შესახებ, რასაც მოყვა საგანგებო მობილიზაციის გამოცხადება. მოგვიანებით გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ესპანეთის ფლოტი უკვე მიემართებოდა ინგლისისაკენ. მაგრამ ნოემბრისათვის დაძაბულობა ჩაცხრა და ახალ, 1587 წ. ქვეყანა მშვიდობიანი განწყობით შეეგება.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ საფრთხე თავიდან იყო აცილებული. ფილიპე II უბრძანა პარმის ჰერცოგს ფლანდრიის სანაპიროზე დაეწყო შესაბამისი სამხედრო სამზადისი და ჯარები საბრძოლო მზადყოფნაში მოეყვანა. ერთი წლის მანძილზე ათასობით მუშა ფლანდრიის სანაპიროზე აფართოებდა არხებს, ამზადებდა გემთსაშენებს ბრტყელძირიანი ხომალდე-

16 თოფის წინამორბედი, XVIს. ცეცხლსასროლი იარაღი.

ბისათვის და ასრულებდა ინგლისში შეჭრისათვის სხვა საჭირო სამუშაოს. იმავდროულად ესპანეთში კადიკსის ნავსადგურში მიმდინარეობდა ფლოტილიის მომზადება. ფილიპე II ყოველ-ნაირად ცდილობდა მიეღო მაქსიმალური ინფორმაცია ინ-გლისიდან სამხედრო-საზღვაო მზადების შესახებ. მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი ინგლისის დაზვერვისა და კონტრდაზ-ვერვის მაღალმა დონემ. ამ სამსახურების უფროსის, სერ ფრენსის უოლსინგამის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით ინგლისის სამხედრო-საზღვაო მზადება აბსოლუტურად გასაი-დუმლოებული და ხელმიუწვდომელი იყო უცხოელთათვის და პირველ რიგში ესპანელთათვის. იმავე დროს ინგლისელი ჯაშ-უშები აბსოლუტურად იყვნენ საქმის კურსში ესპანელთა მიმ-დინარე მზადების შესახებ სამხედრო-საზღვაო საქმეში.

სწორედ ასეთი გამართული სადაზვერვო სამსახურის წყალობით უოლსინგამმა მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1587 წ. გაზაფხულზე ესპანეთის ფლოტილია თავმოყრილი იქნებოდა კადიკსის ნავსადგურში. ინგლისელებმა არ დააყო-ვნეს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. იმავე წლის 12 აპრილს, როდესაც ესპანეთის ფლოტილიამ უკვე თავი მოიყარა კადიკს-ში, პლიმუტიდან გავიდა ინგლისური ესკადრა სერ ფრენსის დრეიკის მეთაურობით. დრეიკს შემდეგნაირი ბრძანება ჰქონდა მიღებული: ნებისმიერი საშუალებით დაექსაქსა, დაესუსტებინა და დეზორგანიზაცია შეეტანა ესპანური ფლოტილიის რიგებში, მისი იზოლირება მოეხდინა მომარაგების ბაზებისაგან, გენერ-ალურ ბრძოლაში ჩაბმულიყო მასთან თუკი ესპანელები ინ-გლისზე აიღებდნენ კურსს. დრეიკს ასევე ებრძანა თავს დასხ-მოდა ამერიკიდან ევროპაში მიმავალ ესპანურ ხომალდებს.

დრეიკის ექსპედიციის შესახებ ესპანეთის ელჩმა ინგლისში მენდოზამ გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისურმა ესკადრამ პლიმუტი დატოვა. ამიტომ მისი შეტყობინება მადრიდში მა-შინ ჩავიდა, როდესაც დრეიკის ესკადრა კადიკსს მიადგა, და შესაძლებელია, უფრო გვიანაც კი. შესაბამისად, ესპანელები მოუმზადებელნი შეხვდნენ ინგლისელთა თავდასხმას და დიდი ზარალი ნახეს. ინგლისელებმა გაანადგურეს გემები, ტვირთი,

სხვადასხვა სახის მარაგი, რაც ჯამში რამოდენიმე ათას ტონას შეადგენდა. ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს ადამირალ სანტა კრუზის პირადი გალეონი და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ექვსი გემი.

მატერიალურ ზარალზე არანაკლები იყო ის პანიკა და ქაოსი, რომელშიც აღმოჩნდა ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ადმინისტრაცია, მოყოლებული 1587 წ. აპრილიდან სექტემბრამდე, როცა დრეიკი ესპანეთის საზღვაო სივრცეში იმყოფებოდა, ვერც ერთი ესპანური გემი ვერ ტოვებდა ნავსადგურს იმის შიშით, რომ ინგლისელთა თავდასხმის მსხვერპლი გახდებოდა.

დრეიკი სრულიად აკონტროლებდა სიტუაციას. ბოლოს, როცა სანტა კრუზმა არ მიიღო დრეიკის გამოწვევა და არ შეებრძოლა მას ლისაბონის ყურის მიდამოებში, ინგლისელმა ადმირალმა კურსი აზორის კუნძულებისაკენ აიღო. თექვსმეტი დღის შემდეგ, სენტ–ვინსენტის კონცხთან დრეიკმა ხელთ ჩაიგდო პორტუგალიური გალეონი „სან ფილიპე", რომელსაც მილიონი გირვანქა სტერლინგის (XX ს. შუახანების კურსით) საფასურის ტვირთი მოჰქონდა ამერიკიდან ევროპაში. ივლისის მიწურულს დრეიკის ესკადრა პლიმუტში დაბრუნდა. დრეიკს სრული პასუხისმგებლობით შეეძლო ეთქვა, რომ ამ რეიდმა აიძულა ფილიპე II ერთი წლით გადაედო გალაშქრება.

როგორც კი ესპანელები გონს მოვიდნენ დრეიკის გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ მუშაობა ექსპედიციის მომზადებისათვის განახლდა დაჩქარებული ტემპებით. ფილიპე II ინგლისელთა ხელმეორე შეტევის ეშინოდა, ამიტომ მან გადაწყვიტა ექსპედიცია რაც შეიძლება ადრე დაეწყო. შესაბამისად ფლოტილია ზღვაში უნდა გასულიყო 1588 წ. იანვარში. ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო. წელიწადის იმ დროს ზღვაში გასვლა არ შეიძლებოდა უკიდურესი უამინდობის გამო და ადმირალ სანტა კრუზს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა მეფე დაეყოლიებინა უარი ეთქვა ამ გეგმაზე. მან შესძლო დაერწმუნებინა მეფე, რომ ზღვაში გასვლა არ შეიძლებოდა მარტამდე.

1587 წ. 4 სექტემბერს ფილიპე II მისწერა პარმის ჰერცოგს თუ როგორი სახით უნდა განხორციელებულიყო სამხედრო

ექსპედიცია ინგლისის წინააღმდეგ. მაგრამ როგორც ჩანს, ინ-ფორმაცია იმდენად ცუდად იყო გასაიდუმლოებული, რომ ნლის ბოლომდე ლამის მთელმა ევროპამ გაიგო, თუ რას აპირებდა ფილიპე II. „საქმე იმდენად გახმაურდა, წერდა პარმის ჰერ-ცოგი ფილიპე II, რომ მე ვამცნობ თქვენს უდიდებულესობას, რომ ლამის თითოეული ჯარისკაცია ჩახედული მომავალი ექს-პედიციის ყველა წვრილმანში."

მაგრამ ჰერცოგს არა მარტო ინფორმაციის გაჟონვა აწუხებდა. ის შეშფოთებული იყო თავისი ჯარის საბრძოლო სულისკვეთების დაქვეითებით, პირადი შემადგენლობის შემ-ცირებით, ერთი სიტყვით, ყველაფრით, რაც გამოწვეული იყო ჯარის ნიდერლანდებში ხანგრძლივი დგომით, ავადმყოფობით, დეზერტირობით და ა.შ. ფაქტები მართლაც მრავლისმთქმელი იყო. 1587 წ. ნოემბრიდან 1588 წ. თებერვლამდე მისი ჯარის რიცხვი 30 ათასიდან 17 ათასამდე შემცირდა. იგი მეფეს ურ-ჩევდა მოლაპარაკება დაეწყო ინგლისელებთან.

ჰერცოგის შეშფოთებას ისიც იწვევდა, რომ მის განკარ-გულებაში მხოლოდ სატრანსპორტო გემები იყო, რომლებიც ვერ დაუპირისპირდებოდნენ ინგლისელთა საბრძოლო ხომა-ლდებს. ამ მხრივ იგი სრულად იყო დამოკიდებული ესპან-ეთიდან გამოსულ ფლოტილიაზე. ამიტომაც მან გადაწყვიტა მიეძინებინა ინგლისელთა ყურადღება და შესთავაზა მათ მო-ლაპარაკების დაწყება, რომელიც ძირითადად პროტესტან-ტების მდგომარეობას ეხებოდა ესპანეთის ნიდერლანდებში. ინგლისმა მიიღო ეს შემოთავაზება, რადგან ელიზაბეთ I და მისი მთავრობის ზოგიერთი წევრი, მაგ. ბარლი ისწრაფოდნენ ომი თავიდან აეცილებინათ და დაპირისპირება მშვიდობიანი ხერხებით განემუხტათ.

ამ მოლაპარაკების ფონზე 1588 წ. 30 მაისს ლისაბონიდან ინგლისისაკენ დაიძრა მრავალრიცხოვანი ფლოტილია, რომელ-საც თავისი მასშტაბებისა და დასახული მიზნების (ინგლისის დაპყრობა) გამო უძლეველი არმადა ეწოდა. იგი შდგებოდა 130 ხომალდისაგან, რომლებზედაც განლაგებული იყო 16 973 ესპანელი და 2 ათასი პორტუგალიელი ჯარისკაცი, 8 052

მეზღვაური, 167 მეზარბაზნე, 2 431 ქვემეხი, 123 790 ჭურვი.

ასეთი ამბიციური დასახელების მიუხედავად ფლოტილია არ იყო მოკლებული ნაკლოვანებებს და მათგან უმთავრესი შემდეგი იყო. არმადას სათავეში ედგა საზღვაო საქმეში და საზღვაო ბრძოლაში აბსოლუტურად გამოუცდელი და შეიძლება ითქვას გამოუსადეგარი ჰერცოგი მედინა-სიდონია. მას ჰქონდა სახმელეთო ბრძოლების გამოცდილება, მაგრამ არასოდეს ჰქონია კავშირი ზღვასთან. ჰერცოგმა ფლოტის სარდლის თანამდებობაზე შეცვალა ადმირალი სანტა კრუზი, რომელიც 1588 წ. თებერვალში გარდაიცვალა. ყველაზე ნაკლებად ამ დანიშვნას თავად მედინა-სიდონია მიესალმა. „მე არც უნარი, არც შესაძლებლობები, არც ჯანმრთელობა (ჰერცოგი ალბათ რყევის გაძლებას გულისხმობდა–ივ.მ.) და არც ყისმათი გამაჩნია, რომ ამ ექსპედიციას ჩავუდგე სათავეში“ – თქვა მან, როდესაც თავისი დანიშვნის ამბავი შეიტყო.

მაგრამ მეფის გადაწყვეტილებას ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა წინ. 1588 წ. 8 თებერვალს მედინა-სიდონიამ ფლოტილიის სარდლობა ჩაიბარა. ძნელია თქმა, რით იყო განპირობებული მეფის არჩევანი. საისტორიო ლიტერატურა არაფერს გვეუბნება ამის შესახებ. ასეა თუ ისე, არჩევანი გაკეთდა და შეიძლება ითქვას ამით ექსპედიციაში თავიდანვე გარკვეულწილად მცდარი მომენტი იყო ჩადებული. ფილიპე II ზღვაში გასვლის თარიღად 19 თებერვალი დაადგინა. მაგრამ ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ გეგმებმა იალქნები მხოლოდ 30 მაისს აუშვეს და თან მთელი ესპანეთის ლოცვა–კურთხევა და იმედი გაიყოლეს. არჩევანი გაკეთდა.

ეს საზღვაო ლაშქრობა, მომავალი ბრძოლები, და საერთოდ ესპანეთსა და ინგლისს შორის დაპირისპირება არ იყო მხოლოდ ხომალდების, მათი მეთაურების, მათ გემბანზე განთავსებული ქვემეხების და ორი ქვეყნის მეზღვაურების ჭიდილი. მნიშვნელოვანწილად ეს იყო განსხვავებული ცნობიერების მატარებელი ორი სამყაროს დაპირისპირება. კათოლიკური ესპანეთი და პროტესტანტული ინგლისი ერთმანეთს თავის ფასეულობებს აჭიდებდნენ. ყველაფერ ამაზე ერთობ საინტერესო

ტფაქტები და მათი დაპირისპირება მეტყველებს.

რაინდული ესპანეთი, რომლის საბრძოლო სულისკვეთება მაჰმადიან მავრებთან ბრძოლაში გამოიწრთო, სარწმუნოებისადმი მინდობასა და რელიგიურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ესპანელთა ანთებული სული პირველ რიგში გამოხატავდა მათ სრულ დამოკიდებულებას რწმენისადმი და მერე მათი ცნობიერების შესაძლებლობას, საკუთარ თავში დარწმუნებულს ემოქმედა. ამის მაგალითი პირველ რიგში თავად მეფე იყო. არმადის ზღვაში გასვლისას ფილიპე II გამუდმებით ღელავდა და ცუდი წინათგრძნობების ტყვეობაში იყო. არ იყო წარმატების მოლოდინი, რომელიც დაფუძნებული იყო დაწვრილებულად გაანალიზებული სამხედრო გეგმის გაცნობიერებაზე. უფრო მეტიც, საზოგადოებრივმა აზრმა მიაშურა მარჩიელებს, მკითხავებსა და წინასწარმეტყველებს. ისინი კი, თითქოს ჯიბრზე მიიჩნევდნენ 1588 წ. როგორც ესპანეთისათვის დიდი უბედურების მომტანს. ხელისუფლების სააღდგომო მიმართვაში ქვეყნისადმი ნათქვამი იყო, რომ ესპანეთის ყველა ტაძარში უნდა აღვლენილიყო წირვა-ლოცვა უძლეველი არმადის გადარჩენისათვის. თავად მეფე კი სრულად განერიდა ამქვეყნიურ ცხოვრებას. ფილიპე II ცხოვრების წესით ლამის ბერს დაემსგავსა და დროის უდიდეს ნაწილს ზიარებასა და ლოცვაში ატარებდა. ერთი სიტყვით ესპანური ცნობიერების რელიგიურობამ ლამის იმ დონეს მიაღწია, რომელიც მისთვის დამახასიათებელი იყო ჯვაროსნული ლაშქრობებისა და რეკონკისტის[17] ხანაში.

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო ინგლისში. მომავალი შეტაკების მოლოდინში ინგლისელების ვედრებაც უფლისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ეს გრძნობა გაჟღენთილი იყო არაჩვეულებრივად ძლიერი საერო ოპტიმიზმთა და შემართებით. ეს იყო პროტესტანტობისათვის დამახასიათებელი რწმენა, რომელშიც ზეციური მადლის გადმოსვლისას ადამიანი არა პასიური, არამედ აქტიური, არსებითი მონაწილე იყო ამ

17 ესპანეთის მავრებისაგან (არაბებისაგან) განთავისუფლების პროცესი, რომელიც XI–XV სს. მიმდინარეობდა და მნიშვნელოვანნილად რელიგიური ომის ხასიათს ატარებდა.

პროცესის, თავისი უდრეკი პირადი თავისუფლების წყალობით. ინგლისელებს სწამდათ ღვთის წყალობისა, მაგრამ იმიტომ, რომ ეს განპირობებული იყო მათი ხომალდების, ზღვაოსნობაში ოსტატობის, ქვემეხების ხარისხის და მეზღვაურების უდრეკი გულების უპირატესობით.

ამ მხრივ მანიშნებელია მომავალი ბრძოლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილის, ცნობილი ზღვაოსნის და მეკობრის სერ ჯონ პოუკინსის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა სამხედრო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე: „პირისპირ შეტაკებში და სამართლიან ომში ღმერთია ჩვენთან, რადგან ჩვენ ჩვენს უდიდეს საქმეს, ჩვენს რწმენას, ღვთის ნებას ვიცავთ". ესპანეთში საერო და საეკლესიო ხელისუფალნი მოუწოდებდნენ წირვა-ლოცვა აღევლინათ არმადის სასიკეთოდ. ინგლისში უბრალო ადამიანები, პურიტანები მოუწოდებდნენ ხალხს დაეცვათ ქვეყანა, წმინდა წერილი ანტიქრისტესაგან (იგულისხმებოდა ესპანეთის მეფე). და ეს არ იყო სამთავრობო პროპაგანდის შედეგი. მოწოდებები გამომდინარეობდნენ ხალხის გულიდან, რომელიც მზად იყო ქვეყნის დასაცავად.

ამგვარ შედარებაში მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ, კერძოდ, საბრძოლო ხომალდების სახელები, რაც ალბათ, ასევე მეტყველებს ორი დაპირისპირებული სამყაროს ცნობიერებაზე. ესპანელთა გემების სახელები თითქოსდა წმინდანთა ჩამონათვალს წარმოადგენდნენ. „სან-მათეო," „სან-კრისტობალი," „სან-ფილიპე." ესპანური ცნობიერება აქაც აბსოლუტურად პასიურად იყო მინდობილი რელიგიურ სამყაროს, რაც ალბათ უფრო მისაღები და გამართლებული იქნებოდა შუა საუკუნეებში. რაც შეეხება ინგლისელებს, მათ აქაც გამოავლინეს პროტესტანტობისათვის დამახასიათებელი ძლიერი სულიერი, უფრო ამქვეყნიურობით განპირობებული მუხტი. მათი გემები მხოლოდ და მხოლოდ საერო, თანაც შემართებითა და აგრესიულობითაც აღსავსე სახელებს ატარებდნენ,

მაგ. „თაიგერი“[18], „დრედნოტი“[19], „რივენჯი“[20]. შეიძლება ითქვას, რომ ამ დაპირისპირებაში კლასიკურ შუასაუკუნეობრივ ღვთისმოსავობას დაუპირისპირდა სამყაროს ახლებური აღქმა, რომელშიც სიმძიმის ცენტრი ზეციდან დედამიწაზე იყო გადმოტანილი.

ესპანელთა სტრატეგია, რომელიც ფილიპეს პირმშო იყო და რომელსაც ის განუხრელად მისდევდა, მდგომარეობდა იმაში, რომ ის კამპანიას განიხილავდა არა როგორც სამხედრო-საზღვაო ოპერაციას, არამედ როგორც ინგლისის დაპყრობას ამ ქვეყანაში შემოჭრით და მის ტერიტორიაზე ბრძოლის წარმოებით. ფლოტი მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე, სატრანსპორტო საშუალება იყო, რომლის უმთავრეს ფუნქციას ესპანეთის ჯარის ინგლისში გადასროლა წარმოადგენდა. ფილიპეს ამგვარი ხედვა ეფუძნებოდა ესპანეთის ჯარის ძლიერებას, რომელიც სჯობდა ინგლისის ჯარს, როგორც სახმელეთო სამხედრო ერთეული. ყველაფერი სახმელეთო ჯარს უნდა გადაეწყვიტა. ამიტომ, ყველა ინსტრუქცია და განკარგულება, რომელიც ფლოტილიის სარდალს ჰერცოგ მედინა-სიდონიას ეგზავნებოდა იმგვარად იყო შედგენილი, რომ არ აძლევდნენ მას რაიმე ინიციატივის გამოვლენის საშუალებას. მას ევალებოდა შესულიყო ლა მანშის სრუტეში, შემდეგ გაევლო პა-დე-კალეს სრუტე და ჩრდილოეთ ზღვის მისადგომებთან, ქალაქ მარგეტთან შეერთებოდა პარმის ჰერცოგის ფლოტილიას.

თუკი მარგეტთან შეერთება ვერ მოხერხდებოდა, მედინა სიდონია უნდა გამობრუნებულიყო უკან, ხელში ჩაეგდო ლა მანშის სრუტეში მდებარე კუნძული უაიტი და ექცია იგი შემდგომი სამხედრო ოპერაციების ბაზად. საერთო ჯამში მედინა-სიდონიას ეკრძალებოდა აყოლოდა ინგლისელთა გამოწვევას ან რაიმე დივერსიას და ბრძოლაში ჩაბმულიყო. ეს უნდა მომხდარიყო უკიდურეს შემთხვევაში და ისიც ინგლისის სანაპიროსთან ახლოს. როგორც ჩანს ფილიპეს ესმოდა ინგლისელ-

---

18 Tiger – (ინგ.) – ვეფხვი

19 Dreadnought – (ინგლ.) – უდიდესი, უძლიერესი

20 Revenge – (ინგლ.) – შურისძიება

თა გემების უპირატესობა, ამიტომ მას მკაცრად ნაბრძანები ჰქონდა ფლოტის სარდლისათვის ბრძოლა ახლო დისტანციაზე ეწარმოებინა. ამით მეფე სავსებით მართებულად იმედოვნებდა მინიმუმამდე დაეყვანა ინგლისელთა უპირატესობა მანევრირებაში, რომლებიც, როგორც იგი ხშირად მიიჩნევდა გაჭიმული ფრონტით იბრძოლებდნენ, რათა დიდი სივრცეზე უფრო გამოეყენებინათ თავისი ხომალდების მობილურობა.

ფილიპე სახმელეთო ბრძოლების მიმართაც იჩენდა სიფრთხილეს და წინდახედულებას იმ შემთხვევაში, თუკი ესპანელები ერთბაშად ვერ გაანადგურებდნენ ინგლისელთა ჯარს და სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყება გახდებოდა საჭირო. პარმის ჰერცოგს, რომელსაც ამისთვის იყო უფლებამოსილი შემდეგი პირობები უნდა წაეყენებინა ინგლისელებისათვის. აღმსარებლობის სრული თავისუფლების ბოძება ინგლისელი კათოლიკეებისათვის; ინგლისის ჯარების გამოყვანა ნიდერლანდებიდან; დრეიკისა თუ სხვა ინგლისელი მეკობრეების მიერ ესპანეთისათვის მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.

მაგრამ თითქოსდა ფრთხილ ფილიპეს საზღვაო სტრატეგიაში ერთი მნიშვნელოვანი რამ გამორჩა. მის გეგმაში არ იყო გათვალისწინებული ნიდერლანდების სანაპიროზე მოხერხებული ნავსადგურის შერჩევა სადაც არმადა საჭიროების შემთხვევაში სრულ უსაფრთხოებაში შეაფარებდა თავს და ადვილად მოახერხებდა პარმის ჰერცოგთან ურთიერთქმედებას. ესპანელთა მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ მედინა-სიდონია ბოლომდე არ იყო ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ პარმის ჰერცოგი თავისი სატრანსპორტო გემებით ვერ ტოვებდა ნიდერლანდების ნავსადგურებს მანამ, სანამ არმადა არ გაივლიდა პა-დე-კალეს სრუტეს. ასე, რომ პარმის ჰერცოგის ჯარი პრაქტიკულად ჩაკეტილი იყო ნიდერლანდების პორტებში, ხოლო არმადა ვალდებული იყო ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ ემოძრავა და მისი ინიციატივა ამ მოძრაობის დროს მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

რას უპირისპირებდნენ ყველაფერ ამას ინგლისელები? 1587 წ. დეკემბერში ლორდი ეფინგამი სათავეში ჩაუდგა მთელ

სამხედრო-საზღვაო ფლოტს. 1588 წ. იანვარში მისი განკარგულებით სამეფოს თავდაცვისათვის ჩამოყალიბდა სამი ფლოტილია, რომელიც 34 საბრძოლო გემისაგან შედგებოდა. თავად ლორდ-ადმირალი (ეფინგამი – ივ.მ.) სარდლობდა 16 მძლავრი გემისაგან შემდგარ ფლოტილიას, რომელიც ტემზის შესართავთან, ქუინბოროში იყო განლაგებული. შედარებით მსუბუქი ფლოტილია სერ ჰენრი პალმერის მეთაურობით განლაგებული იყო დოუერში. მას დავალებული ჰქონდა ლა მანშისა და პა-დე-კალეს სრუტეების კონტროლი. მესამე ესკადრას სარდლობდა სერ ფრენსის დრეიკი, რომელიც იმავდროულად ლორდ-ადმირალის მოადგილეც იყო. მას დაზვერვითი ფუნქციები ეკისრებოდა. იგი პლიმუტში იყო განლაგებული და ლა მანშის სრუტეს იცავდა. როდესაც ინგლისელებმა მიიღეს უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია არმადის სიდიდის და მისი პირენეის ნახევარკუნძულიდან გასვლის შესახებ ლორდმა ეფინგამმა თავისი ესკადრა პლიმუტისაკენ დაძრა, სადაც იგი დრეიკს შეუერთდა. ამრიგად, ინგლისის ფლოტმა საკვანძო პოზიცია დაიკავა. პლიმუტი ყველაზე შესაფერისი ბაზა იყო, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მოქმედება ინგლისისაკენ მიმავალი ესპანეთის ფლოტილიის წინააღმდეგ, ხოლო დოუერი, სადაც სერ ჰენრი პალმერის ესკადრა იდგა პარმის ჰერცოგზე სათვალთვალოდ ყველაზე შესაფერისი პუნქტი.

ინგლისელთა მთავარი სტრატეგიული ხაზი შემდეგში მდგომარეობდა. საბრძოლო ასპარეზი გადაეტანათ შეძლებისდაგვარად მოშორებით ინგლისის ნაპირებისაგან. განსაკუთრებით ამ იდეას იცავდა სერ ფრენსის დრეიკი, რომელმაც შესაბამისი ხასიათის მოხსენებითი ბარათიც კი წარუდგინა საიდუმლო საბჭოს. იმისათვის, რომ არ მიეცა ესპანელებისათვის საშუალება ხელიდან გასხლტოდნენ ინგლისელებს, ლორდი ეფინგამი სისტემატურად ატარებდა დაზვერვით რეიდებს ლა მანშის მისადგომებთან.

მაგრამ ინგლისელები მაინც ფრთხილობდნენ და თავს იკავებდნენ მეტისმეტი აქტიურობისაგან. ამას განაპირობებდა დედოფლის პოზიცია. ელიზაბეთი იმედოვნებდა, რომ შეს-

ძლებდა მშვიდობიანად მოეგვარებინა ესპანეთთან არსებული წინააღმდეგობები და ყოველნაირად ებღაუჭებოდა პარმის ჰერცოგთან მიმდინარე მოლაპარაკებებს. საადმირალოში ამ მოლაპარაკებას ესპანელების ფანდად მიიჩნევდნენ და სთვლიდნენ, რომ მას ვერავითარი შედეგი ვერ მოყვებოდა. „ჯობს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ბრძოლაში ჩავებათ, ვიდრე ამდენი დრო მშვიდობაზე ყბედობას მოვანდომოთ" – უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ადმირალები. „ჩემის აზრით, ჩვენთვის აჯობებს, თუკი მშვიდობას უშუალო შერკინებაში მოვიპოვებთ" – ამბობდა სერ ჯონ ჰოუკინსი. მხოლოდ მაშინ, როდესაც 1588 წ. 17 ივნისს მოლაპარაკებები ჩაიშალა დედოფალმა მოქმედების სრული თავისუფლება მისცა ლორდ ეფინგამს, რაც ამ უკანასკნელს ესოდენ სწადდა.

იმავე წლის 5 ივლისს ეფინგამმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ არმადამ დატოვა პირენეის ნახევარკუნძული და შევიდა ბისკაის ყურეში, სადაც იგი ქარიშხალმა გაფანტა. არმადა ყურეში შეჩერდა სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო. 7 ივლისს სამხედრო საბჭოზე, რომელიც ეფინგამმა მოიწვია გადაწყდა ესპანელებზე შეტევის განხორციელება მათივე ნაპირებთან. ზურგის ქარის და საკმარისი სურსათ-სანოვაგის პირობებში ინგლისელები ორი დღე-ღამის განმავლობაში მიაღწევდნენ ესპანელთა სადგომებს ბისკაის ყურეში და მიაყენებდნენ მათ უფრო დიდ ზარალს, ვიდრე ეს დრეიკმა შეძლო კადიკსში. ინგლისელთათვის სამწუხაროდ, როცა ისინი მიზნამდე სულ რვა ლიგის[21] მოშორებით იყვნენ დაჰბერა ძალიან ძლიერმა სამხრეთის ქარმა, რომელსაც შეეძლო მწირი სურსათ-სანოვაგის მქონე ინგლისელთა გემები ესპანეთის ნაპირთან მიეყვანა. ამიტომ ეფინგამმა ბრძანა გემები უკან მოებრუნებინათ და კურსი პლიმუტისკენ აიღო.

სამხედრო საბჭო არ ფლობდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ესპანელები მარგეტთან აპირებდნენ შეერთებას. საბჭო ვარაუდობდა, რომ ესპანელები ესექსში გადმოსხდებოდნენ

---

21 ლიგა: მანძილის საზომი ერთეული, რომელიც მერყეობს 3,9-დან 7,4 კმ-მდე.

და მერე ლონდონისკენ დაიძვროდნენ. ამიტომ დედაქალაქის დასაცავად ტილბიურიში შეიქმნა სამხედრო ბანაკი, სადაც თავი მოუყარეს 22 ათას ადამიანს; ეს ლაშქარი უნდა დაპირისპირებოდა პარმის ჰერცოგის და არმადის გემბანზე მყოფ ჯარს და გადაელობა მათთვის გზა ლონდონისაკენ. გადაწყდა ასევე აეგოთ ნავებისაგან პონტონის ხიდის მსგავსი ნაგებობა, ტილბიურიდან გრეივსენამდე, რომლის მეშვეობით ინგლისის ჯარი გადავიდოდა ტემზაზე იმ შემთხვევაში, თუკი ესპანელები კენტში გადმოსხდებოდნენ. დანარჩენი სამხედრო შენაერთები საგრაფოებში იყვნენ განლაგებული სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და ელოდნენ ბრძანებას გადაადგილების შესახებ.[22] თავად დედოფალი რიჩმონდში იმყოფებოდა. ელიზაბეთს თავი მტკიცედ ეჭირა. მას სწამდა, რომ უფალი უბოძებდა მას მტერზე გამარჯვებას. ჩატარდა ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაო სასიგნალო კოცონების დანთებისათვის. ეს იყო ყველაზე საიმედო საშუალება, რომლის წყალობით ახალი ამბავი რამოდენიმე საათის მანძილზე შოტლანდიის საზღვრებამდე აღწევდა.

12 ივლისს, არმადა ზღვაში გავიდა და 19 ივლისს ლა მანშის სრუტეს მიაღწია. 20 ივლისს გამთენიისას მედინა-სიდონიამ დაინახა დანთებული კოცონები. როგორც ჩანს, ინგლისელებმა უკვე დააფიქსირეს არმადა, ეს ინგლისური საგუშაგო გემების დამსახურება იყო, რომლებიც კორნუოლის ნახევარკუნძულთან, ლიზარდის კონცხის მახლობლად მოძრაობდნენ. ნაშუადღევს კი ესპანელმა ადმირალმა გაარჩია პლიმუტიდან გამოსული ინგლისური ფლოტილია. 21 ივლისს მხარეები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შერკინება დაიწყო.

ეს არ იყო მხოლოდ გემებისა და ჯარების შებმა. ეს იყო ქვეყნის, სამშობლოს, ეროვნულობისა და სარწმუნოებისადმი (რომლებიც ერთმანეთთან იყო გაიგივებული) სიყვარულის დაპირისპირება ინდივიდუალურ სურვილთან მოესპო ყველაფერი ეს, როგორც უღირსი, ურცხვი და მკრეხელური. ინგლისელთა

---

22 გრაფი ლესტერი (რობერტ დადლი) დაინიშნა დედოფლის თანაშემწედ და მთელი სახმელეთო ჯარების კაპიტან–გენერლად.

შეყვარება საკუთარ ქვეყანასა და კუნძულზე, რაც ესოდენ ხატოვნად იყო გამოხატული შექსპირის მიერ, რომელიც ინგლისს ამქვეყნიურ ედემს და ვერცხლისფერი ზღვით გარშემორტყმულ ძვირფას ქვას ადრიდა არაფერს არ ნიშნავდა ფილიპე II, რომელიც უსიტყვოდ მორჩილი ქვეშევრდომების მრავალრიცხოვან მასას მართავდა. და თუკი ინგლისში, ჯერ კიდევ XVს. სერ ჯონ ფორტესკიუდან მოყოლებული არაერთხელ გამოხატულა აღტაცება ინგლისით სწორედ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ქვეშევრდომები ყველაზე მეტი უფლებით და თავისუფლებით სარგებლობდნენ, ესპანური საზოგადოების ცნობიერება ნამდვილად ვერ მიდიოდა მონარქის პიროვნების ფარგლებს მიღმა, რომელიც სასახლეში ჩაკეტილი ყველასათვის მიუწვდომელი და მიუკარებელი მართავდა თავის უკიდეგანო, ვეებერთელა იმპერიას და რომლის ქვეშევრდომებს მხოლოდ ამ მონარქის წინაშე უსიტყვო მორჩილება აერთიანებდა. ფილიპე II უძლეველ არმადას ინგლისის დასაპყრობად აგზავნიდა და მეფის სურვილი იყო მისი მეზღვაურებისა და ჯარისკაცების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ხომალდების გემბანებზე და სამხედრო ბანაკებში განლაგებულ ინგლისელ მეზღვაურებსა და მოლაშქრეებს კი გულს უმაგრებდა მათთვის ყველაზე ძვირფასი ცნებებისა და ფასეულობების დაცვის აუცილებლობა, რომელთა შორის ალბათ უპირველესი მშობლიურ ქვეყანაში განცდილი თავისუფლება იყო.

აი, ეს იყო დაპირისპირებული მხარეების ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშან-თვისება. იგი საზოგადოების ყველა ფენაში აისახა და თავისი გამოხატულების მწვერვალს ორი მონარქის პიროვნებაში მიაღწია. კრიტიკულ მომენტში ფილიპე II განმარტოვდა და თითქმის ასკეტურ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ამის აბსოლუტურად საწინააღმდეგო სურათს ელიზაბეთი წარმოადგენდა, რისი უმაგალითო დასტური მის მიერ ტილბიურის ბანაკში ჯარის დათვალიერება წარმოადგენს. ცხენზე ამხედრებული და აბჯარასხმული, გრაფ ლესტერის და მისი გერის, ჭაბუკი გრაფ ესექსის თანხლებით, იგი ეწვია ბანაკს და მგზნებარე სიტყვებით მიმართა ჯარს. „მე

ამ ქვეყნის ყველაზე უფრო ინგლისელი ქალი ვარ. განა მე აქ არ დავიბადე? თუ ჩემი მშობლები სხვა ქვეყანაში დაიბადნენ? სხეულით მე სუსტი და უმწეო ქალი ვარ, მაგრამ გული და შნო მეფეთაგან და თანაც ინგლისის მეფეთაგან მაქვს მომადლებული. მე თავად ავისხავ იარაღს და გაგიძღვებით ბრძოლაში. თავად განვსჯი, ვინ რისი მაქნისია ბრძოლის ველზე. იმისთვის არ ვაპირებ ცხოვრებას, რომ ჩემი ერთგული და მოსიყვარულე ხალხი გავანბილო. დე ძრწოდენ ტირანები"!

ამ მგზნებარე მოწოდების ქმედითი ნაბიჯი მოყვა. თუკი ადრე დედოფალმა რიჩმონდიდან ლონდონში, სენტ-ჯეიმსის სასახლეში გადაინაცვლა, რათა დედაქალაქის მოსახლეობასთან ერთად ყოფილიყო და ამით გაემხნევებინა იგი, ახლა მან ტილბიურიში დაიდო ბინა და ღამეს ჯარის მახლობლად ათევდა. ამან ჯარის საბრძოლო სულისკვეთება არნახულად აამაღლა. და საერთოდ, მთელი იმ ხნის მანძილზე, როდესაც ინგლისს ესპანელთა შემოჭრის საფრთხე ელოდა პატრიოტული აღტკინების ეპიცენტრს დედოფალი წარმოადგენდა, რომლის გარშემო მთელი ქვეყანა ირაზმებოდა.

უნდა ითქვას, რომ დედოფალი ამგვარ სიმტკიცეს არა მარტო ქვეყნის დასანახად ავლენდა, არამედ ერთი ერთზე სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობაშიც. მაგალითად, ასე მოიქცა იგი ესპანეთის ელჩთან საუბარში. არმადის გამოლაშქრების დასაწყისში მენდოზამ სცადა ელიზაბეთის დაშინება და მუქარით მიმართა მას. „თუკი თქვენ უდიდებულესობას არ ესმის სიტყვები, ჩვენ ზარბაზნებს ავალაპარაკებთ" – თქვა ელჩმა. „მე თქვენ დილეგში ჩაგაგდებთ"! – უპასუხა განრისხებულმა ელიზაბეთმა და შეცბუნებულმა ელჩმაც ვერაფერი უპასუხა. „მამაცი ქალია", თქვა პაპმა, როდესაც ეს ამბავი შეიტყო.

რასაკვირველია, მხოლოდ ასეთი რიხი და შემართება არ კმაროდა ქვეყნის დასაცავად. ნაკლოვანებები არც ინგლისის თავდაცვითი სისტემისათვის იყო უცხო. მაგალითად, ტილბიურიში ჩასულმა, სახმელეთო ჯარების სარდალმა გრაფმა ლესტერმა აღმოაჩინა, რომ ბანაკში სურსათ-სანოვაგე ჯერ არ ჩაეტანათ. ამიტომ მან სასწრაფოდ ჩელმსფორდს მიაშურა,

რათა დაეჩქარებინა იქ მიმდინარე სამომარაგებო სამუშაოები.

ინგლისელებს განზე არც დიპლომატიური საშუალებები დაუტოვებიათ. ჰოლანდიელებთან მოლაპარაკების შედეგად გაერთიანებულმა პროვინციებმა ოცდაათი გემი გააგზავნეს ზელანდიის სანაპიროს დასაცავად. ამ ფლოტილიას ევალებოდა პარმის ჰერცოგის გემებზე თავდასხმა, თუკი ისინი თავისი ნავსადგურებიდან გამოვიდოდნენ, რათა ინგლისზე აეღოთ გეზი. ამგვარად, ესპანელები უკვე ერთობ მნიშვნელოვნად იყვნენ შებორკილები. ინგლისურმა დიპლომატიამ კიდევ უფრო შორს მიმავალი ნაბიჯი გადადგა. ახლახან აღმოჩენილი დოკუმენტები გვამცნობენ, რომ ინგლისის საიდუმლო სამსახურის უფროსის სერ ფრენსის უოლსინგამის განკარგულებით ინგლისის ელჩმა სტამბოლში უილიამ ჰარბონმა შესთავაზა ოსმალეთის სულთანს შეეწუხებინა ხმელთაშუა ზღვაში ესპანეთის ფლოტი, როგორც ჩანს, სამხედრო-საზღვაო დემონსტრაციებით.

მაგრამ ძირითად იმედს ინგლისელები მაინც ფლოტზე ამყარებდნენ. ამიტომაც იყო, რომ დედოფალმა სამხედრო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე იკითხა: „შესძლებენ ჩვენი გემები მათ გემებს გაუწიონ წინააღმდეგობა“? რაზედაც სერ ფრენსის დრეიკმა ასე უპასუხა: „თქვენო უდიდებულესობა, ჩვენი პატარა გემები ორჯერ უფრო სწრაფად დაცურავენ ვიდრე დიდი ესპანური გალეონები, ხოლო ჩვენ ქვემეხებს შეუძიათ მათ ერთ გასროლას ოთხით უპასუხონ“.

სწორედ ამ უპირატესობის დემონსტრირება მოხდა 21 ივნისიდან 30 ივლისამდე, ე.ი. იმ ხნის მანძილზე როდესაც უძლეველი არმადა გამოჩნდა ლა მანშის სრუტეში და ბოლოს კი ჩრდილოეთის ზღვას შეაფარა თავი. ინგლისური ფლოტი მიმოფანტული იყო სხვადასხვა ნავსადგურში, რაც განპირობებული იყო სანაპირო ზოლის დაცვის აუცილებლობით. სამხედრო საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით გადაწყდა გეზი ძირითადში მცირე შეტაკებებსა და დამქანცველ თავდასხმებზე აეღოთ. ეფინგამისვე გამოთქმით ეს იყო მოწინააღმდეგის კუდში ჩაფრენის და იქიდან ბუმბულის თანდა-

თანობითი გამოძრობის ხერხი. ასე რომ ინგლისელები „წინკ-ნიდნენ“ არმადას მისი ლა მანშის სრუტეში გამოჩენისთანავე, თუმცა კი ეს ესპანელებს მაინც და მაინც დიდ ზიანს არ აყ-ენებდა. არმადა მისი მსვლელობისას ერთობ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, რასაც თავად ინგლისელები არ უარყოფდნენ. „ყველაზე უფრო გრანდიოზული და მძლავრი, რაც კი ოდესმე ქვეყანაზე ყოფილა“ – წერდა თავად ლორდ–ადმირალი.

მაგრამ გარეგნული გრანდიოზულობისდა მიუხედავად ეს-პანელთა მდგომარეობა თანდათან სულ უფრო და უფრო არ-ასახარბიელო ხდებოდა. პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება შერყეული იყო ინგლისელთა მოხეტიალე ტაქ-ტიკის გამო, რომლებიც მუდმივად მოძრაობდნენ და გამუდ-მებულ „ჩხვლეტებს“ აყენებდნენ არმადას, რაც ესპანელებს სიქას აცლიდა მით უფრო, რომ ინგლისელთა ხომალდები პირ-დაპირ მოუხელთებლები იყვნენ და საშუალებას არ აძლევდნენ ესპანელებს თავისი ძირითადი ხერხი, მიჯრითი ბრძოლა გამო-ეყენებინათ. და თუმცა ლა მანშის სრუტეში შესვლის პირველი დღეების მანძილზე ინგლისელებმა ესპანელთა მხოლოდ სამი გემი გამოიყვანეს მწყობრიდან, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არმადის დემორალიზაციას.

მედინა-სიდონიას აშინებდა ამინდიც. უამინდობის შემ-თხვევაში ესპანელებს არ ჰქონდათ საიმედო ნავსადგური, სადაც ისინი თავს შეაფარებდნენ. ესპანეთის ნიდერლანდე-ბის სანაპიროზე მდებარე მეჩხერწყლიანი ნავსადგურები. არ ვარგოდნენ დიდი და მძიმე ესპანური საბრძოლო ხომალდების განთავსებისათვის. პარმის ჰერცოგთან გაერთიანება, რაზე-დაც ექსპედიციის საბოლოო წარმატება იყო დამოკიდებული ეჭვქვეშ დადგა. მედინა-სიდონიამ პარმის ჰერცოგს ამცნო, რომ საჭიროებდა ამ უკანასკნელის დახმარებას, მაგრამ ჰარმის ჰერცოგი ვერ ახერხებდა თავისი ნავსადგურებიდან გამოსვ-ლას, რადგან მას გზას ინგლისური და ჰოლანდიური გემები ულობავდნენ.

მედინა-სიდონიას შიში გამართლდა. ლა მანშის სრუტეში ქარი ამოვარდა და 27 ივლისს არმადა რეიდზე დადგა კალეს

ყურის მისადგომებთან. სწორედ ეს შეჩერება გამოიყენეს ინგლისელებმა. ჰოვარდმა და დრეიკმა შევსება მიიღეს სეიმურისა და უინტერის ესკადრების სახით და მოუყარეს რა თავი 150 გემს (როგორც საბრძოლო ხომალდებს ასევე ქვემეხებით აღჭურვილ სავაჭრო გემებს) და გადამწყვეტი იერიში მიიტანეს რეიდზე მდგარ არმადაზე. დრეიკმა აქაც თავისი ჩვეული ხერხი გამოიყენა. და კიდევ უფრო შედეგიანად, ვიდრე ეს კადიკსში მოხდა. მან ესპანელთა ფლოტილიაზე ცეცხლმოკიდებული ბრანდერები[23] მიუშვა. ქარი ბრანდერებს არმადისაკენ დიდი სისწრაფით მიაქროლებდა, რამაც არ მისცა ესპანელებს საშუალება ისინი მიზანში ამოეღოთ და მათთვის საზარბაზნე ცეცხლი დაეშინათ.

ბრანდერებმა ესპანელთა სრული პანიკა გამოიწვიეს. მათ მხოლოდ თვითგადარჩენის მიზანი ამოძრავებდათ. ბევრმა გემმა ღუზა აუშვა და თვითნებურად გავიდა ზღვაში. მედინა-სიდონიას სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა მთელი ფლოტილიით ღია ზღვაში გასულიყო. იქ კი ინგლისელთა საბრძოლო ხომალდები დახვდნენ. სულ ორდღიან ბრძოლაში, 27 და 28 ივლისს, განსაკუთრებით კი გრაველინთან, ინგლისელებმა დიდი ზარალი მიაყენეს არმადას. მათი საზარბაზნე ცეცხლი იმდენად ზუსტი იყო, რომ ესპანელთა ყველა დიდი ხომალდი ძალზე იქნა დაზიანებული. არმადის მთავარი გემებიდან ხუთი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი, ხოლო „სან მათეო“ და „სან ფილიპე“ ნაპირზე იქნენ გარიყული და დაიმსხვრნენ. დანარჩენი ფლოტილია, საკმაოდ დაზიანებული მეჩეჩებზე გაირიყა, რაც დაღუპვის ტოლფასი იყო.

თითქოსდა არმადის ბედი იმ ბრძოლაშივე უნდა გადაწყვეტილიყო და მას სრული განადგურება ელოდა. მაგრამ ესპანელთა საბედნიეროდ ქარი ამოვარდა. არმადას ზღვაში გასვლის და გაქცევის საშუალება მიეცა. ეს იყო ესპანელთათვის პრაქტიკულად ერთადერთი გამოსავალი, რადგან მათი გემების უმრავლესობა ძალზე იყო დაზიანებული ინგლისელთა საზარბაზნე ცეცხლის მიერ. ინგლისელთა სწრაფი გემები კვ-

23 აალებადი მასალით დატვირთული სამხედრო გემი.

ლავ მოუხელთებლები იყვნენ, მუდმივად იღებდნენ შევსებას და კიდევ უფრო მეტ ხანს აყენებდნენ არმადას. ესპანელთა ტყვია–წამლის მარაგი მინიმუმამდე შემცირდა. იყო გემები, რომლებსაც საერთოდ აღარ ჰქონდათ ჭურვები. მათი ერთადერთი ხსნა გაქცევაში მდგომარეობდა. არმადამ ჩაუარა ნავსადგურებს, სადაც მის მოლოდინში მყოფი პარმის ჰერცოგის სატრანსპორტო გემები იდგა ჯარისკაცებითურთ. მაგრამ რაიმე შემტევ ოპერაციაზე და მითუმეტეს ინგლისში გადასხდომაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტი იყო. ინგლისელებმა ფირტ ოვ ფორტის ყურემდე სდიეს ესპანელებს (ედინბურგის მისადგომებთან), მაგრამ შემდეგ უკან გაბრუნდნენ, რადგან თვითონაც გამოელიათ ჭურვები და ტყვია-წამალი.

არმადის გაუჩინარებამ ჩრდილოეთის ზღვის ნისლში ერთ ხანს დიდი მითქმა-მოთქმა და წინააღმდეგობებით აღსავსე ჭორები გამოიწვია. გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, თითქოს ინგლისელები ნიუკასლთან დამარცხდნენ, დაკარგეს 40 გემი, ხოლო სერ ჯონ ჰოუკინსი დაიღუპა. ანდა კიდევ, რომ პლიმუტში ესპანელთა დესანტი გადასხდა. ამ დეზინფორმაციას იმ ხანად პარიზში მყოფ ინგლისში ესპანეთის ყოფილ ელჩს მენდოზას მიაწერდნენ. ჭორებმა მადრიდში ზარ–ზეიმი გამოიწვიეს. მაგრამ გადიოდა დრო და სამეფო და პაპის კარზე იმატა შეშფოთებამ იმის გამო, რომ არავითარი ცნობა არ იყო მედინა-სიდონიასაგან. სექტემბრის დასაწყისში მადრიდში ერთობ საგანგაშო ხმები დაირხა, რის გამოც პაპის წარგზავნილმა განაცხადა: „დე უფალმა გააცრუოს ცუდი ხმები, ხოლო კარგი ჭეშმარიტად აქციოს“. თავად მეფე დარდს არ იმჩნევდა და თავი ყოჩაღად ეჭირა.

პირველი, ვინც შექმნილი სიტუაცია სწორად შეაფასა ესპანეთის და მისი მომხრეების მხრიდან იყო პარმის ჰერცოგი. იგი მიხვდა, რომ არმადა დამარცხდა და გაქცევით უშველა თავს. ამიტომაც იგი სწერდა მეფეს: „ღმერთია მოწმე, თუ რაოდენ გულისტკივილს გამოვთქვამ მომხდარის გამო. მაშინ, როცა იმედს გამოვთქვამდი, რომ მიულოცავდი თქვენს უდიდებულესობას დასახული მიზნის მიღწევას, ახლა ისღა მრჩება

ნუგეშად, რომ ვთქვა, რომ აღსრულდა ნება უფლისა. მხოლოდ იგი უნყის ყველაფერს, რაც კი ქვეყანაზე ხდება, მხოლოდ მას შესწევს ძალა მოაშუშოს თქვენი ტკივილი და გიბოძოთ მომავალში ურიცხვი გამარჯვება".

ამასობაში კი მედინა სიდონია მიიკვლევდა გზას ირლანდიის ზღვაში და ირლანდიის კლდოვან სანაპიროზე გემს გემზე ტოვებდა. სექტემბრის მინურულს სანტანდერში დამარცხებული და დაცხრილული არმადის პირველი ნაშთები გამოჩნდა. არმადის 130 გემიდან ესპანეთში 67 დაბრუნდა. ფილიპე II გულმოწყალედ მოისმინა გულმოკლულ მედინა-სიდონიას პატაკი, ბრძანა დახმარება აღმოეჩინათ დაჭრილებისა და ავადმყოფებისათვის და შეეცადა თავი დაემშვიდებინა იმის გააზრებით, რომ ყველაფერი შეიძლებოდა კიდევ უფრო უარესად დასრულებულიყო. თუმცა კი ამგვარი ფილოსოფიური მიდგომა ერთობ საეჭვო დახმარება იყო ესოდენ სავალალო სიტუაციაში.

საბრძოლო მოქმედებების უშუალო შედეგები ასეთი იყო. ინგლისელებმა ბრძოლებში დაკარგეს ასამდე ადამიანი, ოთხასი დაიჭრა, ხოლო რვა ათასი სხვადასხვა დაავადებით გარდაიცვალა. იგივე მაჩვენებლები ესპანელებთან გაცილებით მეტი იყო და შესაბამისად უდრიდა ექვსას დაღუპულს, რვაას დაჭრილს და ოცი ათასამდე დაავადებით გარდაცვლილს.

უშუალო საომარი დანაკარგების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება ამ მონაცემების შესაძლებელი უზუსტობის შესახებ. XVI ს. გემების კაპიტნებს მთელ მსოფლიოში სჩვეოდათ დაღუპულთა რიცხვის მიჩქმალვა, რათა მკვდარი სულების წყალობით შემოსული ჯამაგირი ჩაეჯიბათ. აკი თვით ლორდი ბარლიც კი ამბობდა: „ხალხი იღუპება, ფული კი არა". გამარჯვებას სხვა, ომისათვის ჩვეული პრობლემები არ მოუხსნია. დემობილიზაციის შემდეგ საჭირო გახდა დაჭრილებისა და ავადმყოფების საკვებით უზრუნველყოფა, მათი სახლებში დაბრუნება და სხვ. უმწეო, დაუძლურებული, ჩამოკონკილი ჯარისკაცები დოუერის და როჩესტერის ქუჩებში კვდებოდნენ, ისევე როგორც ამას ესპანეთში, ლარედოსა და სანტანდერში ჰქონდა ადგილი.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო სხვა შედეგი. ქვეყანა გადარჩა, და არა მხოლოდ გადარჩა, არამედ გაიმარჯვა კიდეც თუნდაც აღნიშნული დანაკარგების ფასად. ინგლისმა, დედოფალმა, ზღვაოსნებმა თავისი თავი მტერს არ დააჩაგვრინეს. უძლეველი არმადა, რომელსაც ერეტიკული ინგლისი უნდა დაეპყრო და მიწასთან გაესწორებინა დამარცხდა და განადგურდა. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ სამხედრო მარცხი. შეირყა და შეილახა ესპანეთის პრესტიჟი, სიამაყე და გულზვიადობა. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ინგლისელთა გემები, ქვემეხები, მეზღვაურები და ადმირალები სჯობდნენ ესპანელებისას.

მაშინ, როცა ექსპედიციის დაწყების წინ ფილიპე II ესოდენ დიდ აქცენტს აკეთებდა რელიგიურ მომენტზე და სამხედრო კამპანიას ლამის ჯვაროსნული ლაშქრობის საბურველში მოსავდა მისმა მარცხმა თითქოს უჩვენა, რომ განგების ნებამ, როგორც ყოველივე არსებულის საფუძველმა, ზურგი შეაქცია ესპანეთს. ეს იყო ესპანეთის, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ამ უზენაესი ნების აღმსრულებლის როლზე მარცხი. მარცხი ქვეყნისა, რომელიც სახელმწიფოთა შორის უპირველესად მიიჩნევდა თავს.

დათრგუნული ფილიპე ვერსად ვერ პოულობდა ნუგეშს. მას თითქოს ყველამ ზურგი შეაქცია. პაპმაც კი, რომლის შეგონებას ფილიპემ ამდენი ენერგია და დიპლომატიური ფანდი მოანდომა, არწმუნებდა რა მას, რომ სარწმუნოების დასაცავად ილაშქრებდა მწვალებელთა კუნძულის და მათი ერეტიკოსი და ურცხვი დედოფლის წინააღმდეგ, არ დამალა თავის აღტაცება ელიზაბეთის სიმტკიცითა და სიმამაცით. „კათოლიკე რომ იყოს, იგი ჩემი უსაყვარლესი ქალიშვილი იქნებოდა“ – თქვა პაპმა. სულ ცოტა ხნის წინ ამაყი და გოროზი ესპანეთი, ძლიერების და სიმდიდრის განსახიერება დაცინვის ობიექტი გახდა. პარიზში მყოფი ესპანეთის ელჩი ინგლისში მენდოზა ბრბოს დაცინვის და შეურაცხყოფის ობიექტად იქცა. საკმარისი იყო მისი ქუჩაში გამოჩენა, რომ იქაურობა გამაყრუებელი შეძახილებით ივსებოდა, „ვიქტორია, ვიქტორია![24] – გაყვიროდა ბრბო.

---

24 Victoria –(ლათ.) გამარჯვება

ანტიესპანურ სამყაროში დიდი ზარ–ზეიმი იყო. ჰოლანდიაში ინგლისელთა გამარჯვების აღსანიშნავად სამახსოვრო მედალიც კი მოჭრეს. მასზე დედამიწის სფერო იყო გამოსახული, რომელიც ესპანეთს ხელიდან უსხლტებოდა, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ამ სულ ცოტა ხნის წინ ესოდენ ბრწყინვალე იმპერიის ჰეგემონიას ბოლო ეღებოდა. იბეჭდებოდა და ქვეყნდებოდა უძლეველი არმადის კარიკატურული გამოსახულებები, რომლებსაც თან კეისრის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზა ერთოდა. „მოვიდა, ნახა, გაიქცა“.

ინგლისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ლონდონის ქუჩებში ლურჯი დროშები გამოფინეს, რაც ზღვისადმი, რომელიც ბრიტანეთს გარს ეკრა და ბუნებრივ დამცავ ზღუდეს წარმოადგენდა თავისებური პატივის მიგება იყო. წმინდა პავლეს ტაძარში ქვეყნის გადარჩენის აღსანიშნავი პარაკლისი გადაიხადეს. არც სამახსოვრო მედლის მოჭრა დავიწყებიათ, რომელსაც, ძველი აღთქმისეული ერთ-ერთი გამონათქვამის მსგავსი წარწერა ამშვენებდა. „ღმერთმა შეუბერა და ისინი გაიფანტნენ“. ამით მიანიშნებდნენ, რომ ინგლისელთა გამარჯვება არ იყო მხოლოდ ზღვაოსნობასა და საბრძოლო ხელოვნებაში უპირატესობის შედეგი, არამედ, ღვთის ნება, და თანაც პროტესტანტების ღმერთის ნება, რომელმაც ბუნებაც კი დაუპირისპირა კათოლიკე ესპანელებს.

დედოფალი საყოველთაო აღტაცების ობიექტი გახდა. ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ საჯარო თავყრილობების დროს მისადმი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატათ. დედოფალი მშვენიერ გუნებაზე იყო. იგი მონაწილეობდა რიჩმონდის სასახლეში გამართულ საბავშვო წარმოდგენებში. ნოემბრის თვეში მისი გამეფების ტრადიციული თარიღი დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. ქუჩებში წარმოდგენები თუ სხვა სახის სანახაობები იმართებოდა. ქუჩები მორთული იყო გირლიანდებით და დროშებით. გამარჯვებამ იმდენად გაახარა დედოფალი, რომ მან გადაწყვიტა შობაზე ქვეყანაში ემოგზაურა. როდესაც ერთგულმა კარისკაცებმა ურჩიეს მას უარი ეთქვა ამგვარ მოგზაურობაზე უამინდობის გამო და ჯანმრთელო-

ბას გაფრთხილებოდა ელიზაბეთმა მათ დამცინავად უპასუხა, „თქვენ ბებრები სახლში დარჩით, მე თან ახალგაზრდებს წავიყვან". ასე, რომ გამარჯვების გამო მის რიხს და უდარდელობას საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, განგება მას შემაშფოთებელ და გულმოსაკლავ მოვლენებს უმზადებდა. არმადის განადგურებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა გრაფი ლესტერი (რობერტ დადლი), მამაკაცი, რომელიც მას ცხოვრებაში ყველაზე მეტად უყვარდა. ამიტომაც, ელიზაბეთი სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა დადლის წერილს, რომელიც ამ უკანასკნელმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მისწერა, და რომლის ხელეხალი წაკითხვა დედოფალს ყოველთვის უნამავდა თვალს. ჯერ კიდევ წინ იყო აჯანყება ირლანდიაში, რომლის ჩახშობა დიდი მსხვერპლის ფასად მოხდა. ერთი მეორის მიყოლებით დედოფალს შემოეცალნენ უერთგულესი თანამებრძოლები და მეგობრები, ლორდი ბარლი და სერ ფრენსის უოლსინგამი, ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ედგნენ გვერდში ელიზაბეთს და პროტესტანტულ ინგლისს. მას ჯერ კიდევ უნდა ეგემა თავისი სიცოცხლის ალბათ ერთ-ერთი მწარე წვეთი, მისი უკანასკნელი ფავორიტის, ლორდ დადლის გერის, გრაფ ესექსის სიკვდილი. რობერტ დეევერო, გრაფი ესექსი ელიზაბეთის ბრძანებითვე იქნა სიკვდილით დასჯილი დედოფლის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხის გამო. როგორც ჩანს, არმადის ჩავლასთან ერთად ჩაიარა მისი პირადი და ისტორიული არსებობის ზენიტმაც. მისი გარემოცვის შეთხელებასთან ერთად თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ ფიქრები იმაზე, თუ რა იქნებოდა მის შემდეგ. აკი მეზობელ შოტლანდიაშიც, მისი ნათესავი, მერი სტიუარტის ვაჟი ჯეიმს VI დროდადრო ამბობდა: „ეს ქალი მზე ან მთვარე ხომ არ არის, ცას რომ გამოკიდებია?!" დედოფალი ხომ სამოცდაათი წლისა აღესრულა, ხოლო იმ ხანად ამ ასაკის მიღწევა თავისებური „რეკორდი" იყო. როგორც ჩანს ჯეიმსი გრძნობდა, რომ ელიზაბეთის თავიდან გვირგვინს მის თავზე უნდა გადაენაცვლა.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. იმ ეპოქის ინგლისის ისტორიის უძნელეს ჟამს ელიზაბეთი თავის ქვეყანას მეთაურობდა და ქვეყანამ ძალზე რთულ გამოცდას გაუძლო. ქვეყნის ღირსება არ შეილახა. გამარჯვება, რომელიც არ იყო მხოლოდ ბრძოლაში უპირატესობის გამოხატვა, არამედ ისტორიაში უფრო მაღალ სოციალურ-პოლიტიკურ საფეხურზე არსებობის თავისებური წანამძღვარი და უფლება, ინგლისს დარჩა. და ამ შემთხვევაში ელიზაბეთმა, როგორც ამ გამოცდის პროცესის უშუალო და ყველაზე მნიშვნელოვანმა მონაწილემ უზადოდ შეასრულა თავისი მოვალეობა.

ელიზაბეთი არც საბრძოლო გემის გემბანზე იდგა და არც დაშნა სჭერია ხელში, მაგრამ განგების ნებით იგი იყო ის ეპიცენტრი, სადაც თავს იყრიდა ქვეყნის დასაცავად მიმართული თითოეული მეზღვაურის, ჯარისკაცის და საერთოდ ქვეშევრდომის სულისკვეთებიდან გამომავალი ენერგია. და როგორც ასეთი ეპიცენტრი, იგი შეუვალი, შეუდრეკელი და შეუბღალავი იყო. კრიტიკულ მომენტში ეროვნულ-საზოგადოებრივმა ორგანიზმმა აბსოლუტური სიმრთელე და სიმტკიცე გამოავლინა. ქვეყანა გადარჩა მისი თავდადების წყალობით, ხოლო იმ გადამწყვეტ წუთს ყველაფერ ამის სათავეში დედოფალი ელიზაბეთი იდგა. სწორედ ამ ერთობამ ინგლისს გამარჯვება მოუტანა. ხოლო გამარჯვებულებს, როგორც ამბობენ, არ სჯიან.

ელიზაბეთი შეიძლება ბედნიერი ყოფილიყო როგორც ქალი, თუკი ცოლად გაყვებოდა მისთვის ესოდენ საყვარელ ლორდ დადლის, ანდა ესოდენ სასურველ ანჟუს ჰერცოგს, მაგრამ ისტორიის გადასახედიდან მან უფრო დიდი გამარჯვება და ბედნიერება მოიპოვა, კერძოდ, მტერს ქვეყანა არ დააჩაგვრინა. როგორც ჩანს მის ქვეყანას იმ ხანად ერთობ რთული ხვედრი ერგო და მას, როგორც ქვეყნის პირველ პირს, ესოდენ დიდი უფლებებით და პასუხისმგებლობით აღჭურვილს, არ ჰქონდა შეცდომის უფლება. პირად ცხოვრებაში განცდილი მარცხისათვის მას მის გარშემო მყოფი თანამედროვენი გაკიცხავდნენ. მაგრამ მან ისეთი მარცხი აიცილა თავიდან, რომელიც მას და მის ქვეყანას გასთელავდა, შელახავდა არა მარტო მის

პიროვნებას, არამედ ქვეყნის ეროვნულ ღირსებას, ყველა იმ ფასეულობას, რომელთა მეშვეობითაც ინგლისელები საკუთარ თავს დანარჩენი სამყაროსაგან ანსხვავებდნენ და რომლებიც მათ ესოდენ ღირებულად მიაჩნდათ. ეს კი ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა! ელიზაბეთს ბედად ქვეყნის გამარჯვების სათავეში ყოფნა ერგო. ხვედრი, რომელიც ყველაზე სასურველია ქვეყნისა და მისი მმართველისათვის ისტორიის ასპარეზზე თვითგამოხატვის და თვითდამკვიდრების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Adventures in English Literature. N.Y.L. 1963.

Kathrine Anthony. Queen Elizabeth. N.Y. 1929.

John Black. The Reign of Elizabeth. 1558-1603. Oxford. 1959.

Scott Forsmen. Literature and Integrated Studies. English Literature.

Rudyard Kipling. Poems. Short Stories. M. 1983.

Garret Mattingly. The Armada. Boston. 1959.

Andre Morois. History of England. L. 1937.

Jasper Ridley. Elizabeth I. The Shrewdness of Virtue. N.Y. 1987.

John Wilson. Life in Shakespeare's England. L. 1962.

Размышления и афоризмы французских моралистов XVI-XVIII вв. Л. 1987.

Тирукурал. Книга о добродетели! политике и любви. М. 1963.

Ivane Menteshashvili

Elizabeth I Tudor
Love and Power
(Summary)

The research sheds luster on the history of England in 16th century. Particularly, against the background of the competition between Catholicism and Protestantism the some pieces of the reign of Elizabeth I are shown. Particularly her private life, her failed marriages. The research is an attempt to show how the rivalry between Catholic and Protestant faiths and her status had influenced private life of the Queen and the history of England too.